

სამოქალაქო

პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2015, №11**

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2015, №11**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2015, №11**

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2015, №11**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ქათევან პანევლია**

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. სამოქალაქო საქმეების უცყენრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი

განხილვა

№ას-209-196-2015

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის
დადგენა და ხელშეკრულებიდან გასვლა

აღნერილობითი ნაწილი:

ი. ჩ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში (1) ი. გ-ის, (2) ლ. ჟ-ას,
(3) ი. პ-ის, (4) ნ. პ-ის, (5) B. T. L-ის და (6) C. V. L-ის მიმართ და
მოითხოვა:

1. დადგენილ იქნას მასასა და ა. (ბ.) პ-ს შორის 2004 წელს ზე-
პირი დავალების ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომლის თა-
ნახმად ი. ჩ-მა დაავალა, ხოლო ა. (ბ.) პ-მა იკისრა ვალდებულება
დაეფუძნებინა უცხოური კომპანია, რომელიც მოსარჩელის ბე-
ნეფიციარულ საკუთრებაში უნდა ყოფილიყო და ი. ჩ-ი ცნობილ
იქნას ამ კომპანიის, C. V. L-ის ბენეფიციარ მესაკუთრედ;

2. დადგენილ იქნას მასასა და ა. (ბ.) პ-ს შორის 2004 წლის ივ-
ლისში ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადება და
ამავე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტა 2013
წლის 26 დეკემბერს;

3. დადგენილ იქნას, რომ იგი იყო სამი უძრავი ქონების, კერ-
ძოდ: ა) უ. თ-ის (უძრავი ქონების სარეგისტრაციო №) („უ-ი“),
ბ) მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების ლ-ში (საკადასტრო
კოდი №) („ლ-ო“) და გ) ქ. თბილისში, ფ-ის ქ. №...-ში მდებარე
მიწის ნაკვეთის (სარეგისტრაციო №...) („კ-ა“) ბენეფიციარი მე-
საკუთრე C. V. L-ის მიერ მათი გაყიდვის მომენტში და ამ უძრავი
ქონების რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი
და სარგებელი ეკუთვნის ი. ჩ-ს;

4. დადგენილ იქნას, რომ ა) ერთობლივი საქმიანობის კუთ-
ვნილი შპს „ს. თ. წ-ის“ 70% წილი C. V. L-ის მიერ მისი გაყიდვის
მომენტში წარმოადგენდა ი. ჩ-ის, ი. გ-ის, ლ. ჟ-ას, ი. პ-ის და ნ. პ-

ის ერთობლივი საქმიანობის საკუთრებას და მათი რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნოდა ამ ერთობლივ საქმიანობას; და ბ) ერთობლივი საქმიანობის კუთხით შეს „ს. თ. წ-ი“ 70% წილის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან ამხანაგობის წევრებმა ი. გ-ემ, ლ. ჟ-ამ, ი. პ-მა და ნ. პ-მა მიღეს მათი კუთვნილი წილები.

5. დადგენილ იქნას, რომ შპს „პ. ჯ-ას“ 66% წილის და შპს „პ. კ“-ის 66% წილის ბენეფიციარ მესაკუთრეს C. V. L-ის მიერ მათი გაყიდვის მომენტში წარმოადგენდა ი. ჩ-ი და მათი რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ექუთვნის ი. ჩ-ს;

6. დადგენილ იქნას, რომ ა) ერთობლივი საქმიანობის კუთვნილი ს.ს. „ფ. წ-ას“ აქციათა 92.5%- 543-848 ცალი აქცია B. T. L-ის მიერ მათი გაყიდვის მომენტში წარმოადგენდა ი. ჩ-ის, ი. გ-ის, ლ. ჟ-ას, ი. პ-ის და ხ. პ-ის ერთობლივი საქმიანობის საკუთრებას და მათი რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნონდა ამ ერთობლივ საქმიანობას და ბ) ი. ჩ-ი ცნობილ იქნას კომპანია B. T. L-ის ბენეფიციარ მესაკუთრედ;

7. დადგენილ იქნას, რომ ი. ჩ-ის, ი. გ-ის, ლ. ჟ-ას, ი. პ-ისა და ნ. პ-ის ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის მომენტისთვის ერთობლივი საქმიანობის ქონებას წარმოადგენდა მხოლოდ ს.ს. „ფ. წ-ას“ აქციათ 92.5%-543 848 კალი აქცია.

მოსარჩევემ აღნიშნული მოთხოვნები დაასაბუთა შემდეგ-ნაირად:

2004 წლის გაზაფხულზე მოსარჩევეს სურდა შეეძინა უცხოური კომპანია, რათა ამ კომპანიის მეშვეობით განეხორციელებინა ის ბიზნეს პროექტები, რომლებსაც ანარმოებდა ან აპირებდა მომავალში ენარმოებინა. რადგან მოსარჩევემ იცოდა, რომ პ. პ-ის ლონდონის ოფისი ადვილად შეძლებდა უცხოური კომპანიის რეგისტრაციას, მან ამის შესახებ უთხრა პ-ს, რომელმაც მას შესთავაზა დახმარება ოფშორული კომპანიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, მოსარჩელეესა და პ. პ-ს შორის დაიდო ზეპირი დავალების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ დაავალა, ხოლო პ-მა იყასრა ვალდებულება დაეფუძნებინა უც-ხოური კომპანიები, რომლებიც მოსარჩელის ბენფიციარულ საკუთრებაში უნდა ყოფილოყო.

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, პ-ის ლონდონის ოფისმა ორგანიზება გაუკეთა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე კომპანია B. T. L-ის და C. V. L-ის დაფუძნებას და შესაბამისი დო-

კუმენტაცია, კომპანიის სახელით მოქმედების უფლებამოსი-ლებასთან ერთად, გადასცა ჩ-ის ნდობით აღჭურვილ პირს, გ. ქ-ეს.

2004 წლის გაზაფხულზე პ-ი და ჩ-ი შეთანხმდნენ, რომ შე-ექმნათ ამხანაგობა საქართველოში ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით. მათ გადაწყვიტეს, რომ ყოველ კონ-კრეტულ პროექტთან დაკავშირებით დამატებით შეთანხმებუ-ლიყვნენ ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის და/ან მოგების განანილების წესზე.

შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ის, რომ პირადად პ-ი და ჩ-ი არ უნდა ყოფილიყვნენ რაიმე რეგისტრირებული მო-ნაცემებით დაკავშირებული ამა თუ იმ ბიზნეს პროექტთან. შე-თანხმდა, რომ ვინაიდან აუცილებელი იყო კონკრეტული აქტი-ვების რეალური მესაკუთრეების ვინაობის საიდუმლოდ შენახ-ვა, რაც მნიშვნელოვანი ილად უკავშირდებოდა პ-ის პოლიტი-კურ იტერესებს და მოღვაწეობას, ერთობლივი საქმიანობის სფეროში შემვალი აქტივები უნდა ემართა მინდობილ მესაკუთ-რეს. სწორედ ამ მიზნით ამხანაგობის მიერ გამოყენებულ იქნენ მე-5 და მე-6 მოპასუხებები. ოფშორული კომპანია გამოყენებულ იქნა იმ მიზნით, რომ აღნიშნული სტრუქტურა სრულად უზრუნ-ველყოფდა მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვას და ამავდროულად ბრიტანეთის კანონმდებლობა შე-საძლებლობას იძლეოდა საკუთრების მინდობის, ანუ ტრასტის ხელშეკრულება დადებულიყო ზეპირი ფორმით.

რაც შეეხება ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში C. V. L-ზე რეგისტრირებული უძრავი ქონების შეძენასთან, მართვასთან და გასხვისებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, აღნიშნულის თა-ობაზე მოსარჩევემ განმარტა შემდეგი:

2004 წლის დეკემბერში მან პ-ს აცნობა, რომ ზ. ა-ეს და შპს „გ-ს“ საკუთრებაში ჰქონდათ სამი უძრავი ქონება, კერძოდ უ-თ-ი (უძრავი ქონების სარეგისტრაციო № ...) („უ-ი“), ბ) მინის ნაკ-ვეთი და შენობა-ნაგებობები ლ-ში (საკადასტრო კოდი № ...) („ლ-ო“), გ) ქ. თბილისში, ფ-ის ქ. №...-ში მდებარე მინის ნაკვეთი (სა-რეგისტრაციო № ...) („კ-ა“) და მესაკუთრეებს სურვილი ჰქონ-დათ გაესხვისებინათ აღნიშნული უძრავი ნივთები ერთად. მან შესთავიზა პ-ს შეეძინათ ეს უძრავი ქონება, განეხორციელები-ნათ ინვესტირება და მოეხდინათ მისი განვითარება ერთობლი-ვი საქმიანობის ფარგლებში. თუმცა, პ-მა არ გამოთქვა ინტერე-სი, „ლ-სთან“ და „კ-სთან“ დაკავშირებით. იგი დაინტერესდა მხო-ლოდ „უ-ით“.

„უ-თან“ დაკავშირებით ამხანაგობის წევრებს შორის შედგა

შემდეგი ზეპირი შეთანხმება: ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში 900 000 აშშ დოლარად შეძენა ხდებოდა მოსარჩელის მეშვეობით, პ-ი იღებდა ვალდებულებას, განეხორციელებინა ინვესტირება უ-ის განსაკითარებლად 5 000 000 აშშ დოლარის ოდენობით, რის შემდგომაც, როგორც უ-ის ოპერირებიდან მიღებული შემოსავალი, ისე მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა უნდა გაყოფილიყო თანაბრად. ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც მინდობილ მესაკუთრეზე, გაფორმდებოდა მე-6 მოპასუხეზე.

ვინაიდან ზემოაღნიშნული სამი უძრავი ქონება განიხილებოდა ერთ პაკეტად და მესაკუთრების სურვილი იყო მათი ერთად გაყიდვა, მოსარჩელემ გადაწყვიტა, რომ ლ-ო და კ-ა შეეძინა მას და იგივე ფორმით ამ ქონების მინდობილი მესაკუთრე ყოფილიყო მე-6 მოპასუხე. ლ-სა და კ-ის შეძენის ხარჯები გაღებულ იქნა მხოლოდ მოსარჩელის მიერ და ამ ქონების საკუთრების მიმწობიც იგი იყო.

2004 წლის 30 დეკემბერს ზ. ა-ეს, შპს „გ-სა“ და კ-ას შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის სამი ხელშეკრულება, რომელთა შესაბამისადაც, საკუთრების უფლება უ-ზე, ლ-სა და კ-ზე, როგორც მინდობილ მესაკუთრეზე, გაფორმდა მე-6 მოპასუხეზე ისე, რომ მე-6 მოპასუხეს არანაირი ხარჯი არ გაუწევია და მისი კუთვნილი არანაირი თანხა არ გადაუხდია. ქონების შესაძენი თანხა მოსარჩელის ნარმომადგენელმა გადასცა მე-6 მოპასუხის მინდობილ პირს გ. ქ-ეს, რომელმაც გადაუხადა ქონების საფასური გამყიდველებს.

მიუხედავად მოსარჩელის მხრიდან არაერთი შეხსენებისა, ბ. პ-მა სავარაუდოდ, დაკარგა უ-ში ინვესტიციების განხორციელების ინტერესი და არ შეასრულა მის მიერ ნაკისრი 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტირების ვალდებულება, რის გამოც უ-ის პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა.

2006 წლის 16 აგვისტოს მოსარჩელის, როგორც საკუთრების მიმწობის დავალებით, მე-6 მოპასუხემ კ-აზე საკუთრების უფლება გადასცა შპს „მ. კ-ს“. პ-მა იცოდა რა, რომ კ-ა იყო მხოლოდ ჩ-ის ბენეფიციარულ საკუთრებაში, რა თქმა უნდა, არანაირი პრეტენზია არ განუცხადება ამ ქონების მესამე პირისათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

2007 წლის ზაფხულში უ-ის შეძენის ინტერესი გამოხატა შპს „მ. ს-ომ“. აღნიშნულის შესახებ მოსარჩელემ აცნობა პ-ს და უთხრა, რომ თუ იგი არ აპირებდა შეთანხმებული ინვესტიციის განხორციელებას, მაშინ მოსარჩელე ჩათვლიდა, რომ მისი მონაწი-

ლეობა ამ პროექტში დასრულდა და მას არანაირი ინტერესი აღარ უნდა ჰქონოდა უ-ის გასხვისებიდან მიღებულ შემოსავალ-ში.

პ-მა კვლავ თავი შეიკავა ინვესტიციების განხორციელებისა გან და, შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ კონკრეტული პროექტიდან ბ. პ-ის ინტერესი გამოირიცხებოდა და უ-ი გახდებოდა მხოლოდ მოსარჩელის საკუთრება და მისი გაყიდვის შემთხვევაში გაყიდვის შედეგად მიღებული სრული თანხა ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

2007 წლის 17 აგვისტოს მინდობილმა მესაკუთრემ, მე-6 მოასეუემ, მოსარჩელის, როგორც ბენეფიციარი მესაკუთრის დავალებით უ-ი მიჰყიდა შპს „მ. ს-ოს“ 12 275 000 აშშ დოლარად, საიდანაც მოსარჩელის დავალებით დაახლოებით 2 275 000 აშშ დოლარი გადახდილი იქნა მოგების გადასახადის სახით, ხოლო 10 000 000 აშშ დოლარი გადაერიცხა კომპანია S. A. I.-ს (შემ-დგომში „ს-ა“).

პ-ს აღნიშნული თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს, რადგან ყველაფერი განხორციელდა არსებული შეთანხმების შესაბამისად.

ბ. პ-ის გარდაცვალების შემდეგ, მის ცალკეულ კომპანიებთან და აქტივებთან დაკავშირებით პრეტენზი განაცხადა ბატონმა ჯ. კ-მ. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელის ხელთ არ იყო მე-6 მოპასუხის ბენეფიციარული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მე-6 მოპასუხესთან არსებული საკუთრების მინდობის ხელშეკრულება იყო ზეპირი, რის გამოც შეიძლება საფრთხე შექმნოდა მოსარჩელის ბენეფიციარულ საკუთრებაში მყოფ ლ-ოს, მან, როგორც ბენეფიციარმა მესაკუთრემ, მისცა დაგალება მინდობილ მესაკუთრის, მე-6 მოპასუხის წარმომადგენელს, გ. ქ-ეს ლ-ო მიეყიდა შპს „ს. ა-ს ჯ-სათვის“.

მოსარჩელის დავალების შესაბამისად, 2008 წლის 6 მარტს მე-6 მოპასუხემ ლ-ოზე საკუთრების უფლება გადასცა შპს „ს. ა. ჯ-“-ს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წასყიდობის ფასი, როგორც ქონების ბენეფიციარ მესაკუთრეს, ეკუთვნოდა და ეკუთვნის მოსარჩელეს.

რაც შეეხება ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში C. V. L-ზე რეგისტრირებული შპს „ს. თ. წ-ის“ შექმნასთან, მართვასთან და გასხვისებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, მოსარჩელემ მიუთითობით შემდეგი:

2006 წლის ზაფხულში მოსარჩელეს შეხვედრა ჰქონდა ბატონ ა. წ-თან, რომელმაც მას აცნობა, რომ ჰქონდა დავა თავის ყოფილ პარტნიორთან შპს „ს. თ. წ-ში“ (სთხ) წილებთან დაკავ-

შირებით, რის გამოც სთნ განიცდიდა ფინანსურ პრობლემებს და საჭიროებდა კრედიტს ბანკიდან. წ-მა მოსარჩევეს და პ-ს სთხოვა გაეწიათ დახმარება აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში და შესთავაზა აღნიშნული დახმარების სანაცვლოდ შპს „ს. თ. წ-ში“ წილის შეძენა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წ-სა და ერთობლივ საქმიანობას შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმად მოსარჩელისა და პ-ის მხრიდან დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ წ-ი ერთობლივ საქმიანობას გადასცემდა შპს „ს. თ. წ-ის“ წილის 70%-ს, ხოლო შპს „ს. თ. წ-ის“ წილის 30% დარჩებოდა მის საკუთრებაში.

ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში შპს „ს. თ. წ-სთან“ დაკავშირებით შედგა შეთანხმება, რომ ვინაიდან წილის შეძენა ხდებოდა არაფულადი შენატანებით, შპს „ს. თ. წ-ის“ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, როგორც ერთობლივი საქმიანობის მმართველს, ეკუთვნოდა ჩ-ს, ხოლო წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი უნდა განაწილებულიყო თანაბრად ამხანაგობის მონაწილეთა შორის.

ზემოაღნიშნული შეთანხმებების კონფიდენციალობის დაცვის მიზნით წ-ი და ერთობლივი საქმიანობის პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ შპს „ს. თ. წ-ის“ 100% წილზე საკუთრების უფლება გაფორმდებოდა მე-6 მოპასუხეზე, როგორც მინდობილ მესაკუთრეზე და შპს „ს. თ. წ-ის“ წილის 70%-ის ბენეფიციარი მესაკუთრე იქნებოდა ამხანაგობა, ხოლო 30%-ის ბენეფიციარი მესაკუთრე იქნებოდა წ-ი.

აღნიშნული შეთანხმებების შესაბამისად, მე-6 მოპასუხემ, როგორც მინდობილმა მესაკუთრემ, 2007 წლის 17 იანვარს წ-თან გააფორმა წილის შეძენის ხელშეკრულება. წილის საფასური არც მე-6 მოპასუხის და არც ამხანაგობის მიერ არ გადახდილა.

ბ. პ-ის გარდაცვალების შემდეგ, წ-მა და მოსარჩევემ, როგორც ერთობლივი საქმიანობის მმართველმა, გაწყვიტეს საკუთრების მინდობის ხელშეკრულება მე-6 მოპასუხესთან და მათი დავალებით მე-6 მოპასუხემ შპს „ს. თ. წ-ის“ წილის 100% 2008 წლის 6 მარტს გაასხვისა სპს „ს. ა. ჯ-ზე“, რომელიც, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენდა მინდობილ მესაკუთრეს.

2008 წლის 3 ივნისს შპს „ს. თ. წ-ის“ წილის ბენეფიციარი მესაკუთრების – წ-ისა და მოსარჩელის, როგორც ამხანაგობის მმართველის, დავალებით შპს „ს. ა. ჯ-ზე“ შპს „ს. თ. წ-ის“ წილი გაასხვისა სპს „ს. გ-ზე“, რომელიც, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენდა მინდობილ მესაკუთრეს.

მოგვიანებით, შპს „ს. თ. წის“ 30%-ს ბენეფიციარი მესაკუთრის (წ-ი) მოთხოვნით შპს „ს. გ-მა“ შპს „ს. თ. წ-აში“ წ-ის კუთვნილი წილი 30% გაასხვისა მის მიერ ნომინირებულ პირზე თ. ფ-ეზე.

2011 წლის დასაწყისში, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მოსარჩელის დევნით შეგულიანებულმა წ-მა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და იმ მოტივით, რომ ხელ-შეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საფასური მის-თვის გადახდილი არ ყოფილა, მოითხოვა მასსა და მე-6 მოპასუ-ხეს შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცხო-ბა.

სასამართლომ 2011 წლის 11 თებერვალს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით დაკმაყოფილდა წ-ის სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიეკცა დაუყონებლივ აღსასრუ-ლებლად და შპს „ს. თ. წ-ის“ 100% წილი სამენარმეო რეესტრში აღირიცხა წ-ის სახელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობა დადგა სერიოზული საფრთხის წინაშე დაეკარგა მისი კუთვნილი წილი შპს „ს. თ. წ-ში“. ამიტომ მოსარჩელე, როგორც ერთობლივი საქმიანობის მმართველი, დაუკავშირდა ბატონ ო. ჩ-ს და შესთავაზა შპს „ს. თ. წ-ში“ ერთობლივი საქმიანობის კუთვნილი წილის მასზე გასხვისება. ამავე დროს არსებული მდგომარეობის შესახებ წ-მა აცნობა ქალბატონ პირველ მოპასუხეს, როგორც ბ. პ-ის მემკვიდრეების ნარმომადგენელს და შესაბა-მისად, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს.

ერთობლივ საქმიანობასა და ო. ჩ-ს შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვით, შპს „ს. გ-ის“ (რომელიც თავის მხრივ იყო შპს „ს. თ. წ-ის“ 70% წილის მესაკუთრე) 100% წილს და შპს „ს. თ. წის“ მიმართ არსებულ მოთხოვნას შეიძენდა ო. ჩ-ი მის მიერ ნომინირებული კომპანიების მეშვეობით 2 500 000 აშშ დოლარად, საიდანაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შესაბა-მისად 1 250 000 აშშ დოლარი ეკუთვნოდათ ერთობლივი საქმი-ანობის მონაწილე ბ. პ-ის მემკვიდრეებს და 1 250 000 აშშ დო-ლარი ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2011 წლის მარტში გაფორმდა სამმხრივი შეთანხმება მოსარჩელეს, ო. ჩ-სა და პირველ მოპასუხეს, როგორც ბ-ს მემკვიდრეების ნარმომადგე-ნელს, შორის და ამ შეთანხმების შესაბამისად პირველმა მოპა-სუხემ, როგორც ამხანაგობის წევრების – ბ. პ-ის მემკვიდრეე-ბის ნარმომადგენელმა მიიღო შეთანხმებით გათვალისწინებუ-ლი თანხა.

მოსარჩელის, როგორც ერთობლივი საქმიანობის მმართველის დავალებით 2011 წლის 22 მარტს სპს „ს. გ-ის“ 100 % წილი გადაეცა მყიდველის მიერ ნომინირებულ კომპანიას „პ. მ. კ“-ს.

მოსარჩელის განმარტებით, მას შპს „ს. თ. წ-ის“ წილის გასხვისების შედეგად თანხა არ მიუღია.

რაც შეეხება ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში C. V. L-ზე რეგისტრირებული შპს „პ. კ“-სა და შპს „ჯ. ... კ“-ოს შეძენასთან, მართვასთან და გასხვისებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2004 წელს მას მიმართა ო. ჩ-მა და უთხრა, რომ პქონდა რამდენიმე კომპანია, რომელითაც იგი აწარმოებდა ჯართის ექსპორტის ბიზნესს და სურდა ფინანსური რესურსი ბიზნესის განსავითარებლად და იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაეხმარებოდა ფინანსური რესურსებით და კავშირებით, მზად იყო მისთვის გადაეცა ამ ბიზნესის 50%.

თ. ჩ-ის აღნიშნული წინადადება მოსარჩელემ აცნობა პ. პ-ს და შესთავაზა ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში შეეძინათ ო. ჩ-ის კუთხით კომპანიების 50%. პ-ი დათანხმდა მოსარჩელის შეთავაზებას და შეთანხმდნენ, რომ კომპანიების წილები გაფორმდებოდა მე-6 მოპასუხეზე, როგორც მინდობილ მესაკუთრეზე. განახორციელებდნენ კომპანიების ერთობლივ დაფინანსებას და თუ პ-ი შეასრულებდა კომპანიების დაფინანსების პირობას, ამ კომპანიებიდან საერთო საქმიანობის მიერ მიღებული შემოსავალი ერთობლივად გაწეული ხარჯების გამოკლებით განანილდებოდა თანაბრად, ისევე როგორც მათი გაყიდვიდან მიღებული მოგება, მაგრამ, როდესაც ამხანაგობამ რეალურად დაწყო ეს პროექტი, პ-ს რაიმე ფულადი ან სხვა ქონებრივი მონაწილეობა არ მიუღია კომპანიების განვითარებაში და არც მართვაში არ ყოფილა ჩაბმული, ხოლო მოსარჩელის დახმარებით ო. ჩ-ის კომპანიებმა აიღეს სესხები, რითაც მის მიერ თ. ჩ-ისათვის მიცემული პირობა შესრულებულ იქნა.

2004 წლის 7 ოქტომბერს, მე-6 მოპასუხების, როგორც მინდობილი მოპასუხების სახელზე გაფორმდა შპს „პ. კ-ასა“ და შპს „ჯ. კ-ოს“ წილების 50-50%.

2007 წლის ივლისსა და ოქტომბერში მე-6 მოპასუხებმ, როგორც მინდობილმა მესაკუთრემ, მოსარჩელის დავალებით, პ. პ-ის მხრიდან რამე შენატანის განხორციელების გარეშე დამატებით შეიძინა შპს „პ. კ-ა“-ს და შპს „ჯ. კ“-ოს წილების 16-16% და შესაბამისად, საერთო საქმიანობის წილებმა შეადგინა 66-66%.

გამომდინარე იქიდან, რომ პ. პ-ს არც კომპანიების შეძენაში და არც მათ შემდგომ დაფინანსებასა და მართვაში არანაირი

ფინანსური და სხვა სახის მონაწილეობა არ მიუღია, არსებული შეთანხმების შესაბამისად, მას არანაირი წილი ამ კომპანიებში არ ეკუთვნოდა და არ ეკუთვნის, აგრეთვე არ ეკუთვნოდა და არ ეკუთვნის კომპანიებიდან მიღებული შემოსავალი.

2008 წლის 10 მარტს, მოსარჩევემ შეწყვიტა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება მე-6 მოპასუხებასთან და მისი დავალებით, მე-6 მოპასუხებაშპს „პ. ჯ-ას“ და შპს „ჯ. ... კ-ოს“ წილები გადაუფორმა მოსარჩელის მიერ ნომინირებულ შპს „ს. ა. ჯ-ას“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „პ. ჯ-ას“ და შპს „ჯ. ... კ-ოს“ წილები და ამ წილებიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ეკუთვნოდა და ეკუთვნის მხოლოდ მოსარჩელეს.

რაც შეეხება ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში კომპანია B. T. L-ზე რეგისტრირებული სს „ფ. წ-ას“ შეძენასთან, მართვასთან და გასხვისებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, მოსარჩელემ განმარტა შემდეგა:

2004 წლის ზაფხულში პ-მა მოსარჩევეს შესთავაზა ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში შეეძინათ წ-ის აქციათა საკონტროლო პაკეტი. მოსარჩევე დაეთანხმა აღნიშნულ შემოთავაზებას და მხარეები შეთანხმდნენ, რომ საერთო სახსრებით შეიძნდნენ წ-ის აქციებს და გააფორმებდნენ მე-5 მოპასუხებე. შეთანხმების შესაბამისად, 2004 წლის ივლისში, წ-ის აქციათა 92.5%-543 848 ცალი აქცია მე-5 მოპასუხემ შეიძინა დაახლოებით 1 5000 000 აშშ დოლარის ექვივალენტად ლარში.

თავდაპირველად ამხანაგობის მონაწილეთა განზრახვა მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა ემართათ ეს ბიზნესი ერთობლივად და, როგორც შემოსავალი, ისე გაყიდვის შემთხვევაში მიღებული თანხა, თანაბრად უნდა განაწილებულიყო.

2004 წლის შემოდგომაზე, გამომდინარე იქიდან, რომ წ-ს აღმოჩნდა იმაზე გაცილებით დიდი კრედიტორული დავალიანება, ვიდრე ეს ამხანაგობისთვის იყო ცნობილი და კომპანიას ჰქონდა ძალზე ცუდი ფინანსური მდგომარეობა, პ-მა სთხოვა მოსარჩელეს, რომ წ-ი ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში ემართა მას, შესაბამისად, პ. თანახმა იყო, რომ ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ყოფილიყო მოსარჩელის, რომელსაც უნდა ეზრუნა მიმდინარე ვალების გასტუმრებაზე, ხოლო აქციების რეალიზაციის შემთხვევაში მიღებული მოგება განაწილებულიყო მხარეებს შორის თანაბრად. მოსარჩევე დათანხმდა შეთავაზებას და შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის ამ აქტივის მართვა დაიწყო მან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-5 მოპასუხის მიერ მინდობილობა გაიცა გ. ქ-ეზე.

2008 წლის 5 მარტს წინამდებარე სარჩელში აღნიშნული მიზეზების გამო გ. ქ-ემ, როგორც მინდობილი მესაკუთრის მე-5 მოპასუხის წარმომადგენელმა, წ-ის აქციები გადაუფორმა შპს „ს. ა. ჯ-ას“, როგორც ასევე ერთობლივი საქმიანობის მინდობილ მესაკუთრეს. რადგან ეს იყო ერთობლივი საქმიანობის მინდობილ მესაკუთრების შორის დადგებული გარიგება, აქციების ღირებულება შპს „ს. ა. ჯ-ას“ მიერ არ გადახდილა.

პ-ის გარდაცვალების შემდგომ მოსარჩელებ არაერთხელ მიმართა მის მემკვიდრეებს ერთობლივი საქმიანობის მიმდინარე საკითხების დარეგულირების თაობაზე, თუმცა წაცვლად შეთანხმებისა და საკითხების განხილვისა, ადგილი ჰქონდა სრულიად დაუსაბუთებელ მოთხოვნებს, რასაც დაემატა პერიოდული შეურაცხმყოფელი კამპანიები როგორც ბეჭდურ და ინტერნეტ მედიაში, ასევე ტელევიზიაში, რის გამოც ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დადგენის მიზნით მოსარჩელე იძულებული გახდა მიემართა სასამართლოთვის.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით:

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მონაცემები არ შეესაბამება რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს: არცერთი დოკუმენტით ან მტკიცებულებით არ დასტურდება მოსარჩელესა და ა. (ბ.) პ-ს შორის დავალების ხელშეკრულების და/ან ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების არსებობა, ასევე არ დასტურდება საკუთრების მინდობის ხელშეკრულების არსებობა შესაბამის მხარეებს შორის. C. V. L წარმოადგენდა მოსარჩელი-საგან დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მის სახელზე რეგისტრირებული ქონებების რეალური მესაკუთრეს, ხოლო ამ კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრე იყო ა. (ბ.) პ-ი. B. T. L. წარმოადგენდა მოსარჩელისაგან დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მის სახელზე რეგისტრირებულ ქონების რეალურ მესაკუთრეს, ხოლო ამ კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრე იყო ა. (ბ.) პ-ი.

ი. ჩ-ი წარმოადგენდა მხოლოდ ა. (ბ.) პ-ის ერთ-ერთ მენეჯერს და მას არ გააჩნდა რაიმე ინტერესი სადაც ქონებებზე.

მოპასუხებმა აზრით, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგენილ იქნა ი. ჩ-ს და ა. (ბ.) პ-ს შორის 2004 წელს ზეპირი დაგალების ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომლის თანახმად ი. ჩ-მა დაავალა, ხოლო ა. (ბ.) პ-მა იკისრა ვალდებულება დაეფუძნებინა უცხოური კომ-

პანია, რომელიც მოსარჩელის ბენეფიციარულ სკუთრებაში უნდა ყოფილიყო და ი. ჩ-ი ცნობილ იქნა ამ კომპანიის, C. V. L-ის ბენეფიციარ მესაკუთრედ; დადგენილ იქნა, რომ ი. ჩ-სა და ა. პ-ს შორის 2004 წლის ივლისში დაიდო ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომელიც შეწყდა 2013 წლის 26 დეკემბერს; დადგენილ იქნა, რომ ი. ჩ-ი იყო სამი უძრავი ქონების, კერძოდ: ა) უ-ი თ-ის (უძრავი ქონების სარეგისტრაციაზე №....) ბ) მინის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის ლ-ში (საკადასტო კოდი) და გ) ქ. თბილისში, ფ-ის ქ. №..-ში მდებარე მინის ნაკვეთის (სარეგისტრაციაზე №....) ბენეფიციარი შესაკუთრე C. V. L-ის მიერ მათი გაყიდვის მომენტში და ამ უძრავი ქონებების რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნის ი. ჩ-ს; დადგენილ იქნა, რომ ა) ერთობლივი საქმიანობის კუთვნილი შპს „ს. თ. წ-ის“ 70% წილი C. V. L-ის მიერ მისი გაყიდვის მომენტში წარმოადგენდა ი. ჩ-ის, ი. გ-ის, ლ. ჟ-ას, ი. პ-ისა და ნ. პ-ის ერთობლივი საქმიანობის საკუთრებას და მათი რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნიდა ამ ერთობლივ საქმიანობას, ბ) ერთობლივი საქმიანობის კუთვნილი შპს „ს. თ. წ-ის“ 70 % წილის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან ამხანაგობის ნევრებმა ი. გ-ემ, ლ. ჟ-ამ, ი. პ-მა და ნ. პ-მა მიღებს მათი კუთვნილი წილები; დადგენილ იქნა, რომ შპს „პ. ჯ-ა“-ს 66% წილის და შპს „ჯ. გ-ოს 66 % წილის ბენეფიციარ მესაკუთრეს C. V. L-ის მიერ მათი გაყიდვის მომენტში წარმოადგენდა ი. ჩ-ი და მათი რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნის ი. ჩ-ს; დადგენილ იქნა, რომ ა) ერთობლივი საქმიანობის კუთვნილი სს „ფ. წ-ას“ აქციათა 92,5 %-543 848 ცალი აქცია B. T. L-ის მიერ მათი გაყიდვის მომენტში წარმოადგენდა ი. ჩ-ის, ი. გ-ის, ლ. ჟ-ას, ი. პ-ისა და ნ. პ-ის ერთობლივი საქმიანობის საკუთრებას და მათი რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნიდა ამ ერთობლივ საქმიანობას ბ) ი. ჩ-ი ცნობილ იქნა კომპანია B. T. L -ის ბენეფიციარ მესაკუთრედ; დადგენილ იქნა, რომ ი. ჩ-ის, ი. გ-ის, ლ. ჟ-ას, ი. პ-ისა და ნ. პ-ის ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის მომენტისათვის ერთობლივი საქმიანობის ქონებას წარმოადგენდა მხოლოდ სს „ფ. წ-ას“ აქციათა 92,5 %-543 848 ცალი აქცია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს B. T. L -მა, C. V. L-მა, ი. გ-ემ, ლ. ჟ-ამ, ი. პ-მა და ნ. პ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 იანვრის განჩინებით B. T. L -ის, C. V. L-

ის, ი. გ-ის, ლ. უ-ას, ი. პ-ისა და ნ. პ-ის საპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ივ-ლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად და-უბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სარ-ჩელი აღძრულია რამდენიმე მოპასუხის მიმართ, რამდენიმეა ასევე სასარჩელო მოთხოვნაც, განსხვავდება სასარჩელო მოთ-ხოვნების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, თუმ-ცა მოსარჩელე კონკრეტულად არ ასახელებს თითოეულ სასარ-ჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში უშუალო მოპასუხეს. ამას-თან, სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლად მითითებული ფაქ-ტები მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებე-ბის გათვალისწინებით, საჭიროებს უფრო მეტ სიზუსტეს და თანმიმდევრობას, რათა ნათლად წარმოჩნდეს ფაქტობრივი გა-რემოებების ურთიერთკავშირი და მათ შორის სამართლებრი-ვად მნიშვნელოვანი ლოგიკური განვითარების არსებობა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ სარჩელზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება – მისი დაკ-მაყოფილება ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შეიძლება ეფუძნებოდეს სარჩელის დასაბუთებულობას ან მის დაუსაბუ-თებლობას, უსაფუძვლობას. ამასთან, თუ მოთხოვნის არსი და მისი საფუძვლი ბუნდოვანია, საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფ-ლება აქვს მხარეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ხელს შე-უწყობენ საქმის გადაწყვეტილისათვის მნიშვნელობის მქონე გა-რემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებე-ბის დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სა-სამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამოვლევას.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულის დადგენის აუცილებლობა წარმოადგენს ასევე საფუძველს იმისა, რომ საქმე დაბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილვე-ლად.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 377-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით განმარტა, რომ გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება და იმის გან-საზღვრა, სწორად დაკმაყოფილა თუ არ სასამართლომ ესა თუ ის მოთხოვნა, შეუძლებელია, თუ პირველი ინსტანციის სასა-მართლოს მიერ არ არის გარკვეული მოთხოვნის არსი, მისი სა-ფუძველი. პალატამ აღნიშნა, რომ მხარეების მიერ დავის საგ-

ნის განსაზღვრა დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს შეცვალოს მოთხოვნის ფარგლები, სარჩელის საგანი და საფუძველი. თბილისის საქალაქო სასამართლომ უნდა გაარკვიოს მოსარჩელის მოთხოვნის არსი, საფუძველი და ისე იმსჯელოს მის საფუძვლიანობასა თუ დასაბუთებულობაზე.

პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღმრულია აღიარებითი სარჩელი.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნები ძირითადად აღიარებითი ხასიათისაა, რომლის განხილვა-გადაწყვეტისათვის აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული ინტერესის არსებობა სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთ აღიარებასთან მიმართებაში.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან, რომლებიც მიშართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ედავება (ეცილება) მას ამ უფლებაში. ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობისათვის საჭიროა: ა) არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, ე. ი. მოპასუხე უნდა ეცილებოდეს (ედავებოდეს) მოსარჩელეს უფლებაში (მაგალითად, საკუთრების უფლებაში, მოთხოვნის უფლებაში და ა.შ.); ბ) ასეთი დავა უნდა ქმნიდეს ამ უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა, დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადაწყვეტილებას სრულიად გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის, ის უნდა ქმნიდეს უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც დაირღვა მხარეთა შორის ნამოქროილი დავის გამო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული ინტერესის არსებობის გამორკვევა წარმოადგენს აღიარებითი სახის სარჩელის დასაშვებობის ძირითად წინაპირობას. აღნიშნული, თავის მხრივ,

მჭიდროდ უკავშირდება საკითხის გამორკვევას, ნამდვილად აღიარებითი სარჩელი გვაქვს სახეზე, თუ სინამდვილეში მო- სარჩელეს სურს მიუუთვნებითი სარჩელის აღძვრა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში წი- ნამდებარე სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე შეუძლებე- ლია მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დადგენა. სასამართლომ ნამდვილ იურიდიულ ინტერესად ვერ შეაფასა მოსარჩელის განმარტება, რომ წინამდებარე სარჩელის დაკმა- ყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულ- ნილად წარმოადგენს ინგლისისა და უელსის შართლშსაჯულე- ბის მაღალ სასამართლოშიც. ჩ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურე- ბის მოთხოვნით აღძრული სარჩელისაგან თავის დაცვის საშუა- ლებას, ანუ შესაგებელს.

პალატის აზრით, უფრო მეტ სიზუსტეს და კონკრეტულო- ბას მოითხოვს ასევე 2004 წლის ივლისში ერთობლივი საქმია- ნობის ხელშეკრულების დადებულად, ხოლოდ 2013 წლის 26 დე- კემბერს შეწყვეტილად ცნობისა და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული უფლებების და- დასტურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის იურიდიული ინ- ტერესი. სასამართლომ მიიჩნია, რომ დამატებითი დაზუსტე- ბისა და სიცხადის გარეშე მოსარჩელის ნამდვილ იურიდიულ ინ- ტერესად ვერ შეფასდება ის გარემოება, რომ მართალია, ამ მო- მენტში რეალურად მოსარჩელის ინეტრესები დარღვეული არ არის, მაგრამ შესაძლოა მომავალში მოპასუხეებს წარმოეშვათ გარკვეული პრეტენზიები ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრუ- ლებიდან და მოსარჩელებ სწორედ წინამდებარე სარჩელზე მი- ღებული გადაწყვეტილებით უნდა დაადასტუროს თავის უფლე- ბები ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. აღნიშ- ნულთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი დაგის შედეგისადმი პირის სუ- ბიექტური დამოკიდებულებით არ განისაზღვრება. აღიარები- თი სარჩელით უნდა მიიღწეოდეს იმ სამართლებრივი სიკეთის (უფლების) აღდგენა, რაც კანონმდებლობის მიხედვით მინიჭე- ბული ჰქონდა მოსარჩელეს. მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს მისთვის დადებითი სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამდენად, იუ- რიდიული ინტერესს არსებობა გულასხმობს იმ შედეგების მი- თითებას, რომლის მიღწევის უზრუნველსაყოფადაც მოსარჩე- ლებ მიმართა სასამართლოს აღიარებითი სარჩელით. ამდენად, მოსარჩელე მხარეს მართებს მიუთითოს და დაზუსტებოს აღ- ძრული სარჩელის სწორი იურიდიული ინტერესი თითოეულ აღი-

არებით მოთხოვნასთან მიმართებით. მაგალითად, მოსარჩეულე ითხოვს დადგენილ იქნას მასსა და ა. (ბ.) პ-ს შორის 2004 წელს ზეპირი დავალების ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომლის თანახმად ი. ჩ-მა დაავალა, ხოლო ა. (ბ.) პ-მა იკისრა ვალდებულება დაეფუძნებინა უცხოური კომპანია; ითხოვს დადგინდეს, რომ უძრავი ქონების, კერძოდ (ა) უ. თ-ის (უძრავი ქონების სარეგისტრაციო №...), (ბ) მინის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების ლ-ში (საკადასტრო კოდი ...) და (გ) ქ. თბილისში, ფ-ის ქ. №....ში მდებარე მინის ნაკვეთის (სარეგისტრაციო №...) ბენეფიციარი მესაკუთრე C. V. L-ის მიერ მათი გაყიდვის მომენტში იყო იგი და ამ უძრავი ქონებების რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნის ი. ჩ-ს; ასევე, ი. ჩ-ი ცნობილ იქნეს კომპანია B. T. L-ის ბენეფიციარ მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქართული კანონმდებლობის თანახმად (საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“), ზეპირი დავალების ხელშეკრულების საფუძველზე სანარმოს დაფუძნება შეუძლებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-729 მუხლებით არ არის განსაზღვრული საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება. შესაბამისად, არც მოსარჩელეს მიუთითებია და არც სასამართლომ იქონია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ქვეყნის მატერიალური ნორმის საფუძველზე მიიღწევა ზეპირად დადებული გარიგებებით ისეთი იურიდიული ინტერესი, როგორიცაა პირის პარტნიორად, ნილის ან სხვა ქონების მინდობილ მესაკუთრედ, ან ბენეფიციარად (საკუთრების მიმნდობი ან მის მიერ დასახელებული მესამე პირი ვის ინტერესებშიც ხორციელდება მინდობილი საკუთრების მართვა) ცნობა.

პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა „ბენეფიციარ მესაკუთრესთან“ მიმართებაში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით ენინააღმდეგება ამავე კანონის მიზნებს და განმარტა, რომ აღნიშნული კანონი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლენასთან და ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სპეციალურ ურთიერთობებს, რაც თავის მხრივ, უკავშირდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას. შესაბამისად, ამ კანონის ფარგლებში არ შეიძლება განხორციელდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის თუ შეწყვეტის საკითხების რეგლამენტაცია.

სასამართლოს აზრით, „საერთაშორისო კერძო სამართლის

შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სრულყოფილ კვლევას საჭიროებს წინამდებარე დავასთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია (საერთაშორისო განსჯადობა) და იმ შემთხვევაში თუ დადგინდება კომპეტენციის არსებობა უნდა გაირკვეს კონკრეტულად რომელი ქვეყნის მატერიალური კანონმდებლობით უნდა მოხდეს დავის გადაწყვეტა, ანუ საკითხი, თუ რომელი ქვეყნის სამართლი უნდა იქნეს გამოყენებული მოცემულ, უცხო ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დროს.

საქმის მასალებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე B. T. L-ი და C. V. L-ი ნარმოადგენენ უცხო ქვეყნის სამართლის საფუძველზე, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ხოლო სარჩელი შეეხება მოსარჩელის მიერ მესამე პირისათვის კომპანიის დაფუძნების თაობაზე ნდობითი ფუნქციის მინიჭების – საკუთრების მინდობის დადასტურებულად აღიარების და ი. ჩ-ის „ბენეფიციარ“ მესაკუთრედ ცნობის საკითხს

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. ჩ-მა შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სარჩელი აღძრული იყო რამდენიმე მოპასუხის მიმართ, რამდენიმეა ასევე სასარჩელო მოთხოვნაც, განსხვავდება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა მოსარჩელე კონკრეტულად არ ასახელებს თითოეულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში უშუალო მოპასუხეს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქმეში არის ექვსი მოპასუხე, სასარჩელო მოთხოვნების ნაწილი ეხება მხოლოდ ოთხ მოპასუხეს (ა. პ-ის მემკვიდრეებს, შემდგომში მემკვიდრეები), ნაწილი ხუთ მოპასუხეს, კერძოდ, პირველი, მეორე და მესვიდე სასარჩელო მოთხოვნები ეხება მემკვიდრეებს, მესამე, მეორე და მეხუთე სასარჩელო მოთხოვნები ეხება მემკვიდრეებსა და კომპანია C. V. L-ს, ხოლო მეექვსე სასარჩელო მოთხოვნა ეხება მემკვიდრეებსა და კომპანია B. T. L-ს. არც სარჩელის ფორმა

და არც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონკრეტული მოპასუხის მითითების სავალდებულობას სასამართლოს სრული შესაძლებლობა ჰქონდა მოეხდინა სასამარჩელო მოთხოვნებისა და შესაბამისი მოპასუხის იდენტიფიცირება და არც მოპასუხებს საქმის განხილვის პროცესში არ დაუყენებიათ საკითხი იმის შესახებ, რომ მათგვის გაუგებარი იყო თუ რომელ სასარჩელო მოთხოვნაზე ვინ იყო მოპასუხე. სარჩელში ნათლად არის ჩამოყალიბებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ეფუძნება სასარჩელო მოთხოვნები, ყველა ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებაში მითითებულია შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა სასამართლო პროცესზე და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სრულად იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ემსჯელა მოსარჩელის მოთხოვნების საფუძვლიანობაზე.

რაც შეეხება სამართლებრივ საფუძვლებს, როგორც სარჩელში (შესაბამისი ფორმის მოთხოვნების დაცვით), ასევე საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე, თითოეულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსარჩელის ნარმომადგენლებმა მიუთითეს იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომლებზეც ისინი ამყარებდნენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებს. თბილისის საქალაქო სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში იმსჯელა ამ სამართლებრივ საფუძვლებზე და მიიღო დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ მოსარჩელის ნამდგვილი იურიდიული ინტერესის დადგენას, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო საჩიტრის ავტორის აზრით, სასამართლოს მსჯელობა არ შეესაბამება კანონმდებლობას და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ ა) მემკვიდრები სადაცოდ ხდიან მოპასუხე კომპანიებზე ი. ჩ-ის საკუთრების უფლებას, ეს თავად მათ შესაგებლებში გაცხადებული მსჯელობით არის დადასტურებული, მოპასუხე კომპანიები კი სადაცოდ ხდიან სადაცო აქტივებზე მოსარჩელის უფლებას, რაც დასტურდება როგორც მათ მიერ ლონდონის სასამართლოში შეტანილი სარჩელით, ისე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში შეტანილი არაერთი განცხადებით და საჩივრით, რაზეც მიმდინარეობდა გამოძიება, ანუ სახეზეა და სადაცო არ არის მოპასუხეთა მხრიდან საკუთრების უფლებაში

შეცილების ფაქტი; ბ) მოპასუხეთა მხრიდან გაცხადებული შეცილება უკვე წარმოადგენს მოსარჩელის უფლების დარღვევას კომპანიების საკუთრებასთან მიმართებაში და თუ არ დადგინდა მოსარჩელის უფლებები სადაცო ქონებებთან დაკავშირებით, მოპასუხეთა მხრიდან გაცხადებული პრეტენზიები საშიშროებას უქმნის მოსარჩელის უფლებებს სხვა სადაცო აქტივებთან დაკავშირებით; გ) აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით დადასტურდება მოსარჩელის საკუთრების უფლება სადაცო აქტივებზე, წათლად განისაზღვრება მხარეთა შორის არსებული უფლება-მოვალეობები, დადგინდება ამხანაგობის შეწყვეტის შედეგად გასანაწილებელი ქონების ნუსხა, რითაც დასრულდება მხარეთა შორის არსებული დავა ქონებებთან დაკავშირებით, ხოლო რაც შეეხება კომპანიების ნილებზე საკუთრებას, ეს გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს მოსარჩელეს აღძრას მიკუთვნებითი სარჩელი ამ ნილებთან დაკავშირებით. მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა არაერთხელ დასაბუთდა მოსარჩელის მხრიდან როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დავალების ხელშეკრულებისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ფორმებთან დაკავშირებით არ შეესაბამება კანონს, რადგან მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმების მითითება ამ შემთხვევაში არასწორია, ვინაიდან საუბარი გვაქვს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე კომპანიების დაფუძნებაზე და ის გარემოება, რომ ზეპირი დავალების ხელშეკრულების საფუძველზე არ შეიძლება ქართული სამეწარმეო პირების დაფუძნება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის განხილვისას. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დავალების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად, რაც განხორციელდა კიდევაც მოცემულ შემთხვევაში და დავალების ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონმდებლობა იყო ქართული, ხოლო თვით კომპანიები დაფუძნდნენ რეგისტრაციის ადგილზე არსებული კანონმდებლობის მიხედვით. რაც შეეხება საკუთრების მინდობას, მართალია საკუთრების მინდობის ხელშეკრულება უნდა არსებობდეს წერილობითი სახით და ეს მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში დაცული არ იქნა, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა გარიგების ბათოლობის შედეგების მარეგულირებელი ნორმებით და მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება. მხარეები, ერთ შემთხვევაში ო. ჩ-ი და ა. პ-ი წარმოად-

გენდნენ საქართველოს მოქალაქეებს, დავალებისა და ამხანა-გობის ხელშეკრულებები დაიდო საქართველოში ქართული კა-ნონმდებლობის შესაბამისად, დავალების ხელშეკრულების შეს-რულების ადგილი იყო უცხოეთი, ხოლო ამხანაგობის ხელშეკ-რულების შესრულების ადგილი იყო საქართველო. მეორე შემ-თხევებში საკუთრების მინდობის ხელშეკრულებები დაიდო ო. ჩ-სა ან ამხანაგობასა და ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულზე და-ფუძნებულ კომპანიებს შორის საქართველოს კანონმდებლო-ბის მიხედვით და გარიგების საგანი იყო როგორც უძრავი ქონე-ბა, ისე აქციები და წილები, რომელიც მდებარეობდნენ საქარ-თველოში და ამ კომპანიების წარმომადგენელი პირი იყო სა-ქართველოს მოქალაქე და ცხოვრობდა საქართველოში. შესა-ბამისად, ყველა ზემოაღნიშნულ გარიგებასთან მიმართებაში გა-მოყენებული უნდა ყოფილიყო ქართული კანონმდებლობის ნორ-მები და არანაირი უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენების აუ-ცილებლობა არ არსებობდა.

საკასაციო საჩივრის აგტორის აზრით, სააპელაციო სასამარ-თლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქარ-თველოს კანონი და სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირ-ველი ნაწილი.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის პირველი მუხლის „დ“ პუნქტი იძლევა ბენეფიცი-არი მესაკუთრის განმარტებას (ბენეფიციარი მესაკუთრე – პი-რი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფუ-ლად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისათ-ვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია) და გამომდინარე იქ-დან, რომ მხარეთა შორის საკუთრების მინდობის ხელშეკრუ-ლება დადებულია ზეპირი ფორმით (სამოქალაქო კოდექსის 724-729 მუხლებით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად), მო-სარჩელე აღნიშნული კანონის საფუძველზე ითხოვს მის ბენე-ფიციარული საკუთრების აღიარებას. განსახილველ შემთხვე-ვაში, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ბენეფიციარი მესაკუთრის განმარტებას, სასამართლოს სამოქალაქო კოდექ-სის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის სფუძველზე ანალოგით უნ-და გამოეყენებინა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესა-ხებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „დ“ პუნქტი.

კასატორის აზრით, საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის კანონს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ენი-ნააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება, რომ „სა-ერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანო-

ნიდან გამომდინარე სრულყოფილ კვლევას საჭიროებს დავასთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია და იმ შემთხვევაში თუ დადგინდება კომპეტენციის არსებობა, უნდა გაირკვეს კონკრეტულად რომელი ქვეწის მატერიალური კანონმდებლობით უნდა მოხდეს დავის გადაწყვეტა.

კასატორის აზრით, საქართველოს სასამართლოს კომპეტენციის საკითხი არ საჭიროებს დამატებით კვლევას, ვინაიდან აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე აპელაციის დროს, კერძოდ, „საერთაშორისო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, მოცემულ შემთხვევაში, ერთ-ერთი მოპასუხის, კერძოდ 6. პის საცხოვრებელი ადგილი არის საქართველო. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა. მოცემულ საქმეში სადაც ხელშეკრულებების (დავალების ხელშეკრულება, ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებები) შესრულების ადგილი არის საქართველო.

ამასთან, ამავე კანონის მეთე მუხლის „ა“ პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას იმ სარჩელებზე, რომელიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია. განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს სამი უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს საქართველოში. საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენცია გამოირიცხავს სხვა ქვეყნების სასამართლოების კომპეტენციას საქართველოში არსებულ უძრავ ქონებებთან დაკავშირებულ დავებზე. ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ცალსახად ცხადყოფს, რომ საქართველოს სასამართლოს აქვს კომპეტენცია და ყველანაირი სამართელბრივი საფუძველი, რათა განიხილოს მოცემული დავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებების

შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 15 მაისის განჩინებით ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 იანვრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 იანვრის განჩინებაში მითითებული საპროცესო გარემოებები არ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო განეხორციელებინა ის საპროცესო მოქმედებები და დაედგინა საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგენაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დაავალა, მიეცა მათვის სამართლებრივი შეფასება და გამოეტანა არსებითი გადაწყვეტილება საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვეტოს იგი. ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი, ერთის მხრივ, უთითებს პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძვლებზე, ხოლო, მეორეს მხრივ, სასამართლოს ადლევს უფლებას, ამ საფუძვლების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტიდან გამომდინარე, შეაფასოს რა უფრო მართებულია – მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა თუ საქმის ხელახლა განსახილველად პირველ ინსტანციაში დაბრუნება.

ზემოაღნიშნული განპირობებულია სამართლიანი სასამარ-

თლოს უფლებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და თავის თავში მოიცავს ადამიანის უფლებას მისი საქმე გონივრულ ვადაში, სწრაფად და ეფექტიანად განიხილოს სასამართლომ (Profitis and Others v. Greece, §93; Tierce v. San Marino, §31; Surmeli v. Germany [GC], §129; Capuano v. Italy, §§30-31; Versini v. France, §29), რაც წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ თითოეული პირის უფლება გონივრულ ვადაში შიაღწიოს საბოლოო გადაწყვეტილებას დავაზე, რომელიც მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალებების განხორციელებას ეხება (Scordino v. Italy (no.1) [GC] §183, Surmeli v. Germany [GC], § 129).

თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.

სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტანდარტის ჭრილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების განხილვა, თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი, კერძოდ: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; ე) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული; ვ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლების მიერ, რომლებიც საქმის განხილვაში ადრე მონაბილეობდენ; ზ) საქმეში არ არის სასამართლოს სხდომის ოქმი – პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მონაბილეობის და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტური უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, როდე-

საც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, საადაც მოხდა აღნიშნული დარღვევა.

თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: а) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკამარისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია – ნარმოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს აზრით, იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების მართებულობა-არამართებულობის შეფასების საშუალებას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: (1) რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; (2) ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება, და (3) ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1118-1145-2011; 2015 წლის 23 თებერვლის №ას-1234-1175-2014 განჩინება).

აღნიშნულს მოითხოვს, აგრეთვე, რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპები, რომლებიც გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები №ას-402-764-05 23 ივნისი, 2005 წელი; №ას-657-618-2012, 10 დეკემბერი, 2012 წელი; №ას-1308-1234-2012, 4 თებერვალი, 2013 წელი)

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოსთვის საქმის უკან დაბ-

რუნების საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ პუნქტზე (გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია), სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული თითოეული პროცესუალური გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის უკან დაბრუნებას, უნდა შეფასდეს ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

პირველი პროცესუალური გარემოება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობა დაასაბუთა, მდგომარეობს შემდეგში:

1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სრულყოფილ კვლევას საჭიროებს წინამდებარე დავასთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია (საერთაშორისო განსჯადობა)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტულ დავასთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა არის სამართლის და არა ფაქტის საკითხი. ამიტომ აღნიშნული საფუძვლით საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მოთხოვნებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში წინამდებარე საქმის განხილვის დროს მხარეებმა სასამართლოს განსჯადობის თაობაზე წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები. მოპასუხეებმა მოითხოვს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის არქონის გამო საქმის განხუხილველად დატოვება ან ინგლისისა და უელსის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე საქართველოს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შეჩერება, რასაც არ დაეთანხმა მოსარჩევე. სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი მსჯელობის საგანი იყო სასამართლოს მთავარ სხდომაზეც (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 აპრილის მთავარი სხდომის ელექტრონული ჩანაწერი, 11:07:46 – 11:15:29), თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრება არ გამოუხატავს. სასამართლომ საქმე არსებითად განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცავს მსჯელობას მისი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ.

საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი მოპასუხეების მიერ დაყენებულ იქნა სააპელაციო

სასამართლოშიც.

ასეთ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს თავად უნდა გამოეკვლია საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი და სანინააღმდეგო დასკვნამდე მისვლის შემთხვევაში (მოცემულ დავასთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოებს არ აქვთ საერთაშორისო განსჯადობა), შეეწყიტა დავის ჩარმოება.

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეამოწმა ექვემდებარება თუ არა მოცემული საქმე საქართველოს სასამართლოებს უწყებრივად და მიიჩნევს, რომ ამ საქმეთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

უცხო ელემენტის შემცველ დავებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის დადგენისას ხელმძღვანელობენ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლის ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს სასამართლოები განიხილვენ სამოქალაქო საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები. ასეთ საქმეებთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინ, თუ მოპასუხის რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია. ასეთ საქმეებთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინაც, თუ მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.¹

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ საქმეში რამდენიმე მოპასუხეა – ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია 6 მოპასუხის ნი-

¹ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, მე-9 მუხლის „ა“ პუნქტი

ნააღმდეგ, რომელთაგან ერთ-ერთ მოპასუხეს – ნ. პ-ს საცხოვ-რებელი ადგილი საქართველოში აქვს. შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით საქართველოს სასამართლოებს მოცემული დავის მიმართ აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს ნარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ მან ა. (ბ.) პ-თან დადო დავალებისა და ერთობლივი საქმიანობის, ხოლო მე-5 და მე-6 მოპასუხებთან (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე დაფუძნებულ კომპანიებთან) საკუთრების მინდობის ზეპირი ხელშეკრულებები. აქედან დავალების ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ხოლო ერთობლივი საქმიანობისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებების შესრულების ადგილს წარმოადგენდა საქართველო, რამდენადაც ისინი ეხებოდა საქართველოში მდებარე უძრავი ნივთებისა და რეგისტრირებული კომპანიების ნილების მართვასა და განკარგვას.

შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს მოცემული დავის მიმართ აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მინის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული კომპეტენცია აქვთ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სამი უძ-

რავი ნივთი: (ა) უ. თ-ი (უძრავი ქონების სარეგისტრაციო № ...) („უ-ი“), ბ) მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები ლ-ში (საკადას-ტრო კოდი № ...) („ლ-ო“) და გ) ქ. თბილისში, ფ-ის ქ. №..-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო №...) („კ-ა“), რომელებიც მდებარეობს საქართველოში. აღნიშნული უძრავი ნივთებისა და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების ბენეფიციარ მესაკუთრედ ცნობა, ასევე, საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირების „შპს „პ. ჯ-ას“, შპს „ჯ. კ“-ოს, ს.ს. „ფ. წ-ას“, შპს „ს. თ. წ“-ის აქციებისა და წილების და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების ბენეფიციარ მესაკუთრედ ცნობა (საკუთრებასთან დაკავშირებული მოთხოვნები) მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნებია, რომელთა მართებულობა გავლენას ახდენს სხვა მოთხოვნების მართებულობაზე. შესაბამისად, აღნიშნულ მოთხოვნებათან დაკავშირებით, ნივთების ადგილსამყოფელიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოებს მოცემული დავის მიმართ აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

რაც შეეხება მოთხოვნებს ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე დაფუძნებული იურიდიული პირების (მე-5 და მე-6 მოპასუხების) ბენეფიციარ მესაკუთრედ ცნობის შესახებ, შესაძლებელია მათთან დაკავშირებით სხვა ქვეყნის სასამართლოებს (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები ან გაერთიანებული სამეფო) ასევე ჰერიტეიტ საერთაშორისო კომპეტენცია, თუმცა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის გამორიცხვის საფუძველს არ წარმოადგენს. მოცემული კანონის მე-19 მუხლი არეგულირებს ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის საქართველოსა და უცხო ქვეყანაში სამართალწარმოების მიმდინარეობის შემთხვევებს, კერძოდ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეზე უკვე არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნას საქართველოში. მოპასუხის მითითებით გაერთიანებულ სამეფოში მე-5 და მე-6 მოპასუხებისა და მოსარჩელებს შორის დავა დაინტერეს მე-5 და მე-6 მოპასუხების სარჩელის საფუძველზე 2013 წლის 8 თებერვალს, ხოლო ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე მოსარჩელები სარჩელი აღძრა 2013 წლის 2 აგვისტოს. მხარეთა განცხადებით და საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ რომელიმე ზემოაღნიშნულ დავისთან დაკავშირებით უცხო ქვეყნის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ან ასეთი გადაწყვეტილება მიღებული ჰერ-

და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელის მიერ 2014 წლის 22 იანვარს სარჩელის შეტანის დროს. ამრიგად, სარჩელის წარდგენის მომენტისათვის არ არსებობდა და ამჟამადაც არ არსებობს მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით საქმის წარმოებაში არმი-ლების საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მო-სარჩელეს.

ამრიგად, რაკი უძრავი ქონება, აგრეთვე, საწარმოები საქართველოშია, საქართველო წარმოადგენს ასევე ერთობლივი საქ-მიანობის ხელშეკრულებისა და საკუთრების მინდობის ხელშეკ-რულებების შესრულების ადგილს და ერთ-ერთი მოპასუხის ად-გილსამყოფელიც საქართველოშია, ამავე დროს მოსარჩელემ აირჩია საქართველოს სასამართლოებისათვის მიმართვა, საკა-საციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სასამართლოებს მოცემულ დაგაზიე აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

მეორე პროცესუალური გარემოება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძ-ვლად მიუთითა, მდგომარეობს შემდეგში:

2. უნდა გაირკვეს, კონკრეტულად რომელი ქვეყნის მატე-რიალური კანონმდებლობით უნდა მოხდეს დავის გადაწყვეტა. მოპასუხე B. T. L-ი და C. V. L-ი წარმოადგენენ უცხო ქვეყნის სამართლის საფუძველზე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ხოლო სარჩელი შეეხება მოსარჩელის მიერ მესამე პირისათვის კომპანიის დაფუძნების თაობაზე ნდობითი ფუნქციის მინიჭების – საკუთრების მინდობის დადასტურებუ-ლად აღიარების და ი. ჩ-ის „ბენეფიციარ“ მესაკუთრედ ცნობის საკითხს.

იმ შემთხვევაში, თუ დავის საგანთან დაკავშირებული რო-მელიმე საკითხი უნდა გადაწყვდეს უცხო ქვეყნის კანონმდებ-ლობის მიხედვით, აღნიშნული ქვეყნის სამართლის ნორმების, დოკტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მითითება და დამტკი-ცება (მტკიცების ტკირთი) ეკისრება იმ მხარეს, რომელიც მიუ-თითებს ამ ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზო-მებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოკტრინის გათვალისწინებით.

თუ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა ზე-მოალნიშნულ ლონისძიებათა განხორციელების მიუხედავად უშედეგოა ან მოითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს, ხოლო პრო-ცესის არცერთ მხარეს არ შეუძლია ნორმების არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო იყენებს სა-ქართველოს სამართლას.

ამრიგად, უცხო ქვეყნის კანონმდებლობაზე, მასთან დაკავ-შირებულ პრაქტიკასა და დოქტრინაზე დაყრდნობა ქართულ საკოლიზიო სამართალში წარმოადგენს ფაქტის საკითხს და შე-საბამისად, მითითების და მტკიცების ტვირთი ეკისრება დაინ-ტერესებულ მხარეს, რაც შედის მტკიცების საგანში. თუმცა მტკიცების საგნის განსაზღვრა (ანუ რა ფაქტობრივი გარემოე-ბები უნდა იქნას მოაზრებული მტკიცების საგანში) არის სამარ-თლის საკითხი და მის სამართლებრივ მხარეს განსაზღვრავს მოსამართლე. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ დაინტერე-სებული მხარის მხრიდან ყურადღების გამახვილების მიუხედა-ვად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა გამოიკვლიოს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენების საკითხი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა მოაწესრიგა სა-ქართველოს კანონმდებლობით, თუმცა ზემოაღნიშნული სა-კითხი მას სათანადოდ არ გამოიკვლევია. სააპელაციო საჩივ-რის ფარგლებში კი აღნიშნული საკითხის კვლევა წარმოადგენ-და სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციას. ამიტომ ზემო-აღნიშნული საფუძვლით საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუ-ნება ენინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს სასამართლოების მიერ კონკრეტულ დავას-თან დაკავშირებით გამოსაყენებელი კანონმდებლობის განსაზ-ღვრა ხდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის საფუძველზე.

საქართველო იურიდიული პირების „ეროვნულობის“ დადგე-ნის საკითხში აღიარებს იურიდიული პირის მმართველობის ცენ-ტრის ადგილსამყოფელის პრინციპს (განსხვავებით მრავალ ქვე-ყანაში გავრცელებული ინკორპორაციის პრინციპისაგან). კერ-ძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. აღნიშნული დოქტრინა ასახულია ამავე კა-ნონის 36-ე მუხლის მე-2 ნინადადებაშიც, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიროდაა დაკავ-

შირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახა-
სიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულე-
ბინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ად-
გილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.

ადმინისტრაციის რეზიდენციაში იგულისხმება იურიდიული
პირის მმართველობის ცენტრალური ადგილსამყოფელი. ამ უკა-
ნასკნელში იგულისხმება ადგილი, სადაც ტარდება დირექტორ-
თა საბჭოს სხდომები, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები, აქ-
ციონერთა კრება და სხვ.

ამრიგად, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, იურიდი-
ული პირი ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მას
გააჩნია ცენტრალური ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევე არ უთითებს ფაქტებს
ადმინისტრაციის ადგილსამყოფელის შესახებ. ასევე, არც სა-
სამართლოები იკვლევენ ამ საკითხს. იმ შემთხვევაში, თუ კომ-
პანიების ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი არის ბრიტანეთის
ვირჯინის კუნძულები, მაშინ ამ პირებზე ვრცელდება ბრიტა-
ნეთის ვირჯინის კუნძულების კანონმდებლობა. ამ უკანასკნელ
შემთხვევაში მოსარჩევეს ევისრება ბრიტანეთის ვირჯინის
კუნძულების სამართლის ნორმების, დოქტრინისა და სასამარ-
თლო პრაქტიკის მითითებისა და დამტკიცების ტვირთი.

რაც შეეხება გარიგებების ნამდვილობას, იგი განისაზღვრე-
ბა იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებული უნდა ყო-
ფილიყო გარიგების ან მისა რომელიმე დებულების ნამდვილო-
ბისათვის.² თვით გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის
სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამარ-
თლით, რომელიც გამოყენება გარიგების საგნის მიმართ. გარი-
გების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო
სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება
ერთ-ერთ ქვეყნის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ.³

გარიგებათა მიმართ, რომელთა საგნია მინის ნაკვეთზე უფ-
ლება, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ადგილისა და ამ
ადგილას მოქმედი სამართლისა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამარ-
თლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სა-
დაც არის მინის ნაკვეთი.⁴ გარიგება, რომლითაც წარმოიშობა

² საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“,
27-ე მუხლის პირველი პუნქტი

³ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“,
29-ე მუხლის პირველი პუნქტი

⁴ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“,
29-ე მუხლის მე-3 პუნქტი

უფლება ნივთზე ან რომლითაც ხდება ამ უფლების განკარგვა, ითვლება ფორმის დაცვით დადებულად, თუ იგი შეესაბამება გარიგების ფორმის შესახებ იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის წარმომშობი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ.⁵

ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნას გამოიყენებული.⁶

სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრძელვა, ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით, ხოლო თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. მხარეების მიერ სამართლის არჩევის შემთხვევაშიც, იგი ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.⁷

ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.⁸

თუ ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება ან მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც არის მიწის ნაკვეთი.⁹

⁵ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი

⁶ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 32-ე მუხლის პირველი პუნქტი

⁷ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 35-ე და 36-ე მუხლები

⁸ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 36-ე მუხლის პირველი პუნქტი

⁹ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი

აღნიშნულიდან ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში დამახა-
სიათებელი შესრულების კონცეფციასთან შედარებით, უპირა-
ტესობა ენიჭება სპეციალურ პრეზუმუციას – უძრავი ქონების
ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართლის გამოყენების სასარგებ-
ლოდ, რაც უნდა გაითვალისწინოს სააპელაციო სასამართლომ.

მესამე პროცესუალური გარემოება, რომელიც სააპელაციო
სასამართლომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძ-
ულად მიუთითა, მდგომარეობს შემდეგში:

3. a. სარჩელი აღძრულია რამდენიმე მოპასუხის მიმართ, რამ-
დენიმეა ასევე სასარჩელო მოთხოვნაც, განსხვავდება სასარ-
ჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლე-
ბი, თუმცა მოსარჩელე კონკრეტულად არ ასახელებს თითოე-
ულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში უშუალო მოპასუ-
ხეს;

ბ. სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლად მითითებული ფაქ-
ტები მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებე-
ბის გათვალისწინებით, საჭიროებს უფრო მეტ სიზუსტეს და თა-
ნამიმდევრულობას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ
არ არის გარკვეული მოთხოვნის არსი, მისი საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს
კასატორის მითითებას, რომ სარჩელის შინაარსიდან და მოსარ-
ჩელის ახსნა-განმარტებებიდან ცალსახად იკვეთება თითოე-
ულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში ვინ არის უშუალო
მოპასუხე.

რაც შეეხება 3.პ. საფუძველს, საკასაციო სასამართლო გან-
მარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინ-
სტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების ზემოაღნიშნუ-
ლი საფუძველი განხილულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციუ-
რობისა და მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეჯიბრობითო-
ბის პრინციპების კონტექსტში, რომლებიც გულისხმობს მხა-
რეთა შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ დავის საგანი და
თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება სასამართლოში სარჩელის
შეტანის შესახებ. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, რომელი
ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რო-
მელი მტკიცებულებებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქ-
ტები. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შე-
საძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები.

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის
მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას საქმის გა-
რემოებათა გასარკვევად ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღო-

ნისძიებებს საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს, მაგრამ სამოქალაქო სამართალნარმოების კონტექსტში, რომელიც მთლიანად მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება, სასამართლოს მხრიდან წეპისმიერი ინიციატივის გამოჩენის უფლება ვიწროდ (შეზღუდულად) უნდა იქნას განმარტებული, რაც ყველისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის საფუძვლები და აუცილებლობა სასამართლომ ნათლად უნდა დაასაბუთოს.

მოსარჩელე/კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოში მან წარმოადგინა ყველა ფაქტი და მტკიცებულება, რაც გააჩნდა და რაც მას საქმის გარემოებების დასადასტურებლად აუცილებლად და მიზანშეწონილად მიაჩნდა.

ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლოს ვალდებულება იყო შეემოქმებინა სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა სასარჩელო მოთხოვნას. ამ კითხვაზე პასუხის ძებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად ექცევა სამართლის სულ მცირე, ერთი ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღნერილობის ქვეშ. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ ექცევა სამართლის ნორმის აღნერილობაში ან არ არის მითითებული საკმარისი ფაქტები, რაც კონკრეტული ნორმით განსაზღვრული შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს (სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოთხოვნას), მაშინ სარჩელის დაკმაყოფილებას უნდა ეთქვას უარი.

მეოთხე პროცესუალური გარემოება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძვლად მიუთითა, მდგომარეობს შემდეგში:

4. მოთხოვნები ძირითადად აღიარებითი ხასიათისაა. სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე კი შეუძლებელია მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დადგენა. ნამდვილ იურიდიულ ინტერესად ვერ შეფასდება მოსარჩელის განმარტება მასზედ, რომ წინამდებარე სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულწილად წარმოადგენს ინგლისისა და უელსის მართლმასაჯულების მაღალ სასამართლოში ვ. ჩ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღდრული სარჩელისაგან თავის დაცვის საშულებას, ანუ შესაგე-

ბელს. უფრო მეტ სიზუსტეს და კონკრეტულობას მოითხოვს ასევე 2004 წლის ივლისში ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადებულად, ხოლო 2013 წლის 26 დეკემბერს შეწყვეტილად ცნობის და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული უფლებების დადასტურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის იურიდიული ინტერესი. მოსარჩელე მხარეს მართებს მიუთითოს და დააზუსტოს აღძრული სარჩელის სწორი იურიდიული ინტერესი თითოეულ აღიარებით მოთხოვნასთან მიმართებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილი სასარჩელი მოთხოვნების ნაწილი აღიარებითი, ნაწილი კი მიკუთვნებითი ხასიათისაა.

მიკუთვნებით მოთხოვნებს წარმოადგენს, ერთ შემთხვევაში, უძრავი ქონებისა და მისგან მიღებული მოგების მესაკუთრედ ცნობა, ხოლო მეორე შემთხვევაში – საწარმოებისა და წილების და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების მესაკუთრედ ცნობა.

მოსარჩელის მოთხოვნები დავალებისა და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებების არსებობის დადგენის შესახებ წარმოადგენს არა დამოუკიდებელ, არამედ დამატებითი ხასიათის მოთხოვნებს. შესაბამისად, მოსარჩელის ძირითადი (საკუთრებასთან დაკავშირებული) მოთხოვნების მართებულობა გავლენას ახდენს დამატებითი მოთხოვნების მართებულობაზე (და არა პირიქით).

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აღიარებით მოთხოვნებთან მიმართებაში იურიდიული ინტერესის არსებობის გამორკვევა წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ძირითად წინაპირობას, და დამატებით განმარტავს, რომ აღნიშნული არ ქმნის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ იურიდიული ინტერესის არარსებობის დადგენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტისა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ აღიარებითი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია (იხ. სუსგ №ას-314-299-2013).

შესაბამისად, სამართლის ზემოაღნიშნული საკითხები სააპელაციო სასამართლოს გამოსაკვლევია და ამ საფუძვლებით პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად საქმის დაბრუნება არამართებულია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ დააბრუნოს საქმე უკან, როდესაც არ არსებობს მისი იურის-დიქციიდან გამომდინარე შეზღუდვები და მხარეთა პროცესუ-ალური უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საქმის დაბრუნების აუცილებლობა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო განეხორციელებინა ის საპროცესო მოქმედებები და დაედგინა საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა განხორციელება და დადგენაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დაავალა, ასევე მიეცა მათთვის სამართლებრივი შეფასება და გამოეტანა არსებითი გადაწყვეტილება დავალების, ერთობლივი საქმიანობისა და საკუთრების უფლების მარეგულირებელი სამართლის ნორმების საფუძველზე. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე.

კასატორის ერთ-ერთი მოთხოვნაა საკასაციო სასამართლო საქმე არ დააბრუნოს სააპელაციო ინსტანციაში და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა სააპელაციო სასამართლოს არ დაუდეგენია საქმის ფატობრივი გარემოებების დიდი ნაწილი, არც მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოუკვლევითა და არც სამართლებრივი შეფასებები გაუკეთებია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ საკასაციო სასამართლოს მხრიდან მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამიტომ საკასაციო პალატა მოკლებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილებად აბრუნებს საპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-
რივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 იანვრის განჩინება და
საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამარ-
თლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-
ჩივრდება.

2. პროცესის ხარჯები

სახელმწიფო გაფინანსებული გადავადება

განხილვა

№ას-574-545-2015 15 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ბაქაქური,
8. ალავიძე

დავის საგანი: ქორწინების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ი. შ-ა-მ და შ. შ-ა-რ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მო-
ითხოვა, ც. დ-ესა (ქორწინების შემდგომი გვარი შ-ა) და პ. შ-ას
შორის 1994 წლის 9 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინე-
ბის აქტის №13 ჩანაწერის ბათილად ცნობა.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ 1997 წლის 15 იანვარს გარ-
დაიცვალა ი. შ-ასა და შ. შ-ა-რ-ას ბაბუა – ა. შ-ა. გარდაცვლილი
პირის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო მოსარჩელეე-
ბის მამამ – პ. შ-ამ, რომელიც გარდაიცვალა 1997 წლის 25 ნოემ-
ბრის.

ბ. შ-ას სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით მიიღეს მისმა შვი-
ლებმა – ი. შ-ა-მ და შ. შ-ა-რ-ამ.

ი. შ-ა დაიბადა 1973 წლის 3 ივნისს. მისი მშობლები – ბ. შ-ა
და ა-თ ჩ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილან.

1985 წლის 7 მარტს ბ. შ-ა დაქორწინდა ი. ფ-სთან. მათ ქორ-
წინების განმავლობაში შეეძინა შვილი – შ. შ-ა-რ-ა.

მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა, რომ ი. ფ-სთან რე-
გისტრირებული ქორწინების არსებობის მიუხედავად, 1994
წლის 9 სექტემბერს ბ. შ-ა რეგისტრირებულ ქორწინებაში გა-
ტარდა ც. დ-სთან.

მხარის მითითებით, როგორც 1994 წელს მოქმედი სამოქა-
ლაქო კოდექსი, ასევე, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსი
კრძალავს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთან ახალი
ქორწინების რეგისტრაციას, შესაბამისად, ბ. შ-ასა და ც. დ-ეს
შორის 1994 წლის 9 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება

ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი ბ. შ-ასა და ი. ფ-ს შორის რეგისტრირებული ქორნინების არსებობის ფაქტი. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მოსარჩელები ვერ მიიღებენ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს, რადგან 1998 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით ი. შ-ას უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით წარმოდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა საპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით ც. შ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 27 მარტის განჩინებით აპელანტ ც. შ-ას დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 10 დღის ვადაში 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა.

აპელანტმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, რაც შეეხება სააპელაციო საჩივარს, აპელანტმა განმეორებით წარადგინა სააპელაციო საჩივრის ბლანკი, რომელიც კვლავ არ შეიცავდა მითითებასა და დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება ც. შ-ას სააპელაციო სასამართლოსათვის არ წარუდგენია, ასევე არ გამოუსწორებია ხარვეზი დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ნაწილში, რის გამოც ც. შ-ას სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად, ხარვეზის შეუჯესებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ც. შ-ამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად აღინიშნა, რომ აპელატს დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ნაწილში ხარვეზი არ გამოუსწორ-

რებია, ვინაიდან ც. შ-ამ წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომელშიც მიუთითა თავისი მოთხოვნა და ის გარემოებები, რის გამოც ითხოვდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას. ამასთან, სააპელაციო საჩივრით მხარემ იშუამდგომლა, იმ მომენტისათვის შესაბამისი სახსრების უქონლობის გამო, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე.

მხარემ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეისწავლა მისი სააპელაციო საჩივარი და არასწორად ჩათვალა, რომ აპელანტს არ წარმოუდგენია სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ც. შ-ას მოსაზრებით, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონბების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. შ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შეესებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის უშედევოდ გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი აღარ განიხილება და დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო პალატამ 2015 წლის 27 მარტის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე აპელანტ ც. შ-ას დაუდგინა ხარვეზი და დაავალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით 150 ლარის ვადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნისა და დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა.

შპს „სკს-ს“ გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ საა-პელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტს 2015 წლის 1 აპ-რილს ც. შ-ას პირადად ჩაბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნა-წილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლე-ლი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც გან-საზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-სამე ნაწილის მიხედვით კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათა მდგ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 2 აპრილს და ამიო-ნურა ამავე წლის 13 აპრილს (2015 წლის 11-12 აპრილი იყო უქ-მე, არასამუშაო დღეები), თუმცა სასამართლოს მიერ განსაზ-ღვრულ ვადაში აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარ-ვეზი არ შეუვსია.

აპელანტმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამარ-თლოს 2015 წლის 14 აპრილს, რაც დასტურდება განცხადებაზე დართული კონვერტით და იშუამდგომლა, იმ მომენტისათვის შესაბამისი სახსრების უქონლობის გამო, სახელმწიფო ბაჟის გა-დახდის გადავადების თაობაზე. ამავდროულად, აპელანტმა გან-ცხადებას დაურთო სააპელაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანი-ლია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩე-ბა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოალნიშნული გა-რემოვება წარმოადგენდა ც. შ-ას სააპელაციო საჩივრის განუ-ხილველად დატოვების წინაპირობას.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს აპელანტის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა გადაევადებინა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძ-ლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯე-

ტის სასამართლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შე-ამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების გადახდის გადავა-დების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებუ-ლებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება ში-ნაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესა-ხებ, კერძოდ, რომ მას მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეუძლია.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტს თავისი შუამდგომლო-ბა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე რაიმე მტკიცებულებით არ დაუსაბუთებია, არამედ შემოიფარგლა იმა-ზე მითითებით, რომ ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ მდგომაროე-ბაში იმყოფება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარე-მოება კანონის მითითებული დანაწესის გამოყენებისა და მხა-რის შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობას არ წარ-მოადგენდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარ-მოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინე-ბული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახ-მად კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასა-ციო საჩივრს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სა-ფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასა-მართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრე-ბული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ხოლო წარმოდგენილ კერძო საჩივრს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ც. შ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლე-ლად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

გადაცევეფილება საქართველოს სახელით

№ას-1301-1239-2014

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის რეალი-ზაცია

აღნერილობითი ნაწილი:

6. შ-ემ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში თ. გ-ისა და გ-გ-ის მიმართ წარადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა თ. გ-ისათვის თანხის გადახდის ვადაგადაცილებით სარჩელის წარ-დგენამდე მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის – 4887,5 აშშ დოლარის დაკისრება, ხოლო სარჩელის წარდგენი-დან – ყოველთვიურად 287,5 აშშ დოლარის ანაზღაურების და-კისრება თანხის (23 000 აშშ დოლარის) გადახდის ვალდებულე-ბის შესრულებამდე, შემდეგი დასაბუთებით:

2012 წლის 27 იანვრის ხელშეკრულებით 6. შ-ემ თ. გ-ეს სამი თვის ვადით სარგებლის გარეშე 23 000 აშშ დოლარი ასესხა. იმა-ვე ხელშეკრულებით სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით თ. გ-ის კუთვნილი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გ-ში მდებარე 1208 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი

და მასზე განთავსებული 297.36 კვ.მ შენობა-ნაგებობა (საკა-დასტრო კოდი:) დაიტვირთა. მოპასუხებ სესხის დაბრუნების ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც 6. შემ, მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, სარჩელით სასამართლოს მიმართა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით 6. შეის სარჩელი თ. გ-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თ. გ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად 23 000 აშშ დოლარი დაეკისრა. სასამართლომ არ დაკმაყოფილა 6. შ-ის სარჩელი სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის ნაწილში. მიუხედავად დასახელებული გადაწყვეტილებისა, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა, თ. გ-ემ ვალდებულება არ შეასრულა, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლების მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონება ჩუქების ხელშეკრულებით შვილიშვილზე – გ. გ-ეზე გაასხვისა. თანხის გადახდის დაყოვნებით მიღებული ზიანის ოდენობა ბანკთაშორისი საკრედიტო საპროცენტო განაკვეთის მინიმალური ოდენობის – წლიური 15%-ის გათვალისწინებით უნდა იქნეს დაანგარიშებული, შესაბამისად, თანხის დროულად მიღების შემთხვევაში მოსარჩელეს შეეძლებოდა, თვეში 287,5 აშშ დოლარი სარგებელი მიეღო (23 000 აშშ დოლარის 15% / 12 თვე). ამდენად, ვალდებულების შესრულების დროიდან – 2012 წლის 28 აპრილიდან სარჩელის ნარდგენამდე – 2013 წლის 25 სექტემბრამდე მოსარჩელე 4887,7 აშშ დოლარის სარგებელს მიღებდა, ასევე, სარჩელის ნარდგენიდან ყოველთვიურად – 287,5 აშშ დოლარის სარგებელს.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელეს სარგებლის გადახდის მოთხოვნის საფუძველი არ აქვს, ვინაიდან ხელშეკრულება სესხისათვის პროცენტის გადახდას არ ითვალისწინებს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით 6. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. გ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრის დროისათვის მიუღებელი სარგებლის სახით 4887.5 აშშ დოლარის ანაზღაურება და სარჩელის ნარდგენიდან ყოველთვიურად 287.5 აშშ დოლარის გადახდა სესხის ძირითადი თანხის – 23 000 აშშ დოლარის სრულად დაფარვამდე. იმავე გადაწყვეტილებით, სესხის ძირითადი თანხის, საპროცესო ხარჯებისა და მიუღებელი სარგებლის გადახდის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, ხელვაჩაური რაიონის სოფელ გ-ში მდებარე 1208 კვ.მ

სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 297.36 კვ.მ შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი:) იძულებით სარეალიზაციოდ მიექცა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მოპასუხებმა გაასაჩივრეს, მოითხოვეს მისი გაუქმება და სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით: 1. თ. გ-ისა და გ. გ-ის (კანონიერი წარმომადგენლი თ. გ-ე) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა, 3. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, 4. თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ სარჩელის აღდგრის დროისათვის 3258.33 აშშ დოლარის ანაზღაურება და სარჩელის აღდვრის შემდეგ ყოველთვიურად 191.66 აშშ დოლარის ანაზღაურება დავალიანების ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე დაეკისრა, 5. დაგალიანების ძირითადი თანხის – 23 000 აშშ დოლარის, მოუღებელი შემოსავლისა და საპროცესო ხარჯების უზრუნველსაყოფად იძულებით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული ქონება – 1208 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 297.36 კვ.მ შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი:).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი გარემოებები მიიჩნია:

2012 წლის 27 იანვარს, მოსარჩელე 6. შ-ესა და მოპასუხე თ. გ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების იპოთეკისა და სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, 6. შ-ემ, 3 თვის ვადით, კერძოდ, 2012 წლის 27 აპრილამდე, თ. გ-ეს 23 000 აშშ დოლარი ასესხა;

2012 წლის 27 იანვრის უძრავი ქონების იპოთეკისა და სესხის ხელშეკრულებით, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ხელვაჩაურში, სოფელ გ-ში მდებარე, თ. გ-ის საკუთრებაში არსებული, 1208.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 297.36 კვ.მ შენობა-ნაგებობანი (საკადასტრო კოდი:);

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით 6. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ 23 000 აშშ დოლარის, ასევე, სახელმწიფო ბაჟის – 1132 ლარისა და ადვოკატი-სათვის მომსახურებისთვის განეული ხარჯის – 1500 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო იპოთეკით დატვირთული ქონების საკუთრებაში გადაცემაზე 6. შ-ეს ეთქვა უარი;

2013 წლის 22 თებერვალს, თ. გ-ესა და გ. გ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც, თ. გ-ის საკუთრებაში არსებული 1208 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი და 297,36 კვ.მ შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი:) გ. გ-ეს გადაეცა;

გ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია შემდეგი მონაცემებით: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი –, რეგისტრაციის თარიღი – 2013 წლის 22 თებერვალი, უფლების რეგისტრაციის თარიღი – 2013 წლის 28 თებერვალი, ქონება – ხელშეკრულის რაიონის სოფელი გ-ში მდებარე 1208 კვ/მ (დაზუსტებული ფართობი) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი:), 297,36 კვ.მ შენობა-ნაგებობა, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ჩუქების ხელშეკრულება, დამონმებული 2013 წლის 22 თებერვალს. ქონებაზე, 2012 წლის 27 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე, 2012 წლის 2 თებერვალს რეგისტრირებულია იპოთეკა;

სესხის თანხის გადაცემა მოსარჩევე 6. შ-ის მიერ განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმების დღესვე – 2012 წლის 27 იანვარს;

თ. გ-ეს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, თანხის სამი თვის განმავლობაში დაფარვის ვალდებულება არ შეუსრულებია;

სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში არ გაიზიარა და განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი უნდა განისაზღვროს მიუღებელი თანხის წლიური 10%-ით, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, გონივრული ოდენობაა და შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (№ას-1207-1152-2013). შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მიუღებელი შემოსავალი თვეში 191,5 აშშ დოლარს (23 000 აშშ დოლარის 10% / 12 თვე) შეადგენს;

სესხის თანხა – 23 000 აშშ დოლარი თ. გ-ეს 6. შ-ისათვის უნდა დაებრუნებია 2012 წლის 27 პრილისათვის, რაც არ განუხორციელებია. 6. შ-ემ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ სარჩელი სასამართლოში 2013 წლის 25 სექტემბერს ნარადგინა. მოთხოვნის ნარმოშობის მომენტიდან სარჩელის წარდგენის დღემდე გასულია 17 თვე;

სააპელაციო სასამართლომ დადგენილი გარემოებების შეფასებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და მიიჩნია, რომ თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩე-

ლის აღძვრის დროისათვის 3258,33 აშშ დოლარის ანაზღაურება ($17*191,5=3258,33$, აშშ დოლარს), სარჩელის აღძვრის შემდეგ კი, ყოველთვიურად 191,66 აშშ დოლარის ანაზღაურება დავალიანების ძირითადი თანხის სრულად დაფარვამდე.

სამოქალაქო კოდექსის 286-ე, 301-ე და 302-ე მუხლების შესაბამისად სასამართლომ მიიჩინა, რომ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ასანაზღაურებლად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე თ. გ-ემ და გ. გ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა თ. გ-ემ შეიტანეს საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვეს: გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მთლიანად გაუქმება, ასევე, სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, მიუღებელი შემოსავლისა და საპროცესო ხარჯების გადახდის უძრავ ქონებაზე იძულებით აღსასრულებდა მიეცევის ნაწილში, და გადაწყვეტილების მე-6-9 პუნქტით განსაზღვრული საპროცესო ხარჯების ხელახალი გადანაწილება, შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული, №ას-1207-1152-2013 უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილების, ასევე, იგივე შინაარსის №ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილების შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებები, რომელთა შესრულების ვადაგადაცილებისათვის მოვალეს თანხის გადახდა დაეკისრა, იყო სარგებლიანი, კერძოდ, მხარეები შეთანხმებულები იყვნენ პროცენტზე. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულება არის უპროცენტო და მხარებს არ აქვთ დათქმული ვალდებულების დარღვევის გამო რაიმე პასუხიმგებლობა (პროცენტი, პირგასამტეხლო და ა.შ.). შესაბამისად, როცა პასუხისმგებლობის საკითხი დგება, იგი უნდა გადაწყდეს კანონის საფუძველზე, ანუ, სამოქალაქო კოდექსის პრინციპების გათვალისწინებით. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის გამოწვული ზიანი. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა ხელვაჩაურის რაიონული სა-

სამართლოს 2012 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე. იმავე გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია, რა იყო ნ. შ-ის მოთხოვნა. კერძოდ, მოთხოვნა იყო იპოთეკით დატვირთული ქონების ნატურით გადაცემა, რაც ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ხოლო ნ. შ-ეს ზემდგომ ინსტანციებში აღარ უდავია. დასახელებული გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 წლის შემდგომ იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნა გამორიცხავს ზიანის მიყენებას თ. გ-ის ბრალით. ნ. შ-ემ არასწორად აღძრა თავდაპირველი სარჩელი, მას დროულად არ მოუთხოვია ზიანის ანაზღაურება და იპოთეკის საგნის რეალიზაცია, რის გამოც განსახილველი დავის საგნად არსებული ზიანის მიღებაში ბრალი თავად მიუძღვის. როცა სასესხო ურთიერთობა უზრუნველყოფილია იპოთეკის ხელშეკრულებით, ხოლო მოვალე ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს და კრედიტორმა იცის, რომ მოვალეს ვალდებულების შესრულების საშუალება არ გააჩნია, რის ადეგვატურადაც კრედიტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ცდილობს უზრუნველყოფილი ქონებით მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ფაქტია, რომ აქ ზიანის დადგომაში უფრო მეტი წილი კრედიტორს მიუძღვის. იპოთეკის ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებან, რომ, თუკი მოვალე ვადას დაარღვევს, კრედიტორს უფლება ეძლევა, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს უზრუნველყოფილი წივთით და არ დაელოდოს, თუ როდის გაუჩნდება მოვალეს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. ხშირია შემთხვევები, როცა ბანკები თუ მევახშეები უზრუნველყოფილი ქონებით ბოროტად სარგებლობენ და სარჩელის აღდვრას შეგნებულად აჭიანურებენ (უზრუნველყოფილი ქონების ღირებულების ფარგლებში), რათა მხარეებს დააკისრონ მეტი პროცენტი თუ პირგასამტებლო. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამატებითი ვადის დაწესება აუცილებელი არაა, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება, ანდა ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. ამდენად, კრედიტორის განმარტება, რომ მის მიმართ ვალდებულება არ სრულდება და ამით ზიანს განიცდის, საფუძველს მოკლებულია;

ნ. შ-ეს სააღსრულებო ბიუროში შეტანილი აქვს სააღსრულებო ფურცელი. „სააღსრულებო ნარმობებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააღსრულებო ბიუროში სააღსრულებო ფურცლის ნარდგენის შემდგომ პროცენ-

ტის და საურავის დაკისრება წყდება. აქედან გამომდინარე, თუ-კი სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. გ-ეს სარგებელი უნდა დაე-კისროს, მაშინ იგი 2013 წლის 2 აგვისტომდე – სააღსრულებო ბიუროში 23 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე სააღსრუ-ლებო ფურცლის წარდგენამდე უნდა დაეკისროს.

საქართველოს უზენაში სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 3 ივნისის განჩინებით თ. გ-ისა და გ. გ-ის (კანონიერ წარმომადგენელ თ. გ-ის) საკასაციო საჩივარი დავის არსებობითად გადაწყვეტიასთან დაკავშირებით წარდგენილი პრე-ტენზიების ნაწილში სასამართლომ დაუშვებლად ცნო, ხოლო სასამართლო ხარჯების მხარეთათვის განაწილებასთან დაკავ-შირებით წარდგენილი პრეტენზიის ნაწილში – დაუშვა და ზეპი-რი მოსმენის გარეშე მისი არსებითად განხილვა დაადგინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-ჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. გ-ისა და გ. გ-ის (კანონიერი წარმომადგენლის – თ. გ-ის) საკასა-ციო საჩივარი სასამართლო ხარჯების მხარეთათვის განაწილე-ბაზე პრეტენზიის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყო-ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულე-ბები შემდეგი სახით განისაზღვრა:

„6. დაეკისროს თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ 200 ლარის გა-დახდა, ამ უკანასკნელის მიერ იურიდიული მომსახურებისათ-ვის განეული ხარჯის სანაცვლოდ;

7. დაეკისროს თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ 1242,5 ლარის გა-დახდა, ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გა-დახდილი თანხის სანაცვლოდ;

8. დაეკისროს 6. შ-ეს თ. გ-ის სასარგებლოდ 65 ლარის გადახდა;

9. დაეკისროს 6. შ-ეს თ. გ-ის სასარგებლოდ 355,9 ლარის გა-დახდა“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწი-ლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახ-და, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტი-ლება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფ-ლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაემაყოფილდა, მა-შინ ამ მუხლში აღნიშული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო და აკადემიურებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. იგივე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, საპელაციო საჩივრისათვის უნდა იქნეს გადახდილი ბაჟი დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით, მაგრამ არანაჟლებ 150 ლარისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, დავის საგნის ღირებულება ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელზე განისაზღვრება გადასახდელი თანხის ოდენობით, ხოლო იგივე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის მიხედვით, ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელზე დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება არაუმტეს 3 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე თ. გ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრის დროისათვის მიუღებელი შემოსავლის – 4887.5 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე, სარჩელის წარდგენის დროიდან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება ყოველთვიურად 287.5 აშშ დოლარის ოდენობით სესხის ძირითადი თანხის – 23 000 აშშ დოლარის სრულად დაფარვამდე;

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით მოპასუხებმა სრულად გაასაჩივრეს;

აპელაციებმა – თ. გ-ემ და გ. გ-ემ სააპელაციო საჩივრისათვის ბაჟი 812,85 ლარის ოდენობით გადაიხადეს;

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო

საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის დროისათვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება 3258.33 აშშ დოლარის ოდენობით დაეკისრა, ხოლო სარჩელის აღძვრის დროიდან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება ყოველთვიურად 191.66 აშშ დოლარის ოდენობით სესხის ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე დაეკისრა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის 66,67% დაკმაყოფილა, ხოლო სააპელაციო საჩივრის – 33,33%.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე 6. შ-ის მიერ განეული სასამართლო ხარჯები – სარჩელისათვის გადახდილი ბაჟი და ადვოკატის მომსახურების საფასური მოწინააღმდეგე მხარეს უნდა აენაზღაურებინა სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისად – 66,67%-ს ფარგლებში, ხოლო აპელანტ თ. გ-ის მიერ განეული ხარჯი – სააპელაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მოწინააღმდეგე მხარე 6. შ-ის მიერ უნდა ყოფილიყო ანაზღაურებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში 6. შ-ემ სარჩელისათვის გადახადა ბაჟი 242 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული მომსახურების საფასური – 500 ლარის ოდენობით. მოპასუხე თ. გ-ეს კი მის სასარგებლოდ დაეკისრა 200 ლარის გადახდა იურიდიული მომსახურეობისათვის განეული ხარჯის სანაცვლოდ, ხოლო 1242,5 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ, რაც არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოთ მითითებულ საკანონმდებლო დანაწესს. აღნიშნული დანაწესის შესაბამისად, მოსარჩელისათვის მოწინააღმდეგე მხარის მიერ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სახელმწიფო ბაჟის 242 ლარის 66,67%-ს – 161,3 ლარს; ხოლო იურიდიული მომსახურების ხარჯი – 500 ლარის 66,67%-ს – 333,3 ლარს, რაც აღემატება სასამართლოს მიერ დაკისრებულ 200 ლარს.

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარე 6. შ-ის ვალდებულება, აპელანტებისათვის აენაზღაურებინა სააპელაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟის – 812,85 ლარის 33,33%, არ აღემატება 270,9 ლარს, თუმცა, 6. შ-ეს არ გაუსაჩივრებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აპელანტისათვის სასამართლო ხარჯის – 65 ლარისა და 355,9 ლარის ანაზღაურების ნაწილში, მოწინააღმდეგე მხარის საკასაციო საჩივარი კი, ვერ გახდება მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპერაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ-სებობს საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, რის გამოც, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის განჩინება უნდა შეიცვალოს თ. გ-ისათვის 6. შ-ის სასარგებლოდ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი) შემდეგი სახის ახალი გადაწყვეტილებით: თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 161,3 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:

1. თ. გ-ისა და გ. გ-ის საკასაციო საჩივარი სასამართლო ხარჯების მხარეთათვის დაკისრების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დაემაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. გ-ეს 6. შ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 161,3 ლარის ოდენობით;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დანარჩენი პუნქტები დარჩეს ძალაში;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

3. სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცების ტვილი, მტკიცებულებათა დასაშვებობა

№ას-1328-1254-2012

26 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად (ცნობა,
მესაკუთრედ ცნობა (სარჩელში), ამხანაგობის კრების ოქმისა
და ხელშეკრულების ბათილად (ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

აღნერილობითი ნაწილი:

ლ. ნ-ემ სარჩელი აღდრა სასამართლოში ერთობლივი საქმია-
ნობის ამხანაგობა „ი-ო ..-ის“, მ. ჯ-ის, ე. ლ-ის, ლ. ქ-ის, ნ. წ-ის, კ.
თ-ის, გ. თ-ის, მ. თ-ის, გ. გ-ის, ზ. კ-ის, ი. -ის, ნ. ჩ-ის, გ. ო-ის, ა. მ-
ის, თ. ს-ის, ე. კ-ის, ნ. წ-ის, ც. ბ-ის, გ. გ-ის, გ. კ-ის, გ. ც-ის და დ.
ტ-ის მიმართ კრების ოქმის ამხანაგობის სახელზე №79 და №80
ბიონების განაწილების ნაწილში ბათილად ცნობისა და უძრავი
ქონების მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით.

სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: 2008 წლის 16 აპ-
რილის №12 კრების გადაწყვეტილებით ლ. ნ-ე მიღებულ იქნა
ამხანაგობის წევრად შემდეგ უძრავ ქონებაზე: 212 კვ.მ. საც-
ხოვრებელ ბინის, 10 კვ.მ. სარდაფისა და ინდივიდუალურ ავ-
ტოსადგომის საკუთრების უფლების მიღების მიზნით, რაზედაც
იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება. ამხანაგობის კრების
ოქმისა და ხელშეკრულების მიხედვით, ლ. ნ-ე ჩაენაცვლა ამხა-
ნაგობის ძველ წევრს – გ. ც-ეს 50 000 აშშ დოლარის გადახდის
საფუძველზე. თანხის გადახდის თაობაზე შედგენილი ხელშე-
რილის მიხედვით, ლ. ნ-ე აცხადებს, რომ გ. ც-ისათვის გადაცე-
მული თანხის 5 თვის ვადაში დაბრუნების შემთხვევაში უარს
განაცხადებს ამხანაგობის წევრობაზე. საცხოვრებელი ბინის
მშენებლობას ამხანაგობა „ი-ო ..“ ახორციელებდა ეტაპობრი-
ვად. მოგვიანებით ლ. ნ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ ამხანა-
გობას 2009 წლის 30 დეკემბერს ჩაუტარებია წევრთა საერთო
კრება, რომლის საფუძველზეც მრავალბინიან საცხოვრებელ
კორპუსში განაწილდა ფართები ამხანაგობის წევრებზე (დაახ-

ლოებით 77 წევრზე), თუმცა კრებაზე მიწვეული არ ყოფილა ლ. ნ-ე, რის გამოც მისი, როგორც ამხანაგობის წევრის, უფლებები დაირღვა. 2009 წლის 30 დეკემბრის კრების ოქმში მითითებულია, რომ გ. ც-ე კრებაში მონაწილეობდა, როგორც კრების მდინარი და კრების გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა №19 ბინა და №1 სარდაფი. რეგისტრაციიდან ერთ თვეში აღნიშნული უძრავი ქონება გ. ც-ემ დატვირთა იპოთეკით, ხოლო, შემდეგ ჩუქებით გადასცა შვილს – ი. ც-ეს. 2008 წლის 16 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებისა და №12 კრების ოქმში მითითებული ფართის (212 კვ.მ) ბინა №57, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ვერ იდენტიფიცირდება, თუმცა ამხანაგობის სახელზე ირიცხება ორი უძრავი ქონება – ბინა №79 და ბინა №80.

მოპასუხებებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

მ. ჯ-ემ და ც. ბ-მა შეგებებული სარჩელით მიმართეს სასა-მართლოს მოპასუხებების ლ. ნ-ის, გ. კ-ისა და დ. ტ-ის მიმართ და მოითხოვეს ამხანაგობა „ი-ო ..ის“ წევრთა 2008 წლის 16 აპრილის №12 საერთო კრების ოქმისა და ლ. ნ-ესა და ამხანაგობას შორის 2008 წლის 16 აპრილს დადგებული №1 ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძლებით:

2008 წლის 16 აპრილს ამხანაგობის წევრთა კრება არ ჩატარებულა საჭირო რაოდენობის წევრთა მონაწილეობით. ამხანაგობის თავმჯდომარე საერთოდ არ ყოფილა ინფორმირებული კრებასთან დაკავშირებით, იგი ამ დროისათვის იმყოფებოდა რაიონში. ამხანაგობის კრების ოქმს კრების თავმჯდომარის სახელით ხელს აწერს გ. კ-ე, მდივნის სახელით – დ. ტ-ე. ამხანაგობის დებულების თანახმად, ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო, სხვა წევრი – მხოლოდ თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში. კრების ოქმში მითითებულია, რომ დამსწრე წევრებს ინფორმაცია მოახსენა ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემ, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სადაც არ მის კრების თავმჯდომარის სახელით ხელს აწერს გ. კ-ე. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ კრებას ეს-წრებოდა ამხანაგობის თავმჯდომარე, რატომ უძღვებოდა მას სხვა პირი. ამასთან, ამხანაგობა „ი-ო ..ის“ დებულების თანახმად, ამხანაგობის ახალი წევრის მიღების საკითხის გადაწყვეტა შედის ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში, ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება კი, გადაწყვეტილებას იღებს არა კრებაზე დამსწრე, არამედ ყველა წევრის 2/3-ის თანხმობით, ანუ, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დამფუძნებელ წევრთა მინი-

მუმ 2/3 და ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ფაქტობრივად ყველა დამსწრე წევრის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში კრება არ მოუწვევია არც თავმჯდომარეს და არც რომელიმე წევრს. კრება ჩატარდა ამხანაგობის მრავალბინიანი კორპუსის ეზოში და მას ესწრებოდა მხოლოდ 5 ადამიანი, რომლებიც იმ მომენტისათვის ეზოში იმყოფებოდნენ. კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, ვინაიდან მას ესწრებოდა მხოლოდ 5 პირი. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა რაოდენობა შეადგენს 21-ს, ე.ი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო 14 წევრის თანხმობა (21-ის 2/3). იმავე დღეს ლ. ნ-ესა და ამხანაგობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება №1, რომლის საფუძველზეც ამხანაგობას მისთვის უნდა გადაეცა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში 212 კვ.მ. საერთო ფართის მქონე №57 ბინა. ხელშეკრულებაში ამხანაგობის წარმომადგენლად მითითებულია თავმჯდომარე მ. ჯ-ე, მისი პირადი მონაცემები და რეკვიზიტები, თუმცა ხელშეკრულებას ხელს აწერს დ. ტ-ე. ამხანაგობის დებულების თანახმად, მის საქმიანობას წარმართავს ამხანაგობის თავმჯდომარე, შესაბამისად, ამხანაგობის სახელით ხელშეკრულების დადებაც მხოლოდ მისი უფლებამოსილებაა. ხელშეკრულება ამხანაგობის სახელით დადებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ და საფუძვლად უდევს სრულიად უკანონო დოკუმენტი. ამდენად, გაურკვეველია, რატომ მოაწერა ხელშეკრულებას ხელი სხვა პირმა, თუ იმავე დღეს ამხანაგობის თავმჯდომარე ესწრებოდა წევრთა საერთო კრებას. სინამდვილეს არ შეესაბამება, ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებული ჩანაწერი – „წევრმა საკუთარი შენატანის სანაცვლოდ ამხანაგობისაგან მიიღო საცხოვრებელი ფართი ახლადაშენებულ სახლში“. ლ. ნ-ეს ამხანაგობაში არანაირი შენატანი არ განუხორციელებია. სინამდვილეში, როგორც სარჩელიდან და მასზე დართული ხელწერილიდან ირკვევა, ლ. ნ-ემ ამხანაგობიდან ნილის მიღების სანაცვლოდ ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს – გ. ც-ეს 2008 წლის 16 აპრილს ასესხა 50 000 აშშ დოლარი, ხუთი თვის ვადით, ყოველთვიურად 5%-ის გადახდის პირობით. ამდენად ცალსახაა, რომ ლ. ნ-ემ ამხანაგობის წევრთან – გ. ც-ესთან დადო ტიპური სესხის ხელშეკრულება, რომელიც უნდა უზრუნველყოფილიყო ამხანაგობაში გ. ც-ის კუთვნილი ბინით. სადაცოდ გამხდარი კრების ოქმისა და ხელშეკრულების უკან დგას სხვა სამოქალაქო გარიგება. სესხის უზრუნველსაყოფად მსესხებლის მიერ ამხანაგობაში მის კუთვნილ ბინაზე უფლების გადაცემა და ვალის დაბრუნების შემდეგ, ამ უფლების კვლავ მსესხებლისათვის დაბრუნების გარიგება უნდა გაფორ-

მებულიყო გ. ც-ესა და ლ. ნ-ეს შორის გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებით. ამხანაგობის წევრად მიღების ხელშეკრულების დადებისას ლ. ნ-ე უნდა გასცნობოდა იმ ამხანაგობის დებულებას, რომლის წევრობასაც აპირებდა.

მოპასუხე ლ. ნ-ემ შეგებებული სარჩელი არ ცნო.

მოპასუხებმა გ. კ-ემ და დ. ტ-ემ შეგებებული სარჩელი ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ნ-ის სარჩელი ამხანაგობა „ი-ო ... -ის“ 2009 წლის 30 დეკემბრის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა ლ. ნ-ის სარჩელი „ი-ო ... -ის“ კუთვნილ №79 საცხოვრებელ ბინასა (საკადასტრო კოდი №....) და №80 საცხოვრებელ ბინაზე (საკადასტრო კოდი №...) მესაკუთრედ ცნობის ნაწილში. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ჯ-ისა და ც. ბ-ის შეგებებული სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობა „ი-ო ... -ის“ წევრთა 2008 წლის 16 აპრილის საერთო კრების №12 ოქმი და ლ. ნ-ესა და ამხანაგობა „ი-ო ... -ს“ შორის 2008 წლის 16 აპრილს დადებული №1 ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ნ-ემ, მოთხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივლისის განჩინებით ლ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 16 აპრილს ჩატარებული ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ი-ო ... -ის“ წევრთა №12 კრების საფუძველზე, ლ. ნ-ის მიერ 50 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, გ. ც-ე გაყვანილ იქნა ამხანაგობის წევრობიდან და მის ნაცვლად მიღებულ იქნა ლ. ნ-ე. ოქმის მიხედვით, კრებას ესნრებოდა ხუთი წევრი, კრების თავმჯდომარე იყო გ. კ-ე, მდივანი დ. ტ-ე, მოხსენება გააკეთა ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემ;

ამხანაგობა „ი-ო ... -ის“ თავმჯდომარე მ. ჯ-ემ უარყო კრებაზე მონაწილეობა. მ. ჯ-ის განმარტებით, მას მოხსენება არ გაუკეთებია, კრების ჩატარების დროს იმყოფებოდა რაონში და ინფორმირებული არ ყოფილა კრების შესახებ;

სასამართლოს სხდომაზე მოწმეების – თ. კ-ისა და ვ. ლ-ის

განმარტების მიხედვით, მოპასუხეების – ნ. წ-ის, ე. კ-ის, ნ. ჩ-ის, თ. ს-ის, გ. თ-ის, ე. ლ-ის, ც. ბ-ისა და ი. თ-ის მიერ წარმოდგენილი შესაგებლების თანახმად, 2008 წლის 16 აპრილს კრება დამუძნებელ წევრთა მონაწილეობით არ ჩატარებულა;

2008 წლის 16 აპრილს ლ. ნ-ესა და მ. ჯ-ეს შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა „ი-ო ..-მა“ ახალაშენებულ სახლში ლ. ნ-ეს გადასცა ხუთოთახიანი იზოლირებული ბინა. აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობა ასევე უარყო ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემ;

2009 წლის 2 ოქტომბერს ამხანაგობა „ი-ო ..-ის“ №2 კრების ოქმის საფუძველზე დადგინდა, რომ 1990 წლის 19 სექტემბერს საბურთალოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ ამხანაგობას სახელი დარჩა იგივე და არჩეულ იქნა გამგეობა, თავმჯდომარე, თანათავმჯდომარე, დამფუძნებელ წევრებად მიღებული იქნენ მ. ჯ-ე, ე. ლ-ი, ლ. ქ-ი, ნ. წ-ე, კ. თ-ი, გ. თ-ი, მ. თ-ი, გ. გ-ე, ზ. კ-ი, ი. თ-ე, ნ. ჩ-ე, გ. ო-ი, ა. მ-ე, თ. ს-ე, ე. კ-ე, ნ. წ-ე, ც. ბ-ი, ბ. ბ-ე, გ. კ-ე, გ. ც-ე, დ. ტ-ე;

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ი-ო – ..-ის“ დებულების თანახმად, ამხანაგობის წევრები იყოფიან „დამფუძნებელ“ და „ჩვეულებრივ“ წევრებად. დამფუძნებელი წევრები განახორციელებენ შენატანებს ამხანაგობაში და დამფუძნებელ წევრთა საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა დამფუძნებელი წევრის 2/3-ის თანხმობა;

2009 წლის 21 დეკემბრისა და 28 დეკემბრის ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ი-ო – ..-ის“ საერთო კრების ოქმის საფუძველზე ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ეს მიენიჭა უფლებამოსილება, ამხანაგობის სახელით ანარქოოს საქმიანობა;

2009 წლის 30 დეკემბერს შედგა ამხანაგობა „ი-ო ... -ის“ დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელიც გახდა საფუძველი ამხანაგობის წევრებზე ქონების განაწილებისა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვისა;

თბილისში, ი-ოს ქ. №..-ში მდებარე საცხოვრებელი ბინები რეგისტრირებულია მესაკუთრებზე, ხოლო ბინა №79 და ბინა №80 აღრიცხულია ამხანაგობის სახელზე;

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის მსჯელობა, რომ ლ. ნ-ესა და გ. ც-ეს შორის ადგილი ჰქონდა ამხანაგობაში წილის ნასყიდობას ან სხვა რაიმე ფორმით ამხანაგობის წევრობიდან გ. ც-ის გასვლას და მის ნაცვლად ლ. ნ-ის მიღებას და ამგვარი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიუთითა 2008 წლის 16 აპრილს შედგენილი ხელშერილზე – სესხის ხელშეკრულებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ ლ. ნ-ემ გ. ც-ეს გადას-

ცა სესხის სახით 50000 აშშ დოლარი 5 თვის ვადით.

რაც შეეხება 2008 წლის 16 აპრილს ამხანაგობასთან დადებულ ხუთოთახიანი იზოლირებული ბინა №57-ის, ავტოსადგომისა და სარდაფის ლ. ნ-ისათვის გადაცემის ხელშეკრულებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე და განმარტა, რომ მართალია, გარიგება დადებული იყო წერილობით, მაგრამ საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა რაიმე საბუთი ამ გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, რის გამოც ეს გარიგება ფორმის დაუცველად იყო დადებული და უძრავი ნივთის შეძენასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ვერ წარმოშობდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც აპელანტი განმარტავს, რომ ამხანაგობა „ი-ო ..-ის“ საერთო კრების ოქტომი №12-ით დამტკიცდა გ. ც-ის გასვლა ამხანაგობიდან და ლ. ნ-ის მიღება ამხანაგობის წევრად კონკრეტული უძრავი ქონების გადაცემის პირობით, კრების გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცებაც აპელანტს ევალება. ანუ, სააპელაციო პალატის მითითებით, ლ. ნ-ეს უნდა ემტკიცებინა, რომ კრება ჩატარდა სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლების შესაბამისად. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რაშეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და ნარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით და არა შესატანის ოდენობით. სასამართლოს განმარტებით, ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მაშინ ამხანაგობის წევრები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს, ამდენად, ამხანაგობის სახელით გარიგების დადებისას აუცილებლად უნდა დადგინდეს, თუ რას ითვალისწინებს ხელშეკრულება, რათა ამის დადგენის შემდეგ უკვე განვითარდეს მსჯელობა იმის შესახებ, ერთობლივად ხომ არ უძღვებოდნენ ამხანაგობის წევრები თავიანთ საქმიანობას. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ვერ შეძლო დაედასტურებინა მისი მტკიცების საგანში შემავალი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შინაარსი.

სააპელაციო პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის

934-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ ვითარებას, როდესაც ამხანაგობის ერთიანი მიზნის მისაღწევად წარმოებული ყველა საქმიანობის მართვას ამხანაგობის წევრები ახორციელებენ ერთობლივად, ე.ი. ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად, მისი განხორციელება ხდება ყველა წევრის თანხმობით. თუ გადაწყვეტილების შესრულება გულისხმობს მესამე პირებთან ხელშეკრულების დადებას, მაშინ ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს ამხანაგობის ყველა წევრი, ანუ გადაწყვეტილებათა აღსრულება ხდება ყველა წევრის უშუალო მონაბილებით. იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა „ი-ო“ ჩამოყალიბდა საბურთალოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და წევრთა სია აპელანტს, თავდაპირველად მაინც უნდა ჰქონოდა, თუმცა საქმეში წარდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო ჰალატის მითითებით, გამომდინარე იქიდან, რომ აპელანტმა ვერ დაადასტურა ამხანაგობის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღების როგორი წესი მოქმედებდა 2008 წლის 16 აპრილს (რაც მისი მტკიცების საგანს შედგენდა), მის მიერ ამხანაგობასთან დადებული გარიგებები ამხანაგობისთვის სასამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობენ. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწმედ დაკითხული ვ. ლ-ისა და თ. კ-ის ჩვენების მიხედვით, ისინი 2008 წლის 16 აპრილის კრებას ესწრებოდნენ, თუმცა ამხანაგობის წევრებს არ წარმოადგენდნენ. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ კრებას ესწრებოდა ამხანაგობის 3 წევრი, ხოლო მისი გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა შექმნილია მრავალინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, 3 წევრის მიერ გამოხატული წება ვერ იქნება მიჩნეული ამხანაგობის წების გამოხატვად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომლის შესაბამისად, 2008 წლის 16 აპრილის №12 კრების თანხმობით გ. ც-ემ ამხანაგობაში კუთვნილი წილი დაუთმოლ. ნ-ეს. სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლი ამხანაგობის მონაწილეთა თანხმობის გარეშე კრძალავს წევრის მიერ წილის გასხვისებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ №12 კრების ოქმის კანონიერების დაუდასტურებლობის პირობებში იგი ვერ იქნებოდა განხილული წილის დათმობაზე ამხანაგობის მხრიდან თანხმობის გამოხატვად.

სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ დადგინდა 2008 წლის 16 აპრილის ამხანაგობის №12 კრების ოქ-

მისა და მასთან ერთად გაფორმებული ხელშეკრულების კანონთან შეუსაბამობა, ისინი ამხანაგობისთვის სამართლებრივ შედეგებს ვერ წარმოშობენ, რის გამოც მართებულად იქნა ცნობილი ბათილად, როგორც გარიგებები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესა და აკრძალვებს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ნ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, მისი უფლება ამხანაგობის წევრობასა და უძრავ ნივთთან მიმართებით წარმოიშვა 2008 წლის 16 აპრილის ამხანაგობის კრების ოქმისა და ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე. კრების ოქმი დამონმდა ნოტარიულად და მას ხელს აწერენ ამხანაგობის წევრები. კრების ოქმისა და ხელშეკრულების მიხედვით, ლ. ნ-ე ჩაენაცვლა ძეველ წევრს – გ. ც-ეს, რომელმაც განცხადებით მიმართა ამხანაგობას გასვლის შესახებ. შესაბამისად, 2008 წლის 16 აპრილის კრების ოქმს და ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ძველი წევრის განცხადება წილის დათმობასთან დაკავშირებით. გ. ც-ესა და ლ. ნ-ეს შორის არსებობდა გარიგება, რომლის საფუძველზეც ლ. ნ-ემ გ. ც-ეს სესხად მისცა 50 000 აშშ დოლარი იმ პირობით, რომ სესხის 5 თვეში დაბრუნების შემთხვევაში უარს იტყოდა ამხანაგობის წევრობაზე. ამხანაგობა წარმოადგენდა თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის .. წლის ... №.... გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ ამხანაგობას. აღნიშნულ ამხანაგობას არ გააჩნდა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (დებულება ან სხვა), რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა გარკვევა, თუ რომელი სუბიექტები წარმოადგენდნენ მის დამფუძნებლებს ან წევრებს, მათ შორის ვინ წარმოადგენდა ამხანაგობას შესამეპირებლად ურთიერთობაში. სამოქალაქო კანონმდებლობასთან ამხანაგობა შესაბამისობაში მოვიდა 2009 წლის 2 ოქტომბერს, როცა ჩატარდა კრება და მიღებულ იქნა დებულება. 2008 წლის 16 აპრილის კრების ოქმში ამხანაგობის სახელით მოხსენიებული არიან კონკრეტული პირები, მათ შორის ოქმზე ხელმომწერ სუბიექტებს წარმოადგენენ კრების თავმჯდომარე გ. კ-ე და მდივანი დ. ტ-ე, რომლებიც მომდევნო 2009 წლის კრების ოქმში იმავე სტატუსით ხელმომწერ პირებად გვევლინებიან. ამდენად უდავოა, რომ ამხანაგობის სახელით კრებაზე მონაწილეობა მი-

იღეს იმ პირებმა, რომლებიც იმ დროისათვის წევრებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, მცდარი და უსაფუძვლოა მოსაზრება, თითქოს კრება წევრთა მონაწილეობით არ ჩატარებულა. თუკი სასამართლომ ჩათვალა, რომ 2008 წლის 16 აპრილის კრება წევრთა მონაწილეობით არ ჩატარებულა, მაშინ უნდა ემსჯელა, თუ რომელ წევრთა მონაწილეობით უნდა ჩატარებულიყო საერთო კრება, ვინ იყვნენ ამხანაგობის წევრები და სხვა.

სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, რომელიც ეხება საჯარო რეესტრში უძრავი წივთის რეგისტრაციას. კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებული ნორმის გამოყენება არამართებულია, რამეთუ 2008 წელს მრავალბინიანი სახლი წარმოადგენდა მშენებარეს და მასში განთავსებული ბინების შეძენა მოხდა ამხანაგობაში წილის დათმობისა და მომავალში მესაკუთრედ რეგისტრაციის წესით. ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრში ამ სახლის საცხოვრებელი ბინების ბინათმესაკუთრებზე დარეგისტრირება მოხდა 2009 წლის დეკემბერში.

მცდარია სასამართლოს დასკვნა იმ გარემოებასთან მიმართებით, რომ გ. ც-ესა და ლ. ნ-ეს შორის ადგილი არ ჰქონია ამხანაგობაში წილის ნასყიდობას და ამას ადასტურებს 2008 წლის 16 აპრილის ხელნერილი (სესხის ხელშეკრულება). სასამართლომ ხელნერილი მიიჩნია ამხანაგობაში წილის ნასყიდობის გამომრიცხავ გარემოებად. სესხის ხელნერილი ვერ მიიჩნევა ამხანაგობის წევრობის დათმობის ხელისშემსლელ გარემოებად. ეს ხელნერილი წარმოადგენს მხოლოდ საფუძველს გ. ც-ის მიერ ლ. ნ-ისათვის წილის დათმობისათვის. ხელნერილი იყო მიზეზი და მოტივი იმისა, რომ სესხის თანხის სანაცვლოდ მომხდარიყო ამხანაგობაში წილის ნასყიდობა და უძრავ წივთზე ქონებრივი უფლებების მოპოვება. სასამართლომ ამ ფაქტის მიმართ გამოხატა მცდარი დამოკიდებულება, მაშინ როდესაც საქმეში არსებობდა გ. ც-ისა და ლ. ნ-ის განცხადებები წევრობის დათმობისა და წევრად მიღების შესახებ. მოსარჩელის მიერ სრულად იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი ამხანაგობაში წილის დათმობის და წივთის ნასყიდობის ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების თვალსაზრისით. სასამართლომ არასრულად და არასწორად შეაფასა არსებული გარემოებები და დაადგინა მცდარი გადაწყვეტილება. სასამართლომ მსჯელობის გარეშე დატოვა საქმეში არსებული ამხანაგობის ძველი და ახალი წევრების წერილობითი განცხადებები უფლების დათმობის შესახებ. მხარეთა ამგვარმა ნებამ წარმოშვა შემდგომში კრების ოქმისა და ხელ-

შეკრულების გაფორმების წინაპირობა.

სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს შემთხვევას, როდესაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მიხედვით წევრები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. სასამართლო 934-ე მუხლი გამოიყენა ისე, რომ არ განუმარტავს, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებაში შეიძლებოდა მისი გამოყენება. 2008 წლის 16 აპრილის კრებაში მონაწილეობა მიიღო ამხანაგობის სწორედ იმ პირებმა, რომელთა წევრობა დადასტურებულია ამხანაგობის სხვა კრებებში მათივე მონაწილეობით;

სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მესამე პუნქტი, რომელიც სრულად შეეფარდება მოცემულ საქმეში არსებულ კონკრეტულ ფაქტობრივ ვითარებას. მაშინ როდესაც არ არსებობს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება და არსებობს საეჭვოობა ამხანაგობის წარმომადგენელთა ვინაობასთნ დაკავშირებით, კანონის ამ ნორმიდან გამომდინარე წარმომადგენლობა უნდა დადგინდეს ამხანაგობის სხვა დოკუმენტების მიხედვით. ანუ, თუ ვინ წარმოადგენს არსებულ ამხანაგობას მესამე პირებთან. ასეთი დოკუმენტი არის 2008 წლის კრების ოქმი, როგორც გარიგება და იმავე დღეს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებს შორის. ამ გარიგებების მიხედვით, ამხანაგობის სახელით წება გამოავლინა კონკრეტულმა ხელმომწერმა პირებმა, რომელთა მიერ დადებული გარიგებები ნამდვილად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კრების ოქმზე და ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირები, ყველა სხვა კრების ოქმებს აწერენ ხელს, მათ შორის განმლის და საჯარო რეესტრში ფართების რეგისტრაციის დოკუმენტებს.

არასწორია სასამართლოს განმარტება, რომ ამხანაგობის წევრები ერთობლივად უნდა უძღვებოდნენ საქმეებს და მათი მხრიდან თანხმობა გამოხატული უნდა იქნეს ერთობლივად, მათ შორის მესამე პირებთან მიმართებაში. სასამართლოს ამგვარი მსჯელობა არასწორია და ეწინააღმდეგება 934-ე მუხლის მესამე ნაწილის დისპოზიციას. ასევე ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის 933-ე მუხლს, რომელიც არასწორად იქნა განმარტებილი. 2008 წლის 16 აპრილის კრების ოქმი წარმოადგენს ამხანაგობის თანხმობას ღ. 6-ზე წევრობის უფლების დათმობის შესახებ. ამით არ დარღვეულა სხვა რომელიმე წევრის უპირატესი შეს-

ყიდვის უფლება და ეს საკითხი სადაცო არ ყოფილა სასამართლოში. ამასთანავე, ხსენებული ნორმის მიხედვით, კრებას უარი რომ ეთქვა წევრის უფლების დათმობაზე, უნდა არსებულიყო პატივსადები მიზეზი, რაც ასევე სადაცო არ გამხდარა მონინააღმდეგე მხარის მიერ.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა, მასზედ, რომ ლ. ნ-ებ ვერ შეძლო დაემტკიცებინა მტკიცების საგანში შემავალი მნიშვნელოვანი საკითხები. სასამართლოს მითითებით, ამხანაგობა „ი-ო ..-ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაცია – წლის .. სექტემბრის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება და წევრთა სია არსებობდა, თუმცა მხარეს არ ნარუდგენია. სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოშიც მოპასუხეთა მიერ არაერთხელ ითქვა, რომ მათ ასეთი დოკუმენტაცია არ გააჩნდათ.

სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებაც, რამეთუ 2008 წლის 16 აპრილს კრებაზე დამსწრე ხუთივე პირი ნარმოადგენდა ამხანაგობის წევრს და მათგან ორმა პირმა შემდეგში თავიანთი უფლებები გადასცა ოჯახის წევრებს (ლ-ი და კ-ე) და ისინი დღესაც ცხოვრობენ მათვე ბინაში, რომელიც 2009 წლიდან გაფორმებულია ოჯახის წევრებზე.

მცდარია სასამართლოს მსჯელობა მშენებარე კორპუსში 80 ბინის არსებობის გამო 3 წევრის გამოხატული ნების არასაკარისობის შესახებ. კერძოდ, 80 ბინა და მათი მესაკუთრე წევრები დადგენილი იქნა მხოლოდ 2009 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის კრების ოქტომბით. 2008 წელს მათი უფლებამოსილებების შესახებ დოკუმენტები არ არსებობდა, მითუმეტეს რომელი იყო დამფუძნებელი წევრი და რომელი სარგებლობდა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით. ამიტომ, წევრთა განსაზღვრის თვალსაზრისით სადაცო გარიგებებთან დაკავშირებით მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს 2008 წლის 16 აპრილის კრების ოქმს და ხელშეკრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2008 წლის 16 აპრილს ჩატარებული ინდივიდუალურ მენა-

შენეთა ამხანაგობა „ი-ო ..-ის“ წევრთა №12 კრების საფუძველზე, ლ. ნ-ის მიერ 50 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, გ. ც-ი გაყვანილ იქნა ამხანაგობის წევრობიდან და მის ნაცვლად მიღებულ იქნა ლ. ნ-ე. ოქმის მიხედვით, კრებს ესწრებოდა ხუთი წევრი, კრების თავმჯდომარე იყო გ. კ-ე, მდივანი დ. ტ-ე, მოხსენება გააკეთა ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემ;

2. ამხანაგობა „ი-ო ..-ის“ თავმჯდომარე მ. ჯ-ემ უარყო კრებაზე მონაწილეობა. მ. ჯ-ის განმარტებით, მას მოხსენება არ გაუკეთებია, კრების ჩატარების დროს იმყოფებოდა რაიონში და ინფორმირებული არ ყოფილა კრების შესახებ;

3. სასამართლოს სხდომაზე მოწმების – თ. კ-ისა და ვ. ლ-ის განმარტების მიხედვით, მოპასუხეების – ნ. ნ-ის, ე. კ-ის, ნ. ჩ-ის, თ. ს-ის, გ. თ-ის, ე. ლ-ის, ც. ბ-ისა და ი. თ-ის მიერ წარმოდგენილი შესაგებლების თანახმად, 2008 წლის 16 აპრილს კრება დამფუძნებელ წევრთა მონაწილეობით არ ჩატარებულა;

4. 2008 წლის 16 აპრილს ლ. ნ-ესა და მ. ჯ-ეს შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა „ი-ო ..-მა“ ახალაშენებულ სახლში ლ. ნ-ეს გადასცა ხუთოთახიანი იზოლირებული ბინა. აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობა ასევე უარყო ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ემ;

5. 2009 წლის 2 ოქტომბერს ამხანაგობა „ი-ო-ის“ №2 კრების ოქმის საფუძველზე დადგინდა, რომ 1990 წლის 19 სექტემბერს საპურთალოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ ამხანაგობას სახელი დარჩა იგივე და არჩეულ იქნა გამგეობა, თავმჯდომარე, თანათავმჯდომარე, დამფუძნებელ წევრებად მიღებული იქნენ მ. ჯ-ე, ე. ლ-ი, ლ. ქ-ი, ნ. ნ-ე, კ. თ-ი, გ. თ-ი, მ. თ-ი, გ. გ-ე, ზ. კ-ი, ი. თ-ე, ნ. ჩ-ე, გ. ო-ი, ა. მ-ე, თ. ს-ე, ე. კ-ე, ნ. ნ-ე, ც. ბ-ი, გ. გ-ე, გ. კ-ე, გ. ც-ე, დ. ტ-ე;

6. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ი-ო ..-ის“ დებულების თანახმად, ამხანაგობის წევრები იყოფიან „დამფუძნებელ“ და „ჩვეულებრივ“ წევრებად. დამფუძნებელი წევრები განახორციელებენ შენატანებს ამხანაგობაში და დამფუძნებელ წევრთა საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა დამფუძნებელი წევრის 2/3-ის თანხმობა;

7. 2009 წლის 21 დეკემბრისა და 28 დეკემბრის ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ი-ო ..-ის“ საერთო კრების ოქმის საფუძველზე ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯ-ეს მიენიჭა უფლებამოსილება, ამხანაგობის სახელით ანარმონოს საქმიანობა;

8. 2009 წლის 30 დეკემბერს შედგა ამხანაგობა „ი-ო ...-ის“ დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელიც გახდა საფუძველი ამხანაგობის წევრებზე ქონების განაწილებისა და საჯარო რეეს-

ტრში მესაკუთრედ აღრიცხვისა;

9. თბილისში, ი-ოს ქ. №..-ში მდებარე საცხოვრებელი ბინები რეგისტრირებულია მესაკუთრებზე, ხოლო ბინა №79 და ბინა №80 აღრიცხულია ამხანაგობის სახელზე;

10. ლ. ნ-ესა და გ. ც-ეს შორის არ მომხდარა ამხანაგობაში წილის ნასყიდობა ან სხვა რაიმე ფორმით ამხანაგობის წევრობიდან გ. ც-ის გასვლა და მის ნაცვლად ლ. ნ-ის მიღება. ამგვარი მოსაზრების სანინაალმდეგოდ, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს 2008 წლის 16 აპრილს შედგენილი ხელწერილზე – სესხის ხელშეკრულებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ ლ. ნ-ემ გ. ც-ეს გადასცა სესხის სახით 50000 აშშ დოლარი 5 თვის ვადით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულლად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა დასაბუთებული პრეტენზია ნარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიმართ.

საკასაციო სასამართლომ, შეამოწმა რა შედავების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს სარჩელის საფუძვლებზე: 2008 წლის 16 აპრილს ლ. ნ-ესა და მ. ჯ-ეს შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა „ი-ო ... მა“ ახალაშენებულ სახლში ლ. ნ-ეს გადასცა მე-7 სადარბაზოს მე-3 სართულზე მდებარე 190 კვ.მ ხუთოთახანი იზოლირებული ბინა №57, ძეგლი ნუმერაციით №43. 2009 წლის 30 დეკემბერს შედგა ამხანაგობა „ი-ო ... -ის“ დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელიც გახდა საფუძველი ამხანაგობის წევრებზე ქონების განანილებისა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვესა. ლ. ნ-ეს ამ კრების ოქმის მთლიანად ბათილად ცნობა არ მოუთხოვია. მოსარჩელე ითხოვს, მისთვის გადასაცემი ბინის სანაცვლოდ, ამხანაგობის სახელზე რეგისტრირებული №79 და №80 ბინების მიკუთვნებას.

სამოქალაქო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულებს საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების საგანი ინდივიდუალიზებული იყო. 2008 წლის 16 აპრილის

ხელშეკრულების ნამდვილობის დადასურების შემთხვევაში, ამ-
ხანაგობას ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გადაცე-
მის ვალდებულება გააჩნდა. თუნდაც მივიჩნიოთ, რომ მრავალ-
სართულიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს გვაროვნულ
ნივთს, გვაროვნული თვისებები დაიკარგა მას შემდეგ, რაც მხა-
რებმა ხელშეკრულებით დაადგინეს შესრულების საგნის ინ-
დივიდუალური ნიშნები – სართული, ბინის ნომერი, ფართი. სა-
მოქალაქო კოდექსის 381-ე მუხლის საფუძველზე, მართალია,
კრედიტორის ასარჩევია, მიიღებს თუ არა ინდივიდუალურად
განსაზღვრული ნივთის წაცვლად სხვა ნივთს, მაგრამ საკასა-
ციო სასამართლო განმარტავს, რომ ამგვარი არჩევანის უფლე-
ბა არსებობს, თუ ხელშეკრულების თავდაპირველი საგნის გა-
დაცემის მოთხოვნა შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში,
2008 წლის 16 აპრილის ხელშეკრულებით განსაზღვრული ბინა
2009 წლის 30 დეკემბრის კრების ოქმით განიკარგა, რისი ბათი-
ლად ცნობაც ლ. ნ-ეს არ მოუთხოვია, კასატორი კრების ოქმის
მხოლოდ №79 და №80 ბინების ამხანაგობისათვის გადაცემის
ნაწილში ბათილად ცნობას მოითხოვს. საკასაციო სასამართლო,
ამასთან, განმარტავს, რომ მოსარჩელეს ამხანაგობის წევრად
ყოფნის ფაქტის დადგენის იურიდიული ინტერესი მაინც გააჩ-
ნია, ვინაიდან, შემდგომში, შეუძლია, ხელშეკრულების საგნის
გასხვისებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ გ. ც-ესა
და ლ. ნ-ეს შორის სესხის ხელწერილის არსებობა ვერ მიიჩნევა
ამხანაგობის წევრობის დათმობის ხელისშემშლელ გარემოებად.
საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ლ. ნ-ესა და გ. ც-ეს
შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა
ცალკე სამართლებრივი ურთიერთობაა, მოცემულ შემთხვევა-
ში კი, მნიშვნელოვანია ლ. ნ-ესა და ამხანაგობას შორის ურთი-
ერთობა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2008 წლის 16
აპრილის ამხანაგობის საერთო კრების ოქმის შესაბამისად, გ.
ც-ებმ თავისი წილი დაუთმო ლ. ნ-ეს. იყო თუ არა, წილის დათმო-
ბა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეთანხმების სა-
განი, გავლენას არ ახდენს მოცემული დავის გადაწყვეტაზე,
ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ცალკე
მჯელობის საგანია, კანონიერად განხორციელდა თუ არა წილის
დათმობა.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, ერთობ-
ლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამ-
დენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო
სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით გან-

საზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

მოცემულ შემთხვევაში, 2009 წლის 2 ოქტომბრის №2 კრების ოქმისა და კრების მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, 2008 წლის მდგომარეობით ამხანაგობა „ი-ო ..“ წარმოადგენდა 1990 წლის 19 სექტემბერს საბურთალოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ ამხანაგობას, რომელიც შეიქმნა თბილისში, ი-ოს ქუჩა №.-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცებს ტვირთი არასწორად გაანაწილა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ლ. ნ-ეს უნდა ემტკიცებინა, რომ კრება ჩატარდა სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით და არა შესატანის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ არის წარმოდგენილი 2009 წლამდე ამხანაგობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (წესდება, ხელშეკრულებები და ა.შ.), სადაც ასახული იქნებოდა ინფორმაცია ამხანაგობის წევრებისა და გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ საკუთარი მოთხოვნების დასასაბუთებლად 2008 წლის 16 აპრილის კრების ოქმი და ხელშეკრულება წარმოადგინა. მოპასუხებებს კი, მიუთითოდნენ რა მათ ბათილობაზე, სათანადო მტკიცებულებები უნდა წარმოედგინათ, რაც დაადასტურებდა, რომ კრების ოქმი და ხელშეკრულება კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა, კერძოდ, კი ამხანაგობის წესდება ან სხვა დაოკუმენტაცია, საიდანაც გაირკვეოდა, 2008 წლის მდგომარეობით ვინ იყო ამხანაგობის წევრი ან გადაწყვეტილების მიღების რა წესი მოქმედებდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი და-

ვის გადაწყვეტისათვის აუცილებელია სამართლებრივად სწორად შეფასდეს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2008 წლის 16 აპრილის ამხანაგობის საერთო კრების ოქმის შესაბამისად, გ. ც-ემ თავისი წილი დაუთმო ლ. ნ-ეს, ანუ, ამხანაგობის წევრმა თავისი წილი მესამე პირზე გაასხვისა.

სამოქალაქო კოდექსის 933.1 მუხლის მიხედვით წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, წილის გასხვისების საკითხის გადაწყვეტის რა წესი იყო გათვალისწინებული 2009 წლის 2 ოქტომბრამდე მოქმედი ამხანაგობის დოკუმენტებით, ვინაიდან სსკ-ის 933-ე მუხლი არ შეიცავს დათქმას ამხანაგობის ხელშეკრულებით სხვაგვარი მოწესრიგების შესაძლებლობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი ვრცელდება ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების წესზე, გარდა წილის გასხვისებისა, ვინაიდან წილის მესამე პირზე გასხვისების თაობაზე ინფორმაცია ამხანაგობის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს და მათი კრებაზე მიწვევა სავალდებულოა. ისეთ პირობებში, როდესაც კანონი იმპერატიულად, ამომწურავად განსაზღვრავს ქცევის წესს, მხარეთა შეთანხმებით განსხვავებული წესის დადგენა ბათილია, შესაბამისად, გ. ც-ეს წილის ლ. ნ-ისათვის გადასაცემად ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა ესაჭიროებოდა.

მოცემულ შემთხვევაში სადავო კრების ოქმს ამხანაგობის მხოლოდ ორი წევრი ანერს ხელს, ოქმში დასახელებული მესამე წევრი – ამხანაგობის თავმჯდომარე უარყოფს თავის მონაწილეობას. საყურადღებოა, რომ ოქმში მითითებული არ არის კრებაში მონაწილე ამხანაგობის წევრები. აღნიშნულია, რომ აზრი გამოთქვეს თ. კ-ემ, ბ. ლ-მა, გ. მ-მ და სხვებმა. თავად მოპასუხეთა განმარტებით, ამხანაგობაში 21 წევრია გაწევრიანებული, კრებას კი, მხოლოდ 5 ესწრებოდა, შესაბამისად, უფლებამოსილი არ იყო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კრების ოქმი თავისი შინაარსით, იძლევა იმ ვარაუდის დაშვების საფუძველს, რომ კრებაზე დამსწრე პირები წილის ლ. ნ-ისათვის გადაცემას ეთანხმებოდნენ. ამ ვარაუდის გაბათილება კი, მოპასუხეთა მტკიცების ტვირთში შედის. მოპასუხებს უნდა დაედასტურებინათ შესაბამისი მტკიცებულებებით, ხელშეკრულების დადების დროისათვის ამხანაგობას რამდენი წევრი ჰყავდა და ყველა მათგანი დაესწრო თუ არა სადავო კრებას. თუნდაც დადასტურებულად იქნეს მიჩნეული, რომ კრებას მხოლოდ 5 წევრი

ესწრებოდა, ის ფაქტი, რომ ამხანაგობას იმ დროისათვის 5-ზე მეტი წევრი ჰყავდა, მოპასუხეთა მტკიცების საგანია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაბილა მტკიცების ტყირთი, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი და არ გამოიყენა იმავე კოდექსის 933-ე მუხლი, ამასთან დავა არ განუხილავს ამხანაგობის 2008 წლის 16 აპრილის კრების ოქმისა და ხელშეკრულების ნამდვილობის გათვალისწინებით, შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელ-მძღვანელოს წინამდებარე განჩინების დასაბუთებით, დაადგინოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და მოახდინოს მათი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. 6-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

მთაიცების ფინანსი, მთაიცებულებათა დასაშვებობა

განხილვა

№ას-739-707-2014

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ზ-ემ სარჩელი აღძრა ვ. მ-ის მიმართ თანხის დაკისრების
თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

2007 წლის 21 მაისს ნოტარიუს მ. კ-ის სანოტარო ბიუროში
მოპასუხე ვ. მ-მა რეესტრში რეგისტრირებული №.-.... სანოტა-
რო აქტით მოსარჩელე მ. ზ-ეს 10 წლის ვადით მიანიჭა უფლება-
მოსილება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უნდა შეეძინა მი-
ნის ნაკვეთი ქ. ქობულეთში.

2007 წლის 16 აგვისტოს ნოტარიუს მ. კ-ის სანოტარო ბიუ-
როში მოპასუხე ვ. მ-მა რეესტრში რეგისტრირებული №... სანო-
ტარო აქტით მოსარჩელე მ. ზ-ეს 10 წლის ვადით მიანიჭა უფლე-
ბამოსილება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უნდა აეშენები-
ნა და დაეპროექტებინა მრავალბინიანი სახლი მდებარე ქ. ქო-
ბულეთში, ა-ის გამზ. №...-ში და ამ მომსახურების განსახორცი-
ელებლად დაედო შესაბამისი ხელშეკრულებები კონტრაქტენ-
ტებთან.

2008 წლის 20 ნოემბერს ნოტარიუს ხ. კ-ის სანოტარო ბიუ-
როში მოპასუხე ვ. მ-მა რეესტრში რეგისტრირებული №... სანო-
ტარო აქტით მოსარჩელე მ. ზ-ეს, როგორც მინდობილ მესაკუთ-
რეს, მიანიჭა ზემოხსენებული ქონების თავის შეხედულებისა-
მებრ მართვის და გაყიდვის უფლებამოსილება.

მოსარჩელის განმარტებით, იგი გაცემული მინდობილობე-
ბის საფუძველზე ახორციელებდა მარწმუნებლის მიერ მისთვის
მინიჭებულ უფლებამოსილებას რწმუნებულების გაუქმებამდე.
მან მარწმუნებლის სასარგებლოდ განახორციელა შემდეგი სა-
ხის მომსახურებები: ა) მის მიერ მოპასუხის სასარგებლოდ შე-
ძენილ იქნა მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. ქობულეთში, დ. ა-ის გამზ.
№...-ში; ბ) მოძიებულ იქნა არქიტექტორი მრავალბინიანი საც-

ხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად და გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება სამშენებლო პროექტის მოსამზადებლად, ასე-ვე დადებულ იქნა ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან; გ) მარწმუნებლის მიერ რნმუნებულების გუქმებამდე იგი ხელ-მძღვანელობდა ქ. ქობულეთში მდებარე მრავალბინიანი საც-ხოვრებელი სახლის მშენებლობას.

ზემოაღნიშნული მომსახურებების განხორციელების სანაც-ვლოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელეს გასამრჯელოს სახით უნდა მიეღო ქ. ქობულეთში დ. ა-ის გამზ. №...-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებლიდან 4 ერთეული საცხოვრებელი ფართი, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება შეადგენს 600 000 აშშ დოლარს, საცხოვრებელი ფართებისა და სართულების შერჩევის უფლებამოსილება კი, მოპასუხე ვ. მ-მა მოსარჩელეს მიანიჭა.

მოსარჩელის მითითებით, გასამრჯელოს სახით მისაცემი უძ-რავი ქონება ვ. მ-ის საკუთრებაში აღარ იმყოფება, რადგან ის უკვე შპს „E. D.“-ის სახელზე ირიცხება.

ზ-ის განმარტებით, ვ. მ-მა არ შეასრულა მასზე ნაკისრი ვალ-დებულება და არ გადაუხადა მოსარჩელეს მისთვის კუთვნილი გასამრჯელო არც უძრავი ქონების და არც მისი ექვივალენტუ-რი ღირებულების სახით.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე მხარე ვერ ადასტურებს მხარეთა შორის ნამდვილად არსებობ-და თუ არა დავალების ხელშეკრულება; იგი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოთხოვნას, ვინაიდან თავად მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მათ შორის შეთანხმება არსებობდა უძრავი ქონების გადა-ცემაზე, რაც ისედაც ვერ განხორციელდებოდა. თავად მოსარ-ჩელისთვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხის საკუთრებიდან გა-ვიდა სადაც უძრავი ქონება. მოპასუხის მითითებით, მოსარ-ჩელის მოთხოვნა არ ემყარება მხარეთა შეთანხმებას, ამასთან იგი მიიჩნევს, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სა-სარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხე ვ. მ-ს დაეკისრა მოსარჩელე მ. ზ-ის სასარგებლოდ 355 372,8 ლა-რის გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინერეს მ. ზ-ემ და ვ. მ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სააპე-

ლაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება მ. ზ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ვ. მ-ს მ. ზ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დამატებით 239 596 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ზ-ესა და ვ. მ-ს შორის შედგა სამი სახის მინდობილობა:

პირველი, 2007 წლის 21 მაისს, რომლითაც ვ. მ-მა მ. ზ-ეს მიანიჭა უფლებამოსილება მისი სახელით შეეძინა მიწის ნაკვეთი, ქ. ქობულეთში. მინდობილობის ვადა 10 წლით განისაზღვრა; მეორე მინდობილობა ვ. მ-მა 2007 წლის 16 აგვისტოს გასცა მ. ზ-ეზე, ისევ 10 წლის ვადით. აღნიშნული მინდობილობით მიანიჭა უფლებამოსილება მ. ზ-ს ააშენოს და დაპროექტოს მრავალბინანი სახლი, რომელიც მდებარეობს ქ. ქობულეთში, ა-ის გამზ. №...-ში. ამ მხრივ მოლაპარაკებები ანარმოოს შესაბამის ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებთან, დადონს ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან, დაიცვას მიმნდობის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები, ნარმოადგინოს იგი ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან; მესამე მინდობილობა გაიცა 2008 წლის 20 ნოემბერს, რომლითაც ვ. მ-მა, როგორც საკუთრების მიმნდობმა, მ. ზ-ეს, შემდგომში „მინდობილ მესაკუთრეს“, გადასცა ყველა უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ მართოს, მოახდინოს რეალური გაყოფა, გაასხისოს, გაყიდოს უძრავი ქონება მდებარე ქობულეთში, ა-ის ქ. №...-ში. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში წარმოადგინოს საკუთრების მიმნდობი იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, ნაწილობრივ ან სრულად გადასცეს წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი სხვა პირებს. მინდობილობა გაიცა 1 წლის ვადით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული მინდობილობებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მ. ზ-ის მიერ ვ. მ-ისათვის შეძენილი იქნა 49905 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქ. ქობულეთში, ა-ის ქ. №...-ში მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის. იგი თავის შვილთან, გ. ზ-ესთან ერთად ახორციელებდა მ-ის მიერ დაფუძნებული შპს „K. I“-ის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

მანვე ზემოაღნიშნული მინდობილობების საფუძველზე შპს „ა-თან“ გააფორმა ნარდობის ხელშეკრულება.

მ. ზ-ის მიერ მ-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოძიებული იქნა არქიტექტორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაპროექტებისათვის და გაფორმდა ხელშეკრულება სამშენებლო პროექტის მოსამზადებლად.

პალატამ ასევე დაადგინა, რომ მინდობილი პირი მ. ზ-ე დავალების ხელშეკრულების ფარგლებში შესაბამის ორგანოებთან ახდენდა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისათვის სათანადო განცხადებებით მიმართვას და ურთიერთობის დამყარებას და მინდობილობის გაუქმებამდე, ანუ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებამდე ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

2008 წლის 21 ნოემბერს, მ-მა დააფუძნა შპს „K. I“, რომლის დირექტორად მ. ზ-ის შვილი გ. ზ-ე დაინიშნა.

2009 წლის 25 იანვარს შპს „K. I.“-ის საკუთრებაში გადაეცა მინის ნაკეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, მდებარე ქობულეთი, ა-ის გამზ. №....

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით მითითებული უძრავი ქონება შპს „K. I.“-ის სამართალმემკიდრის შპს „E. D.“-ის საკუთრებაა.

პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ რომ 2011 წლის 19 მაისს №... სანოტარო აქტით, ვ. მ-მა მ. ზ-ეს გაუუქმა მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 103-ე მუხლების ფარგლებში მხარეთაგან მიღებული იქნა ახალი მტკიცებულებები იმ ფაქტობრივი გარემოების გასარკვევად, იყო თუ არა თავდაპირველ პროექტში, ანუ მხართა შეთანხმების დროს (ან მის შემდგომ, რეესტრში რეგისტრაციის დროს) გათვალისწინებული 132 კვ.მ. ფართის ბინები; ასევე რა კონდიციამდე იყო მიყვანილი (ახუ იყო თუ არა აშენებული) 2011 წლის მაისში (მინდობილობის გაუქმების დროისათვის) ა-ის ქუჩაზე №...-ში განთავსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

მ. ზ-ის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი იქნა მუშა პროექტი შპს „გ“-ის მიერ შედგენილი, რომლის დამკვეთია ვ. მ-ი. ასლი დამოწმებულია აჭარის ა/რ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. მტკიცებულებიდან ჩანს, რომ დამკვეთი მ. ზ-ის მიერ წარმოდგენილი იქნა 2014 წლის 23 აპრილის სამშენებლო კომპანია „ა-ის“ მიერ გაცემული წერილი, რომლიდანაც დგინდება, რომ ქობულეთში, დ. ა-ის ქ. №...-ში მდებარე მრა-

ვალბინიანი საცხოვრებელი სახლის მე-9 სართულის მშენებლობა 2011 წლის მაისის თვეები დასრულდა.

მ. ზ-ის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა შპს „E. D“-ის დირექტორის ო. მ-ას მიერ გამოცემული 2013 წლის 31 ივლისის №4 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა დ. ა-ის ქ. №...-ში მდებარე კორპუსის ცალკე უფლების ობიექტებად განმლის ბრძანება, თანდართული ბინების განაწილების ცხრილით.

მითითებული მტკიცებულების (ცხრილის) შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-3 სადარბაზოში, მე-2 სართულზე მდებარე №225 ბინა არის 134,43 კვ.მ., მე-3 სართულზე მე-3 სადარბაზოში მდებარე №236 ბინა – 135,95 კვ.მ., მე-3 სადარბაზოში მე-4 სართულზე მდებარე №247 ბინა – 135,55 კვ.მ., მე-3 სადარბაზოში მე-5 სართულზე მდებარე №258 ბინა 135,12 კვ.მ. ფართის.

პალატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია შპს „K. I“-სა და შპს „ა-ას“ შორის შედგენილი შესრულებული სამუშაოების მიღების აქტი №11 (ფორმა №2), რომელიც ასევე 2011 წლის 6 მაისით არის დათარიღებული.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ზ-ესა და ვ. მ-ს შორის არსებული შეთანხმებით, ვ. მ-ს განეული მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელოს სახით მ. ზ-ისათვის უნდა გადაეცა ქობულეთში, ა-ის გამზ. №...-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 4 ბინა. საცხოვრებელი ფართებისა და სართულების შერჩევის უფლებამოსილება მ. ზ-ეს ჰქონდა.

პალატის აზრით, აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს შემდეგი მტკიცებულებები: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენი; დაზარალებულმა მ-მა განმარტა, რომ შეთანხმების თანახმად, თავად მ. ზ-ისავე შეთავაზებით, აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში მას უნდა მიეღო ნებისმიერი 4 ბინა, რომელსაც თავად აირჩივდა.

სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 ივნისის სხდომის ოქმზე, სადაც ადვოკატის შეკითხვაზე ვ. მ-ი პასუხობს: „თავდაპირველად, როცა იწყებოდა მშენებლობა, მ. ზ-ემ განმარტა, რომ მას ყავს 3 თუ 4 ბავშვი და უნდოდა, რომ ამ სახლში ქონიდათ მის შვილებს ბინები, რაზედაც მე დავპირდი, რომ ნებისმიერი კვადრატის და ნებისმიერ სართულზე აერჩია მისთვის სასურველი ბინები. მასზე უნდა გამოყოფილიყო 4 ბინა“.

პალატამ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მი-

იჩინია, რომ დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განევისათვის ვ.. მ-ს მ. ზ-ისათვის არ გადაუცია 4 ბინა. ასევე უდავო გარემოებაა, რომ დღეის მდგომარეობით ქობულებით, ა-ის გამზ. №...-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მდებარე პინების განშლა მომხდარია და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მესაკუთრეა შპს „E. D“.

საქმეში წარმოდგენილი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული დეპარტამენტის 2013 წლის 10 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1 კვ.მ. ფართის ლირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 652 აშშ დოლარს და 686 აშშ დოლარს სართულების მიხედვით (აღნიშნულია მე-5, მე-6, მე-7, მე-8 სართულებზე განთავსებული ფართების ლირებულება).

დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ წინამდებარე დავა უნდა მოწესრიგდეს დავალების ხელშეკრულებით დადგენილი სამართლებრივი რეგულაციებით და ვალდებულებითი ურთიერთობისათვის დადგენილი სამართლებრივი ნორმებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე, 316-317-ე, 327-ე მუხლებზე დაყრდნობით სასამართლომ აღნიშნა, რომ შხარეთა შორის გაფორმებული 3 მინდობილობა, ფაქტობრივად დავალების ხელშეკრულება იყო, რომლითაც ვ. მ-მა გარკვეული დავალებების შესრულება მიანდო რწმუნებულს, მ. ზ-ეს.

ზ-ესა და მ-ს შორის დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელო იყო ბინის 4 ერთეული აშენებულ კორპუსში, ამასთან, არჩევანის უფლება თავად მ. ზ-ეს ეკუთხნდა.

პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულება წყდება მარნეულებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას განეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ დავალების ხელშეკრულება (ანუ მინდობილობა) ვ. მ-მა მ. ზ-ეს 2011 წლის მაისში შეუწყვიტა, პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ ამ დრომდე მათ შორის გრძელდებოდა სამართლებრივი ურთიერთობა და მ. ზ-ე ასრულებდა დავალების ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას. სასამართლომ დადგინა, რომ დავალების ხელშეკ-

რულების შეწყვეტის დროისათვის ე.ი. 2011 წლის მაისისათვის საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დასრულდა.

2011 წლამდე ვ. მ-ს არანაირი პრეტენზია მინდობილი დავალების შესრულების ხარისხთან ან სხვა გარემოებასთან დაკავშირებით მ. ზ-ის მიმართ არ გააჩნდა (ასეთი რამ სასამართლოზე მხარეებსა არ განუცხადებიათ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მ. ზ-ებ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის შესაბამისად, უნდა მიეცეს შეთანხმებული გასამრჯელო.

პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება გასამრჯელოს თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. ამავე მუხლის მქამე ნაწილის თანახმად, თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო.

სააპელაციო სასამართლოს განძარტებით, გამომდინარე იქედან, რომ მ. ზ-ისათვის გასამრჯელოს სახით შეპირებული უძრავი ქონება არ წარმოადგენს ვ. მ-ის საკუთრებას და იგი შეს „E. D“-ის საკუთრებაა, მოვალეს, ანუ დავალების მიმცემს ეკისრება საზღაურის ფულადი სახით ანაზღაურება.

საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნიდან (1 კვ.მ. ფართის ღირებულებასთან დაკავშირებით, იმ ოდენობაზე, რაც დავალების შემსრულებელმა აირჩია (თანახმად შეთანხმებისა) გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ვ. მ-ს უნდა დაკისრებოდა 132 კვ.მ. ფართის *4-ზე ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული 1 კვ.მ. ღირებულების ოდენობით, რაც ჭამში შეადგენდა 239 59% ლარს.

რაც შეეხება აპელანტ ვ. მ-ის განმარტებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა მას და მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება მოცემულ საკითხზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზ-ის უფლება დაირღვა 2011 წლის მაისში, მინდობილობის გაუქმების დროს, საპასუხო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, როდესაც მან შეთანხმებული საზღაური ვერ მიიღო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ვ. მ-მა შეი-

ტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ ზოგიერთი ფაქტობრივი გარემოება სწორად დაადგინა თუმცა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

კასატორის განმარტებით, 2007 წლის 21 მაისს ვ. მ-მა მ. ზ-ის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლის მიხედვით მ. ზ-ეს მიერნიჭა უფლებამოსილება მარწმუნებლის სახელით შეეძინა მინის ნაკვეთი ქ. ქობულეთში, მინდობილობის ვადა განისაზღვრა ათი წლით. საჩივრის ავტორის აზრით, რწმუნებულება არ ითვალისწინებდა დათქმას მარწმუნებლის მიერ რწმუნებულებისათვის შესასრულებელი მოქმედებისათვის ანაზღაურებაზე. 2007 წლის 28 მაისს მ. ზ-ემ ვ. მ-ის სახელით შეიძინა ქ. ქობულეთში მინის ნაკვეთი 424 150 აშშ დოლარად, საიდანაც მ. ზ-ემ, თავის შეილთან ერთად მიითვისა 124 150 აშშ დოლარი. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად კასატორი მიუთითებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენზე. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, მ. ზ-ის მიერ უძრავი ქონების შეძენით და საჯარო რეესტრში მინის ნაკვეთის მარწმუნებლის სახელზე რეგისტრაციით სრულად იქნა შესრულებული მარწმუნებლის ნება მინდობილობით განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც მინდობილობის მოქმედებამ, რომელიც დამოკიდებული იყო მარწმუნებლის ნების შესაბამისად იურიდიული სახის ქმედებების შესრულებაზე, დაკარგა ძალა ამ მოქმედებების შესრულებით სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად. კასატორის განმარტებით, მხარემ ვერ შეძლო იმ მტკიცებულების წარდგენა და თანხის დასახელება, რომელიც მას ერგებოდა აღნიშნული მოქმედებების შესრულებისათვის.

2007 წლის 16 აგვისტოს ვ. მ-მა მ. ზ-ის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლის მიხედვით მ. ზ-ეს მიერნიჭა უფლებამოსილება მარწმუნებლის სახელით მოეხდინა მარწმუნებლის მიერ შეძენილ მინის ნაკვეთზე სამშენებლო პროექტის მომზადებისათვის ხელშეკრულების დადება. საცხოვრებელი სახლის მშენებლიბისათვის სამშენებლო კომპანიასთან ხელშეკრულების დადება და საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების განხორციელება. მინდობილობის

ვადა განისაზღვრა 10 წლით. კასატორის განმარტებით, პირველი მინდობილობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებიდან მეორე მინდობილობის გაცემამდე გავიდა დაახლოებით სამი თვე, რომლის განმავლობაში მ. ზ-ეს რაიმე სახის მოქმედებები ვ. მ-ის დავალებით, თუ თხოვნით არ განუხორციელება. 2007 წლის 15 სექტემბერს მ. ზ-ემ ვ. მ-ის სახელით შპს „ა-თან“ გააფორმა ხელშეკრულება ქ. ქობულეთში დ. ა-ის გამზ. №...-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ე.ნ. შავი კარკასის მშენებლობაზე. ხოლო 2008 წლის დასაწყისში მ. ზ-ემ გააფორმა ყალბი ხელშეკრულება არქიტექტორ გ. მ-თან, რომლის შედეგად მიითვისა 192 000 აშშ დოლარი (ალნიშნული გარემოების დასადასტურებლად კასატორი კვლავ მიუთითებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენზე). ვინაიდან 2007 წლის 15 სექტემბერს სამშენებლო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებით საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წარმოება შპს „ა-ის“ სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენდა, მ. ზ-ის სახელზე 2007 წლის 16 აგვისტოს გაცემული მინდობილობის ფარგლები შემოიფარგლა 2007 წლის 16 აგვისტოდან ამავე წლის 15 სექტემბრამდე და მისი მოქმედება კვლავ შეწყდა სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუსქტის თანახმად. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, მოსარჩელემ ამ ნაწილშიც ვერ შეძლო მტკიცებულების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა გარიგება ამ მოქმედებისათვის მ. ზ-ისთვის რაიმე სახის გასამრჯელოს გადახდის თაობაზე.

2008 წლის 20 ნოემბერს ვ. მ-მა მ. ზ-ის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლის მიხედვით მ. ზ-ეს მიენიჭა უფლებამოსილება მარწმუნებლის სახელით მოხედინა ვ. მ-ის უძრავი ქონების მართვა და განკარგვა. მინდობილობის ვადა განისაზღვრა 1 წლით. 2008 წლის 21 ნოემბერს ვ. მ-მა დააფუძნა შპს „K. I.“ (ამჟამად შპს „E. D.“). 2008 წლის 1 დეკემბერს ვ. მ-ის დავალებით და ზემოხსენებული მინდობილობის სფუძველზე მ. ზ-ემ შპს „ა-თან“ გააფორმა დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც საცხოვრებელი სახლის მშენებლობიდან წარმოშობილი ყველა უფლება-მოვალეობა გადადიოდა შპს „K. I.“-ზე, ხოლო 2009 წლის 25 იანვარს ვ. მ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება გადავიდა ამავე იურიდიული პირის საკუთრებაში, რომლის დირექტორად დაინიშნა ვ. ზ-ე, რის გამოც ვ. მ-ის მიერ 2008 წლის 20 ნოემბრის მინდობილობით მ. ზ-ისათვის მიზიდებული უფლებები შეწყდა 2009 წლის 25 იანვარს. კასატორის აზრით, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს კვლავ ვერ წარუდგინა მტკიცებულება, რომლი-

თაც დადასტურდებოდა, თუ რა სახის და ოდენობის გასამრჯელო ეკუთვნოდა მას ზემოთ ხსენებული მოქმედების განხორციელებისათვის.

მოსარჩელემ დაასახელა მხოლოდ სამი ურთიერთსაპირის-პირო პირობა, რომელიც ვითომ მიღწეული იყო ვ. მ-თან, კერძოდ:

პირველი ვარიანტი – ვ. მ-ი მ. ზ-ეს შეპირდა გასამრჯელოს სახით ვ. მ-ის საკუთრებაში არსებულ ქ. ქობულეთში, დ. ა-ის გამზ. №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლიდან 4 ერთეულ საცხოვრებელ ფართს. საცხოვრებელი ფართების და სართულების შერჩევის უფლებამოსილება მ. ზ-ეს ჰქონდა. შემდგომ აღნიშნული ვარიანტი თავად მოსარჩელის მიერ იქნა გაქარწყლებული იმ მოტივით, რომ ვ. მ-ი ვერ შეპირდებოდა მას უძრავი ქონების გადაცემას ვინაიდან, ეს უძრავი ქონება მის საკუთრებას არ წარმოადგენდა და სასამართლოს შესთავაზა მეორე ვარიანტი.

მეორე ვარიანტი – გასამრჯელოს გაცემა უნდა განხორციელებულიყო არა კონკრეტული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით, არამედ ამ უძრავი ქონებების ღირებულების გადახდით. ამასთანავე, მოსარჩელე მხარემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მას რაიმე ფორმით არ გამოუხატავს თანხმიბია დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სანაცვლოდ კონკრეტული უძრავი ქონების მიღებაზე.

მესამე ვარიანტი, რაც შეთავაზებული იქნა მოსარჩელე მხარის მიერ მდგომარეობდა იმაში, რომ მ. ზ-ეს ანაზღაურების სახით უნდა მიეღო 30%-იანი წილი ვ. მ-ის ქობულეთში არსებული ბიზნესიდან.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის დისპოზიციაზე მსჯელობისას, ამ მუხლის საფუძველზე მ. ზ-ესა და ვ. მ-ს შორის ანაზღაურებადი დავალების ხელშეკრულების არსებობის დადგენისას რატომდაც არ გაითვალისწინა თავად მ. ზ-ის მიერ ზემოთ მოხსენებული გარემოებები და დაეყრდნო მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე ვ. მ-ის მიერ მიცემულ ჩვენებას, რომლის მიხედვით მას იდეაში ჰქონდა სახლის მშენებლობის დამთავრების შემთხვევაში პატივი ეცა „ერთგული“ მეგობარის, მ. ზ-ისათვის. იმ პერიოდში ვ. მ-ისათვის უცნობი იყო, რომ მის „ერთგულ მეგობარს“ თავის შვილთან, გ. ზ-ესთან ერთად განზრაბული ჰქონდა 1 046 219 აშშ დოლარის მითვისება. სააპელაციო სასამართლომ ვ. მ-ის იდეა ხელშეკრულებად მიიჩნია, რითაც არა-

მარტო ნოვაცია შეიტანა სახელშეკრულებო სამართალში, არა-მედ წინააღმდეგობაში მოვიდა თვით მოსარჩელის პოზიციას-თან, რომლის მიხედვით მხარეთა შორის ბინების ნატურით გა-დაცემაზე გარიგება არ დადებულა.

კასატორის აზრით, გარიგების დადება და პირობებზე შე-თანხმება წარმოადგენს იურიდიულ მოვლენას, რომელიც წარ-სულში წარმოიშვა, ანტყოში არსებობს და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულებამდე. მოსარჩელემ ვერ დაა-სახელა გარიგების დადების თარიღი, რის გამოც მისი მოქმედე-ბის დაწყების თარიღის დადგენა შეუძლებელია. თარიღის და-უდგენლობის შემთხვევაში შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, იყო თუ არა ვ. მ-ი სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახ-მად უფლებამოსილ დაედო გარიგება მოსარჩელის მიერ დასა-ხელებული შინაარსით, მოიხმარის თუ არა მათ შორის დადებული გარიგება უძრავი ქონების მესაკუთრე შპს „E. D“-მა, არსებობ-და თუ არა უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინების სახით) გა-რიგების დადების დღისათვის და მათ შორის დადებული გარი-გებით ანაზღაურების წესი დაკავშირებული იყო თუ არა საც-ხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებასთან, თუ ვ. მ-ი მ. ზ-ეს სხვის საკუთრებაში არსებული ბინების გადაცემას შეჰ-პირდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყების ან/და დასრულების გარეშე.

აღნიშნული არსებითი სახის ფაქტობრივი გარემოებების გა-მოკვლევის და დადგენის ვალდებულება სამოქალაქო კოდექ-სის 105-ე და 248-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამარ-თლოს კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა, ხოლო ამ გარემოებების დამამტკიცებელი მტკიცებულებების წარდგე-ნის ტვირთი მოსარჩელის ვალდებულება იყო. სააპელაციო სა-სამართლომ ვერ დაადგინა ხელშეკრულების დადების თარიღი, თუმცა დაადგინა, რომ მრავალპინანი სახლის მშენებლობას მ. ზ-ე თავის შვილთან, ვ. ზ-ესთან ერთად ახორციელებდა მ-ის მიერ დაფუძნებული შპს „K. I.“-ის ხელმძღვანელობით და წარ-მომადგენლობით უფლებამოსილებას. კასატორის განმარტე-ბით, მსგავსი ფაქტი არ არსებობდა. გარდა ამისა, აღნიშნული გარემოების დადგენა ეწინააღმდეგებოდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ დირექტორებს, პროკურისტს მისი კომპეტენციის ფარგლებში ან დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე კონკრეტულ პირს, როგორს წესი თანამშრომელს. კანონი კომ-პანიის (შპს-ს) სხვა სახის ხელმძღვანელობითი და წარმომად-

გენლობითი ძალის მქონე სუბიექტებს არ ცნობს და არ ითვალისწინებს, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობა, კასატორის აზრით, ამ ნაწილში იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლების შემონმება. დამფუძნებლის მიერ გაცემული მინდობილობით მისი რნმუნებული ვერ იქნება კომპანიის წარმომადგენელი ან ხელმძღვანელი. ეს პირი შეიძლება იყოს მხოლოდ დამფუძნებლის წარმომადგენელი, მაგრამ არა კომპანიის, ეს სხვადასხვა ცნებებია და სუბიექტებია. ხოლო ვ. მ-ს მ. ზ-ისათვის არ მიუკია მინდობილობა, რომლითაც ამ უკანასკნელს შეეძლო დამფუძნებლის წარმომადგენლობის უფლებამოსილების განხორციელება, რის გამოც მ. ზ-ე ვ. მ-ის მიერ გაცემული მინდობილობების საფუძველზე ვერანაირად ვერ განახორციელებდა კომპანიის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მე-9 სართულის მშენებლობა 2011 წლის მაისის თვეში დასრულდა და მ. ზ-ესა და ვ. მ-ს შორის არსებული შეთანხმებით, ვ. მ-ს განეული მომსახურების სანაცვლოდ გა-სამჯელოს სახით მ. ზ-ითვის უნდა გადაეცა ქობულეთში, ა-ის გამზ. №...-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 4 ბინა. ვინაიდან, აღნიშნული ბინები წარმოადგენს კომპანიის საქუთრებას, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი და ვ. მ-ს დააკისრა ფულადი თანხის გადახდა, თუმცა მოსარჩელემ 2013 წლის 10 ივლისის განცხადებით, მოპასუხის შესაგებელთან დაკავშირებით თავად უარყო ეს ფაქტი და აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარეს რაიმე ფორმით არ გამოუხატავს თანხმობა დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სანაცვლოდ კონკრეტული უძრავი ქონების მიღებაზე. ანუ მოსარჩელის მტკიცებით ბინების ნატურით გადაცემაზე მხარეთა შორის ხელშეკრულება არ დადებულა. სააპელაციო სასამართლომ კი მოსარჩელის მიერ დასახელებული გარემოებების საწინააღმდეგოდ მაინც დაადგინა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც თავად მოსარჩელე და მოპასუხე უარყოფს, და ბინების ნატურით გადაცემის შეუძლებლობის გამო მოპასუხეს ფულადი ანაზღაურება დააკისრა.

გარდა ამისა, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ შპს „ა-ის“ წერილზე დაყრდნობით მივიდა იმ დასკენამდე, რომ 2011 წლის მაისის თვეში აშენებული იქნა მე-9 სართული, თუმცა საქმეში წარდგენილი ბუკლეტებით (რომელზეც მითითებულია მშენებარე საცხოვრებელი სახლის ფაქ-

ტობრივი მდგომარეობა, 2011 წლის მაისის თვის მდგომარეობით ამოყვანილია სულ შვიდი სართული), 2011 წლის 6 მაისის შესრულებული სამუშაოების მიღების აქტით, ფორმა №2-ით და 2012 წლის 28 მარტის ექსპერტიზის დასკვნით დასტურდებოდა, რომ ექსპერტიზის ჩატარების დღისთვის აშენებული იქნა მხოლოდ შენობის ნაწილი, კერძოდ ცხრა სართული, ნაცვლად 11 სართულისა და სამშენებლო ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურად გაზრდილი იყო, ანუ 2012 წლის მარტის თვის მდგომარეობით საცხოვრებელი სახლის მხოლოდ 9 სართული იქნა აშენებული, მიუხედავად იმისა, რომ პროექტით გათვალისწინებული იყო 11 სართულის მშენებლობა.

შესაბამისად, კასატორის აზრით, გაურკვეველია, რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მივიდა სააპელაციო სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ ვ. მ-მა მ. ზ-ესთან დადო გარიგება, რომ-ლის მიხედვით ვ. მ-ი მხოლოდ 9 სართულის ამოყვანაში გასამრჯელოს სახით მ. ზ-ეს გადასცემდა 4 ბინას, როდესაც საცხოვრებელი სახლის პროექტი საბოლოოდ შეიცვალა მხოლოდ 2013 წელს და მანამადე გათვალისწინებული იყო 11 სართულიანი სახლის მშენებლობა. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2011 წლის მაისის თვეში არ დამთავრებულა და დღემდე იგი არ იყო მიღებული ექსპლუატაციაში. შესაბამისად, გაურკვეველია ვ. მ-სა და მ. ზ-ეს შორის გარიგების დადება 4 ერთეული ბინის გასამრჯელოს სახით გადაცემის შესახებ რა მონაკვეთს მოიცავდა, კერძოდ, მ. ზ-ეს უნდა დაესრულებინა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ამის შემდეგ მიიღებდა ანაზღაურებას, თუ ანაზღაურებას მაინც მიიღებდა, მიუხედავად იმისა, საცხოვრებელი სახლი აშენდებოდა, არ აშენდებოდა თუ ნაწილობრივ აშენდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. მ-მა 2008 წლის 21 ნოემბერს დააფუძნა შპს „K. I.“, რომლის დირექტორად დაინიშნა ვ. ზ-ე (მ. ზ-ის შვილი). ასევე დაადგინა, რომ 2009 წლის 25 იანვარს შპს „K. I.“-ს საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, თუმცა ამ გარემოების დადგენისას სასაპელაციო სასამართლოს გამორჩა ერთი არსებითი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ:

2009 წლის 22 იანვარს, ერთის მხრივ, ვ. მ-სა და მის წარმომადგენელს, მ. ზ-ეს და, მეორეს მხრივ, შპს „K. I.“-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზემოთ ხსენებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა შეიძინა შპს „K. I.“-მა, შესაბამისად, მ. ზ-ის „ანაზღაურებასთან“ და-

კავშირებული „მოთხოვნები“ ხელშეკრულების შესაბამისად, გა-დავიდა შპს „K. I“-ის ვალდებულებებში.

ამრიგად, კასატორის აზრით, მ. ზ-ეს ანაზღაურების მოთხოვნა უნდა დაეყენებინა არა ვ. მ-ის მიმართ, არამედ ახალი მესაკუთრის მიმართ, რომელმაც საცხოვრებელი სახლი თავის მიწის ნაკეთთან ერთად შეიძინა. შესაბამისად, სააპელაციო სა-სამართლომ ზემოთ ხსენებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენით, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ და თანხის გადახდა დააკისრა არასათანადო მხარეს.

საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამარ-თლომ მოსარჩელეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის ითხოვ-და. კერძოდ, მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა მშენებარე სახ-ლის მეტუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე სართულებზე ზღვის ხედით ყველაზე დიდი ფართის მქონე 4 ბინის ლირებულების გადახდა 594 968 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ კი იმსჯელა საცხოვრებელი სახლის მე-3 სადარბაზოში არსე-ბული ბინების პარამეტრებზე, რომლებიც არ გამოდიან ზღვის მხარეს. გარდა ამისა, საცხოვრებელი ბინა 132 კვ.მ. ოდენობით საერთოდ არ არსებობს, რის გამოც ამ პარამეტრის გამოყენე-ბით თანხის გაანგარიშება და დაკისრება ენინააღმდეგება სა-მოქალაქო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ-რიგად, სააპელაციო პალატამ დაანგარიშებისას არა მარტო გა-მოიყენა არ არსებული ბინის ფართი (132 კვ.მ.), არამედ გასცდა სასამარჩელო მოთხოვნის ზღვრული თანხის ფარგლებს და მოპა-სუხს დამატებით 80 თეთრის გადახდა დააკისრა (ბათუმის სა-ქალაქო სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გათვალის-წინებით).

სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა მინ-დობილობის და დავალების ხელშეკრულების არსი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დავალების ხელშეკრულება დამო-კიდებულია მინდობილობის მოქმედების ვადაზე, რაც არასწო-რია შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უფლებამოსილების, რწმუნებულების მიცემა ხდება რწმუნებულის ან მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარ-მომადგენლობა. უფლებამოსილებით გამოხატულია უფლება-მოსილების მიმცემის ნება, რომ ერთ პირს მეორის წინაშე აძ-ლევს წარმომადგენლობით ძალაუფლებას. უფლებამოსილებით მყარდება უფლებამოსილების ურთიერთობა, ეს არის დოკუმენ-ტი, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებას წარ-მოადგინოს მარწმუნებელი. მინდობილობა მიმართულია სამარ-

თლებრივი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილ-სა და მესამე პირს შორის, მინდობილობის ადრესატია მესამე პირი და ემსახურება მის წინაშე უფლებამოსილების დადასტუ-რებას. ამაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლი, რომლის თანახმად, უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმდა უნდა ეცნობოს მესამე პირებს, ხოლო, დავალების ხელშეკრულებით, რჩმუნებული ვალდებულია შეასრულოს მის-თვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედე-ბა მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრუ-ლების შენკვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთან-ხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. ამავე კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმომადგენლობი-თი უფლებამოსილება ქარწყლდება შესრულებით. ზემოაღნიშ-ნულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმდა არ ნიშნავს, რომ წარმომადგენელი მინდობილობის სანოტარო წე-სით გაუქმებამდე აგრძელებს მარწმუნებლის ნების შესრულე-ბას (დავალების შესრულებას), ვინაიდან მარწმუნებლის ნების შესრულებით (იურიდიული მოქმედების განხორციელებით) და-ვალება შესრულებულად ითვლება, თუნდაც მინდობილობაში მითითებული იყოს უფრო დიდი ვადა ან საერთოდ გაცემული იქნას განუსაზღვრელი ვადით.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არას-ნორად განსაზღვრა მ. ზ-ის „მოთხოვნის“ წარმოშობის დრო. მო-სარჩელე თავად უთითებს, თუ როდიდან წარმოეშვა მას ე.წ. მოთხოვნის უფლება. კერძოდ სარჩელის მე-7 ფაქტობრივ გა-რემობაში მითითებულია: „იმის გამო, რომ ვ. მ-ის მიერ მ. ზ-ისათვის გასამრჯელოს სახით შეპირებული უძრავი ქონებები საკუთრების უფლებით აღირიცხა შპს „E. G“-ის სახელზე, მ. ზ-ეს მოესპო შესაძლებლობა მის მიერ განეული მომსახურების სანაცვლოდ გასამრჯელოს სახით მიეღო შპს „E. G“-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონებები“. ამ შემთხვევაში მხარე თვითონვე უთითებს, რომ „მოთხოვნის უფლება“ წარმოეშვა, როდესაც შპს „E. G“-ის (იმ დროს შპს „K. I.“) სახელზე აღირიცხა ქონება ანუ 2009 წლის 25 იანვარს.

ვინაიდან მ. ზ-ემ, როგორც ვ. მ-ის წარმომადგენელმა, 2009 წლის 22 იანვარს შპს „K. I.“-თან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკ-რულება, მისათვის სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახ-მად, ხანდაზმულობის ვადის დინება დაიწყება არა რნმუნებუ-

ლების/მინდობილობის გაუქმების დღიდან, როგორც ეს მითი-თებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, არა-მედ მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმო-შობის მომენტად კი, ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხოლო მოსარჩე-ლის მიერ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე მისი „უფლებები“ დაირღვა 2009 წლის 22 იანვარს, საიდანაც უნდა აითვალოს ხანდაზმულობის ვადის დინება და არა მინდობილო-ბების სანოტარო წესით გაუქმების დღიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 ივლი-სის განჩინებით ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლი-სის განჩინებით ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის საპელა-ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაზე დასაშვებად იქნას ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმე-ბის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გა-დაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოება-თა გამო:

განსახილველი დავის ფარგლებში პასუხი უნდა გაეცეს შემ-დეგ კითხვებს:

1. გათვალისწინებული იყო თუ არა ზემოთ მითითებული და-ვალების ხელშეკრულებებით გასამრჯელო ვალდებულების შესრულებისათვის;

2. წარმოადგენდა თუ არა გასამრჯელო ოთხი ნებისმიერი ბი-ნის საფასურს;

3. რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის თანხების მითვისება დავალების ხელშეკრულების შესრულებისას ნიშნავს თუ არა ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შეს-რულებას;

4. შეიძლება თუ არა რწმუნებულის მიერ ვალდებულების არა-კეთისინდისიერად და არაჯეროვნად შესრულების მიუხედავად რწმუნებულმა მოთხოვნის განვითარებისათვის გასამ-

რჯელო.

პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სა-სამართლო განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულებებში გა-სამრჯელოზე მხარეების შეთანხმების არარსებობის მიუხედა-ვად, მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობა მხოლოდ გასამ-რჯელოთი არის მოსალოდნელი. შესაბამისად, საკასაციო სასა-მართლო ვერ გაიზირებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობა-ზე, რომ წერილობითი ფორმით დავალების ხელშეკრულების და-დებისას გასამრჯელოს გაუთვალისწინებლობა ნიშნავს მხარე-თა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არსებობას. კანონი, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ადგენს ასეთ ვითარებაში გა-სამრჯელოს განსაზღვრის კრიტერიუმებს.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი იყო გრძელვადიანი ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებდა მო-გების მიღების მიზნით მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას, რაც მაღალი ალბათობით შესაძლებე-ლია განხორციელდეს გასამრჯელოს სანაცვლოდ. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მი-სედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. ამ თავისებურებაზე მიუთითებს საქართველოს სამიერადაქ კოდექსის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილი. თუმცა უნ-და აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინე-ბული გარემოების გაქარნებულება შესაძლებელია თვით დაინტე-რესებული პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადაც ურთიერთობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა. აღნიშნული კასატორმა ვერ დაადასტურა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). იგი უთი-თებს მხოლოდ დავალების ხელშეკრულებებში გასამრჯელოზე შეთანხმების არარსებობაზე, რაც არ არის საქართვის 710-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილით მოცემული პრეზუმაციის გასაქარნებლებ-ლად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებო-ბისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო. ამდენად, კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ გასამრჯელოს თაობაზე ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმის არარსებობის მიუხედავად მისი ოდენობა დადგინდეს ნიხრების ან ამ ურთი-ერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების მიხედვით.

აღნიშნულთან ერთად, ყურადსალებია, რომ გასამრჯელოს ოდენობის დადგენისას სასამართლო დაეყრდნო არა ნიხრის ან ჩვეულებრივი გასამრჯელოს პრინციპს, არამედ ბათუმის საქა-ლაქ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის

2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დადგენილ ფაქტს, რომლითაც ვ. მ-ი აღიარებს, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულების შედეგად ის დაპირდა ზ-ეს მშენებარე საცხოვრებელ სახლში ნებისმიერი 4 ბინის გადაცემას.

ამ დადგენილი ფაქტის წინააღმდეგ კასატორს არა აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველი და მეორე კითხვების პასუხად შესაძლებელია გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულებები ითვალისწინებდა გასამრჯელოს ოთხი ნებისმიერი ბინის გადაცემით სახით.

მესამე საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლომ არ მისცა შეფასება საქმეში არსებულ მტკიცებულებას. კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულების შესრულებისას მარწმუნებლის მიერ დავალებული თანხების მითვისება წარმოადგენს ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულება (რისთვისაც გათვალისწინებულია გასამრჯელო) ნიშნავს მის შესრულებას ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ წესის საწინააღმდეგო ქმედება არის ვალდებულების დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ კასატორი საქმის განხილვისას უთითებდა მოსარჩელის მიერ თანხების მითვისების განაჩენით დადგენილ ფაქტებზე, სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებას (ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენს) და არ გამოიკვლია განაჩენით დადგენილი ფაქტები, კერძოდ მიუთითებენ თუ არა ეს ფაქტები მოსარჩელის მიერ დავალების ხელშეკრულებების არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად შესრულებაზე.

აღნიშნული ფაქტების კვლევის შედეგად წარმოიშობა საქმისათვის მნიშვნელოვანი კითხვა: შეიძლება თუ არა რწმუნებულის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად და არა-

ჯეროვნად შესრულების მიუხედავად რწმუნებულმა მოითხოვოს განეული საქმიანობისათვის გასამრჯელო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არა აქვს გამოკვლეული აღნიშნული საკითხი. სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტების კვლევით, რომელიც მიუთითებენ გასამრჯელოს თაობაზე შეთანხმების არსებობა-არარსებობასა და გასამრჯელოს მოცულობაზე.

სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს და არ მსჯელობს მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებულ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რომელთაც მნიშვნელობა გააჩინიათ დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი, მტკიცების საგანში არ შეიყვანა მოპასუხის (კასატორის) მიერ მითითებული ფაქტები და არ შეაფასა ამ ფაქტების დამდგენი მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კეთილსინდისერების პრინციპი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) არ შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულების შესრულებით. ყველა კონტრეტული ვალდებულების შესრულებისას კეთილსინდისიერება (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მოიცავს, როგორც ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე კონტრაპენტის ინტერესების გათვალისწინებას და დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისერებასა და ჯეროვან შესრულებას შორის ზღვარის გავლება რთულია, მაინც შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში მათი დეფერენცირება. ჯეროვნად შესრულების პრინციპი ეხება ვალდებულების შესრულების უფრო კონკრეტულ ასპექტებს, მაგალითად, შეთანხმებულ ხარისხს, ნივთის შესაბამის თვისებებს, რაოდენობას და ა.შ., ანუ ჯეროვან შესრულებაში იგულისხმება შესრულება, რომელიც აკმაყოფილებს შესრულების პირობებს. კეთილსინდისიერების პრინციპი კი უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ, ის ზემოთ მითითებული ასპექტთან ერთად, ასევე უკავშირდება მორალურ, ზნეობრივ მხარესაც, სამართლიანობას, ერთგულებას და ა. შ. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერება, უპირველეს ყოვლისა, წესიერებას ნიშნავს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა იწვევს დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არაკეთილსინდისიერ მხარესაც შესაძლებელია გააჩინდეს მოთხოვნები კონტრაპენტის მიმართ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ამ მოთხოვნების ფარგლების დადგე-

ნას. კერძოდ, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე დავალებული მოქმედებით მარწმუნებელი იღებს სარგებელს, შესაბამისად მას გააჩნია შესრულების მიმართ იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს აღნიშნული ინტერესი. შესაძლებელია მოსარჩელეს (რწმუნებულს) გააჩნდეს მხოლოდ იმ ხარჯის მოთხოვნის უფლება, რომელიც მან გასწია დავალების შესასრულებლად და, რომლის მიმართ მარწმუნებელს გააჩნია იურიდიული და ეკონომიკური ინტერესი იმ თანხების გამოკლებით, რაც მიუთითებს მის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულებაზე. მოცემულ საქმეში შესრულების ხარისხზე მხარეები არ დავობენ.

კასატორი მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს 2009 წლის 25 იანვრიდან და იშველიებს მ. ზ-ის განმარტებას იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა „E. D“-ის სახელზე უძრავი ქონების აღრიცხვის მომენტიდან. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიჩნევს, რომ ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მართებულია. მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა მაშინ, როდესაც ვ. მ-ი გავიდა ხელშეკრულებიდან, 2011 წლის მაისში. ხელშეკრულებიდან გასვლა უკვე მიუთითებს იმაზე, რომ გამსვლელი მხარე არ აპირებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად უნდა მიჩნეულ იქნას ხელშეკრულების მეორე მხარის მოთხოვნის წარმოშობის მომენტად.

კასატორის ერთ-ერთი მოთხოვნაა საკასაციო სასამართლომ საქმე არ დააბრუნოს სააპელაციო ინსტანციაში და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს საქმის ყველა ფატობრივი გარემოება სრულყოფილად და ამომწურავად არ დაუდგენია და სულყოფილად არც მათი დამადასტურებული მტკიცებულებები გამოიუკვლევია, საკასაციო პალატა მოკლებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობას სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმის გარემოებებს და თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილეველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენი-

ლი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულია სააპელაციო სასამართლოსთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი, შეაფასოს მტკიცებულება (განაჩენი) სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და დაადგინოს მოსარჩევის მოთხოვნის მოცულობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განხილვა

№ას-800-765-2014

21 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქ-
მის ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ვ. გ-ემ მოითხოვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-ის“ კრების ოქმების ბათილად ცნობა (2010 წლის 20 ივლისის №... კრების ოქმი, რომლის საფუძველზე გაუქმდა მოსარჩელის საკუთრების უფლება 21,19 კვ.მ ნახევარსარდაფზე; 2010 წლის 10 ნოემბრის №... და №... კრების ოქმები, რომლების საფუძველზეც ი. გ-ეს საკუთრებაში გადაეცა 21,19 კვ.მ ნახევარსარდაფი და 5,54 კვ.მ სარდაფი), ასევე 21,19 კვ.მ ნახევარსარდაფისა და 5,54 კვ.მ სარდაფის მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემა.

2. მოპასუხების პოზიცია:

2.1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-მა“ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ კრებები ჩატარდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, მოსარჩელისათვის ცნობილი იყო კრებების შესახებ და ესრულობა.

2.2 ი. გ-ემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა, როგორც კრების კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩატარებაზე, ისე იმ გარემოებაზე, რომ ნახევარსარდაფს და სარდაფს ფლობდა და თავად გაარემონტა აღნიშნული ფართები.

3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის

სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

4.1. გასაჩივრებული განჩინების სარქმოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მაისის განჩინებით ვ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

4.2. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

4.2.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 18.06.2012წ. დაუსწრებული გადაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი მოპასუხე ი. გ-ის მიმართ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 10 ივნისის ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ვ. გ-ემ ი. გ-ეს გადასცა ქ.თბილისში, ვ-ას გამზირის მე-2 კვარტალში, ...-ე კორპუსში მდებარე №... ბინა;

4.2.2. საქალაქო სასამართლოს 18.06.2012წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, ზემოაღნიშნული უძრავი ქონება 09.08.2012წ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კვლავ აღირიცხა ვ. გ-ის საკუთრებად;

4.2.3. საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ვ. გ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო 51,10 კვ.მ ფართის ნახევარსარდაფი და საკუთრების წარმოშობის საფუძვლად მითითებული იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-ის“ 02.04.2009წ. კრების ოქმი;

4.2.4. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-ის“ 02.07.2010წ. №... კრებაზე განხილულ იქნა ნახევარსარდაფის გადაფარვის საკითხი, რის შემდგომაც შეთანხმდნენ, რომ ვ. გ-ეს არ ექნებოდა პრეტენზია 10 კვ.მ ნახევარსარდაფზე და თანახმა იყო ნახევარსარდაფი გადასცემოდა უანა ძიგუას, ბინათმესაკუთრების არ ჰქონდათ რაიმე პრეტენზია ვ. გ-ის მიმართ 35 კვ.მ ნახევარსარდაფზე;

4.2.5. 20.07.2010წ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ №... კრებაზე განხილა ვ.გ-ისათვის შეცდომით გადაცემული სხვისი ფართის ამხანაგობისათვის დაბრუნების საკითხი და ამხანაგობის წევრთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება 02.04.2009წ. კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე;

4.2.6. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-ის“ №... კრების

ოქმის საფუძველზე სარდაფის რეგისტრაცია გაუქმდა;

4.2.7. მხარეთა განმარტებით, 02.04.2009წ. კრების ოქმის საფუძველზე ვ. გ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ნახევარსარდაფის ფართი რეალურად აღემატებოდა იმ ფართს, რომლის მიმართაც ამხანაგობის წევრებს პრეტენზია არ ჰქონდათ და აზომვითი ნახაზი რეალურად მოიცავდა ასევე ამხანაგობის სხვა წევრთათვის გადასაცემ ფართებს. აღნიშნულის გამო, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-ის“ 20.07.2010წ. №... კრების ოქმით, ამხანაგობის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება 51,10 კვ.მ სარდაფზე ვ. გ-ის საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ. მხარეთა შეთანხმებას ასევე ადასტურებდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 24 თებერვლის ოქმში გადმოცემული ვ. გ-ის განმარტება და მოთხოვნა, საკუთრების უფლების გაუქმების გამო, პროექტის კორექტირების შესახებ.

4.2.8. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-ის“ 2011 წლის 10 ნოემბრის №... კრების ოქმით ამხანაგობის წევრ ი. გ-ეს საკუთრებაში გადაეცა 21,19 კვ.მ სარდაფი, ხოლო ამავე თარიღის №56 კრების ოქმის საფუძველზე – 5,54 კვ.მ ნახევარსარდაფი;

4.2.9. ი. გ-ე ფლობდა სარდაფსა და ნახევარსარდაფს, მათში ჩატარებული ჰქონდა სარემონტო სამუშაოები;

4.2.10. საქალაქო სასამართლოში მოწმედ დაკითხული ქ. ძ-ს ჩვენებით, იგი ესწრებოდა 2010 წლის 20 ივლისის №... კრებას და 2011 წლის 10 ნოემბრის №55 და №56 კრებებს, კრებები ჩატარდა ეზოში, რომელსაც ესწრებოდნენ ასევე ვ. გ-ე და მისი ძმა, მოსარჩელის ნარმომადგენელი – კ. გ-ე. მოპასუხე ი. გ-ე მონაწილეობას იღებდა მშენებლობებში, რომელსაც ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით გადაეცა საკუთრებაში სარდაფი და ნახევარსარდაფი. მოწმე ა. წერეთლის ჩვენებით, იგი ასევე ესწრებოდა სადაც კრებებს, რომელშიც ვ. გ-ე და მისი ძმა – კ. გ-ე მონაწილეობდნენ, 2010 წლის 20 ივლისს, როდესაც სარდაფზე საკუთრების უფლება გაუქმდა, აზომილ იქნა სარდაფები და სარდაფის გასაღები თავად ვ. გ-ემ და კ. გ-ემ ჩაიტანეს, მათი თანდასწრებით განხორციელდა ყოველივე.

4.2.11. პალატამ იხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით, მე-19 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით და აღნიშნა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვ-ა ...-ის“ 20.07.2010წ. კრებას, ვ. გ-ე ესწრებოდა, მან თავად ჩაიტანა სარდაფის გასაღები და აზომეს სარდაფი,

დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა გადაფარვას, აღნიშნული გარემოება სასამართლო სხდომაზე დაადასტურა თავად მოსარჩელის წარმომადგენელმაც. იმ გარემოებას, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების და საკუთრების უფლების გაუქმების თაობაზე, ასევე ადასტურებდა სსიპ თბილისის არქიტექტურისა სამსახურის 2012 წლის 24 თებერვლის ოქმში გადმოცემული ვ. გ-ის განმარტება და მოთხოვნა, საკუთრების უფლების გაუქმების გამო, პროექტის კორექტირების შესახებ.

4.2.12. რაც შეეხებოდა სადაცოდ გამხდარ 10.11.2011წ. კრებას, ვ. გ-ე ამ დროისათვის არ წარმოადგენდა ამხანაგობის წევრს, რადგანაც სადაცო ბინის მესაკუთრედ მოსარჩელე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იქნა 09.08.2012წ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.06.2012წ. ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, რის გამოც ამხანაგობა არ იყო ვალდებული, ეცნობებინა ვ. გ-ისათვის 2011 წლის 10 ნოემბრის კრების მოწვევის შესახებ. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეები მიუთითებენ, ვ. გ-ე და მისი ძმა (წარმომადგენლი) კ. გ-ე ესწრებოდნენ ამხანაგობის ყველა კრებას.

4.2.13. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ 2011 წლის 10 ნოემბერს, მოპასუხე ი. გ-ე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, მეორე კვარტალი, კორპუსი ... მდებარე ბინა №...-ის, მის მფლობელობაში იყო სარდაფი და ნახევარსარდაფი და ამხანაგობა უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება სარდაფისა და ნახევარსარდაფის ი. გ-ისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

სასამართლოს განმარტებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ. რადგანაც სადაცო კრებები მოწვეული იყო, ჩატარდა და გადაწყვეტილებები მიღებული იქნა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, არ არსებობდა ამ კრების ოქმების ბათილად ცნობის სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 54-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები.

5. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების შესახებ.

ტილების მიღება.

5.1. საკასაციო საჩივრის საფუძლები:

5.1.1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით, ი. გ-ისათვის კანონის დარღვევით მიკუთვნებული ნახევარსარდაფი და სარდაფი უნდა დაუბრუნდეს კასატორს ვინაიდან ბინა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მიეკუთვნა მას და არის ამხანაგობის წევრი.

5.1.2. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 20.07.2010 წლის №..., 10.11.2011 წლის №... და 10.11.2011 წლის №... კრებების ჩატარების თაობაზე კასატორს მოწვევის შესახებ წერილობითი შეტყობინება არ მიუღია, არ დასწრებია კრებებს და არ იცოდა არსებული კრების ოქმების შესახებ. ამასთან, ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამხანაგობის წევრებს: უ. ძ-სა და ა. წ-ს უფლება არ ჰქონდათ, მონაბილობა მიეღოთ კენჭისყრაში, რადგან დაინტერესებული პირები იყვნენ. გარდა აღნიშნულისა, ე. მ-ის მიერ შედგენილი, მის მიერვე ხელმონერილი №..., №..., №... კრების ოქმები და კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, არ ითვალისწინებს რეალურ ფაქტებს, დასაბუთებას, მტკიცებულებებს და სხვა. 2010 წლის 20 ივლისის კრების ოქმში არ არის მოცემული, ვისი და რა ოდენობის ფართია ვ. გ-ისათვის გადაცემული ამხანაგობისათვის დასაბრუნებლად. არ არის მოცემული 2009 წლის 2 აპრილის კრების ოქმის საფუძველზე, ვ.გ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრიტრებული ნახევარსარდაფის ფართის რა ნაწილი წარმოადგენს იმ ფართს, რომლის მიმართ ამხანაგობის წევრებს პრეტეზია არ ჰქონდათ და აზომვითი ნახაზი რეალურად მოიცავდა ასევე ამხანაგობის სხვა წევრთათვის გადასაცემ ფართს. 2009 წლის 2 აპრილს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით კრების ოქმების ბათოლად ცნობის შესახებ და ბმა „ვ-ა ...-ის“ №... კრების ოქმის საფუძველზე სარდაფის რეგისტრაციის გაუქმება ფაქტების გათვალისწინების გარეშე განხორციელდა, იგი არ არის დასაბუთებული, რის გამოც დარღვეულია კანონის მოთხოვნები.

5.1.3. ი. გ-ე „ბინამესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების დროისათვის არ ფლობდა აზომვით ნახაზებზე მითითებულ სათავსის ფართებს. ნახაზების დამკვეთი ვ. გ-ეა და არა ი. გ-ე, საგულისხმოა ისიც, რომ ე. მ-ის შესაგებლის თანახმად, ი. მუდმივად ცხოვრობს უკრაინაში და

არის უკრაინის მოქალაქე.

5.1.4. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების დროისათვის კასატორის მიერ ნახევარსარდაფის ფლობის ფაქტს ადასტურებს ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 2 თებერვლის №... ბრძანება, რომლის საფუძველზეც მას და არა ი. გ-ეს დაერთო ნება, დაესრულებინა მშენებლობა. ქ.თბილისის მერიის 2010 წლის 7 ივლისის №... განკარგულებით ასევე დასტურდება, რომ ნახევარსარდაფს ფლობდა ვ.გ-ე.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 24 თებერვლის №... ოქმით ე. მ-ე ადასტურებს, რომ ვ. გ-ის ფართი რეალურად შეადგენდა დაახლოებით 21 კვ.მ-ს (ნახევარსარდაფი) და 5 კვ.მ-ს (სარდაფი), რაც იმას ნიშნავს, რომ 5,54 კვ.მ სარდაფს ბინის მიღებისთანავე ფლობდა იგი და არა ი. გ-ე. იგივე დასტურდება ამხანაგობის სახლის სარდაფების გეგმის ნახაზების მიხედვით.

5.1.5. კასატორის განმარტებით, მას ნახევარსარდაფი და სარდაფი ი. გ-ისათვის არ უჩიქებია, აჩუქა მხოლოდ ბინა, რომელიც სასამართლომ დაუბრუნა. 2011 წლის 10 ნოემბრის №... და №... კრების ოქმების თანახმად, ი. გ-ეს ნახევარსარდაფი და სარდაფი იმიტომ მიეკუთვნა, რომ ის გახდა ჩუქების ხელშეკრულების შემდეგ ბინის მფლობელი. დღეისათვის ბინის მესაკუთრე და ამხანაგობის წევრი კვლავ ვ. გ-ეა, რის გამოც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, უნდა დაუბრუნდეს მისივე კუთვნილი ნახევარსარდაფი და სარდაფი.

5.1.6. სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოწმეების: უ. ძ-ას და ა. წ-ის ჩვენება და არასწორად დაადგინა, რომ ვ. გ-ე და მისი ძმა – კ. გ-ე 2010 წლის 20 ივლისის №... კრების ოქმს და 2011 წლის 10 ნოემბრის №... და №... კრებებს ესწრებოდნენ, მითითებული მოწმეები საქმის შედეგით დაინტერესებული პირები არიან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:

1.1. ფაქტობრივი დასაბუთება:

1.1.1. განსახილველი დავის საგანია ბინათმესაკუთრეთა ამ-სანაგობის „ვ-ას ...“ (შემდეგში – ამხანაგობა) კრების გადაწყვე-ტილებების (2010 წლის 20 ივლისის №... ოქმი; 2011 წლის 10 ნო-ემბრის №... და №... ოქმები) ბათილად ცნობა და მოსარჩელის საკუთრების უფლების აღდგენა 5.54 კვ.მ სარდაფისა და 21.19 კვ.მ ნახევარსარდაფზე. მოსარჩელის განმარტებით, ამხანაგო-ბის სადავო კრების ოქმებით ისე გაუქმდა მოსარჩელის საკუთ-რების უფლება და ისე გადაეცა მოპასუხე ი. გ-ეს საკუთრებაში სარდაფი და ნახევარსარდაფი, რომ მოსარჩელე არ მიუწვევი-ათ კრებაზე, უფრო მეტიც, კრება საერთოდ არ ჩატარებულა. მოსარჩელე სარჩელის ფაქტობრივ დასაბუთებაში ასევე აღნიშ-ნავს, რომ ი. გ-ის მფლობელობაში „ბინათმესაკუთრეთა ამხანა-გობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის დროი-სათვის არ ყოფილა სადავო ფართები, არამედ ეს უკანასკნელი ვ. გ-ის მფლობელობაშია 1973 წლიდან. 2011 წლის 10 ივნისის ჩუქების ხელშეკრულებით, რომელიც კანონიერ ძალაში შესუ-ლი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი, მოსარჩელემ ი. გ-ეს გადასცა საკუთრების უფლება მხოლოდ ბინაზე, მდებარე ქ.თბილისი, ვ-ას გამზირი, მე-2 კვარტალი, კორ-პუსი ..., ბ.... (საცხოვრებელი ფართი 60.40 კვ.მ).

1.1.2. გასაჩინორებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტი-ლებით ვ. გ-ის სარჩელი მოპასუხე ი. გ-ის მიმართ დაკმაყოფილ-და, ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 10 ივნისის ჩუქების ხელ-შეკრულება, რომლითაც ვ. გ-ემ ი. გ-ეს გადასცა საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ.თბილისში, ვ-ას გამზირი, მე-2 კვარტალი, კორ-პუსი ..., ბ....

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ზემოაღ-ნიშნული უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენ-ტოში კვლავ აღირიცხა ვ. გ-ის საკუთრებად.

ვ. გ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო 51,10 კვ.მ. ფართის ნახევარსარდაფი (საკადასტრო კოდით:..., საფუძ-ველი – ამხანაგობის 2009 წლის 2 აპრილის კრების ოქმი).

ამხანაგობის 2010 წლის 20 ივლისის კრებაზე, ამხანაგობის წევრთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნახე-ვარსარდაფზე ვ. გ-ის საკუთრების უფლების გაუქმების შესა-ხებ. მითითებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გა-რემოქა, რომ ვ. გ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებუ-ლი ნახევარსარდაფის ფართი რეალურად აღემატებოდა იმ ფართს, რომლის მიმართაც ამხანაგობის წევრებს პრეტენზია

არ პქონდათ და აზომვითი ნახაზი რეალურად მოიცავდა ასევე ამხანაგობის სხვა წევრთათვის გადასაცემ ფართებს.

ამხანაგობის 2011 წლის 10 ნოემბრის №... კრების ოქმით ი. გ-ეს საკუთრებაში გადაეცა 21,19 კვ.მ. ნახევარსარდაფი, ხოლო ამავე თარიღის №... კრების ოქმით – 5,54 კვ.მ. სარდაფი.

სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგინა, რომ ამხანაგობის კრებას სხვა წევრებთან ერთად ესწრებოდა ვ. გ-ეც.

1.2. სამართლებრივი დასაბუთება:

1.2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.2.2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ამხანაგობის კრებებზე ვ.გ-ის დასწრების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ ნარმოუდგენია. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება ამხანაგობის 2010 წლის 20 ივლისის №... კრების ოქმის კანონიერებასთან დაკავშირებით, ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტს, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არასებობის შესახებ. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, თითქოს საქმის მასალებით არ დგინდება ვ.გ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ნახევარსარდაფის ფართი რა რაოდენობით ალემატებოდა სხვა წევრთათვის გადასაცემ ფართს. საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ 2010 წლის 2 ივლისის ამხანაგობის კრების №... ოქმზე და ამავე თარიღით შესრულებულ შეთანხმებაზე, რომელსაც ამხანაგობის თავმჯდომარესთან და ამხანაგობის წევრ ჟ.დ-სთან

ერთად ხელს აწერს ვ.გ-ე და რომელთა შინაარსიდანაც ირკვევა, რომ ვ.გ-ის საკუთრებაში არსებული სარდაფით მოხდა სხვა მესაკუთრების ფართების გადაფარვა, შესაბამისად, ვ. გ-ეს არ აქვს პრეტენზია მის საკუთრებაში დარჩეს 35 კვ.მ ფართი, ხოლო უ. ძ-ას საკუთრებაში – 10 კვ.მ ფართი, ამასთან, ამხანაგობა გამოხატავს მზაობას ვ. გ-ეს მისცეს თანხმობა კორექტირებული ნახევარსარდაფის ლეგალიზებაზე.

1.2.3. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 10 ნოემბრის კრების ოქმების კანონიერების შემოწმებისას ასევე მართებულად იხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი არის ბინის მესაკუთრე მრავალინიან სახლში, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ ბინის გასხვისების ან სხვა მიზეზით საკუთრების უფლების შეწყვეტის მომენტიდან შესაბამისი პირის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობა წყდება. ამ პირის სამართალმემკვიდრე ან ქონების შემძენი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი ხდება ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან. ამდენად, ვინაიდან 2011 წლის 10 ნოემბრისათვის ვ. გ-ეს გასხვისებული ჰქონდა ბინა, ამხანაგობა არ იყო ვალდებული შეეტყობინებინა ვ.გ-ისათვის კრების მოწვევის შესახებ.

1.2.4. მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის მხედველობაშია მისაღები მოსარჩელის განმარტების ის ნაწილი, სადაც ეს უკანასკნელი როგორც სარჩელში, ასევე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიზნებისათვის, ი. გ-ე არ ფლობდა სადაც ფართებს. მითითებული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანს, კერძოდ, პირველი პუნქტის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შეს-

ვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუები.

1.2.5. მოსარჩელის პოზიციაზე, რომ იგი 1973 წლიდან ფლობდა სადაც ფართებს, მოპასუხეებს შედაცება არ წარმოუდგენიათ, უფრო მეტიც ამგვარი ფაქტი არც კი გამხდარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასების საგანი. სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 10 ნოემბრის კრების ოქმებზე მსჯელობისას მართალია დაადგინა, რომ ი. გ-ე ფლობდა სარდაფს და ნახევარსარდაფს, ასევე მათში ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, თუმცა, სასამართლოს დასკვნა არ იძლევა ამომწურავ პასუხს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის დებულებებთან მიმართებაში, კერძოდ, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაშია 2007 წლის 1 აგვისტოდან, ხოლო, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, ი. გ-ემ საკუთრების უფლება საცხოვრებელ ბინაზე მოიპოვა 2011 წლის 10 ივნისის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დადგენასა და შეფასებას საჭიროებდა ის ფაქტი, ამხანაგობის შეირ ი. გ-ისათვის სადაც ფართების გადაცემა რა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე განხორციელდა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუკეთებია. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა ასევე ის საკითხი, ვ. გ-ის, როგორც საცხოვრებელი ბინის მესაკუთრის ი. გ-ის მიერ ჩანაცვლებით, ხომ არ წარმოეშვა ახალ მესაკუთრეს ის უფლებები (სარდაფზე მფლობელობის დადგენის მოთხოვნის უფლება), რაც ნინამორბედ ვ. გ-ეს ჰქონდა. თუკი სააპელაციო სასამართლო ამ მსჯელობას გაყვებოდა, მასვე უნდა შეეფასებინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის გამო, რა უფლებებში მოხდა ვ. გ-ის აღდგენა, მხოლოდ საცხოვრებელი ბინის, თუ ბინასთან ერთად სარდაფისა და ნახევარსარდაფის საკუთრების უფლებაში. ამდენად, კასატორმა ამ თვალსაზრისით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაცება).

1.2.6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილეველად აპრინტებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა)საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედე-

გად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ)არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და ნინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანხმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მთკიცებულებათა შეფასება

განჩინება

№ას-1058-1013-2014

28 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ქლიერიშვილი,
პ. ქათაძე

დავის საგანი: ამხანაგობის წევრთა კრების ოქმის ბათილად
ცნობა, უკანონო სათავსის მოშლა, საკუთრებით სარგებლობის
ხელშეშლის აღკვეთა

აღნერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „მ-ი 2005-ის“ დირექტორმა (შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვა ბმა „ფ.მ-ის ...-ის“ 2013 წლის 10 მაისის კრების ოქმის ბათილად ცნობა, კორპუსის მე-2 სართულზე უკანონდ აგებული 17 კვ.მ სათავსის დემონტაჟი და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე ი. დ-ის, ასევე ლ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხები) დავალდებულება, ხელი არ შეუშალონ მოსარჩელეს მისი საკუთრებით სარგებლობაში.

2. მოპასუხების პოზიცია:

მოპასუხებმა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ სათავსის მოწყობა არა უკანონიდ, არამედ ამხანაგობის კრების საფუძველზე განხორციელდა, ამასთანავე, ფართი, რომელშიც მოწყობილია სათავსი, წარმოადგენს ამხანაგობის საერთო საკუთრებას, ხოლო საჯარო რეეგსტრიდან გამოთხვილი აზომვითი ნახაზის თანახმად, რომელიც პროექტის საფუძველზეა შედგენილი და წარმოადგენს საკუთრების უფლების განუყოფელ ნაწილს, კორპუსის მეორე სართულზე მოსარჩელის ფართში შესასვლელი კარი არ არის გათვალისწინებული.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციონ ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელაციის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ივლისს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილდა იქნა ცნობილი ბმა „ფ. მ-ის ქ. №...-ის“ წევრთა 2013 წლის 10 მაისის კრების ოქმი, მოპასუხებს დაევალათ ქალაქ ბათუმში, ფ-ის ქუჩა №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე (ლ-ის ქუჩის მხრიდან), ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2013 წლის 10 მაისის კრების ოქმის საფუძველზე მოწყობილი სათავსის დემონტაჟი, ასევე, აეკრძალათ მოსარჩელისათვის ქალაქ ბათუმში, ფ-ის ქუჩა №...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში სადაცო ფართით სარგებლობაში ხელშემლა.

6. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და სისპ ალსრულების ეროვნული ბიუროს 03.07.2013წ. ფაქტების კონსტატაციის ოქმის თანახმად, ქალაქ ბათუმში, ფ-ის ქუჩის №...-ში არსებულ 14-სართულიან მრავალბინიან სახლში მოსარჩელეს ეკუთვნის 359.13 მ² ფართი, რომელიც განთავსებულია სახლის 1-ლდა და მე-2 სართულებზე; ამ ფართის ფასადი გადის როგორც ფ-ის ასევე – ლ-ის ქუჩაზე.

6.2. ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 7 თებერვლის №... წერილზე თანდართული სახლის მე-2 სართულის საბოლოო საპროექტო გეგმა-ნახაზის თანახმად, მოსარჩელის კუთვნილ ფართში, ლ-ის ქუჩის მხრიდან არსებული სადარბაზოდან, მე-2 სართულიდან შესვლისათვის გათვალისწინებული იყო კარის 4 ლიობი. ამ გეგმა-ნახაზის მიხედვით იქნა ექსპლუატაციაში მიღებული სახლი ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმვარების სამსახურის 2010 წლის 8 თებერვლის №... ბრძანებით.

6.3. საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, ფ-ის ქუჩის №...-ში არსებულ 14-სართულიან მრავალბინიან სახლში ლ. მ-ეს ეკუთვნის №... ბინა.

6.4. ბმა „ფ.მ-ის ...-ის“ 10.05.2013წ. კრების ოქმის თანახმად, სახლის მე-3 სადარბაზოს პირველ და მე-2 სართულებს შორის არსებულ თავისუფალ ფართზე ამხანაგობისათვის საჭირო ინ-

ვენტარისა და სხვა ნივთების შესანახად სათავსის მოწყობა ეთხოვა ლ. მ-ეს, რომელიც პარალელურად შეძლებდა სათავსის სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებას. აღნიშნულ მოძინადრეზე არჩევანი შეჩერდა იმის გამო, რომ მან უსასყიდლოდ დაამზადებინა და დაამონტაჟებინა ამხანაგობის ეზოში ბამბუკის „ფანჩატური“ სკამებით. კრებამ დაავალა ვ. ე-ს ამხანაგობის წევრთა 2/3-ის ხელმოწერების შეგროვება აღნიშნულ საკითხზე.

6.5. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 03.07.2013წ. ოქმით, ასევე, მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და სახლის მე-2 სართულის საბოლოო საპროექტო გეგმა-ნახაზით დგინდებოდა, რომ ბმა „ფ.მ-ის ...-ის“ 10.05.2013წ. კრების ოქმის საფუძველზე, ლ. მ-ემ სახლის მე-2 სართულზე მოაწყო დაახლოებით 17 მ² სათავსი (მე-2 სართულზე არსებულ დერეფანს, რომელიც სადარბაზოდან უკავშირდებოდა მოსარჩელის კუთვნილი ფართის კედლებს, სადაც საპროექტო გეგმა-ნახაზით გათვალისწინებული იყო კარის ლიობები და ლიფტის ლიობი, სადარბაზოს მხრიდან გაუეტა კარი), რითაც ფაქტობრივად გაუქმდა დერეფანი და მოსარჩელეს აღეკვეთა ამ დერეფნის გამოყენებით საკუთარი ფართის კედლებამდე ან ლიფტის ლიობამდე მიღწევის შესაძლებლობა.

6.6. კოლექტური ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მტკიცდებოდა, რომ სახლში არსებული ამხანაგობის წევრი 141 ფიზიკური და იურიდიული პირი იყო.

6.7. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, 10.05.2013წ. კრების ოქმი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ მრავალმხრივ გარიგებას და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნაზე, გარდა სპეციალური კანონის ნორმებისა, ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებიც. სადავო ოქმის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებით სარჩელს წარმოადგენდა და მხარის იურიდიული ინტერესი უნდა განსაზღვრულიყო სადავო სათავსის პირვანდელი დანიშნულების ცვლილების სამართლებრივი შედეგებით.

6.8. პალატამ იხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით და განმარტა, რომ დერეფანი, რომლის გამოყენებითაც ლ. მ-ემ სადავო სათავსის მოაწყო, ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონებას წარმოადგენდა. სადავო ქონების განვითარებისათვის, ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, საჭირო იყო ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება. განხორციელებული რეკონსტრუქციით

ფაქტობრივად გაუქმდა დერეფანი და მან შეიძინა სათავსის დანიშნულება, რომელშიც განთავსდებოდა როგორც ამხანაგობის საჭიროებისთვის აუცილებელია, ასევე – ღ. მ-ის კუთვნილი ინვენტარიც და აღეკვეთა შესაძლებლობა, ესარგებლა საერთო ქონებით, ასევე, მიეღნია ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის კედლებამდე ან ლიფტის ღიობამდე. სწორედ ამით არის დასაბუთებული მისი იურიდიული ინტერესი სადაც კრების ოქმის ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნისადმი.

6.9. სადაც 10.05.2013 წ. კრების ოქმი ასახული გადაწყვეტილება მიღებული უნდა ყოფილიყო ამხანაგობის წევრთა მიერ ერთხმად, რაც არ მომხდარა, მოსარჩელე არა თუ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას, არამედ საერთოდ არ იცოდა კრების ჩატარების ადგილისა და დროის თაობაზე. არ დგინდებოდა ისიც, თუ ვინ ესწრებოდა კრებას და რამდენმა წევრმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, რადგან თვით ოქმიდანვე ირკვეოდა, რომ ვ. კ-ს მხოლოდ კრების დამთავრების შემდეგ დაევალა ამხანაგობის წევრთა ნების გამოირკვევა და მათი ხელმოწერების შეგროვება თანხმობის ნიშანად. მითითებული გარემოება, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, სადაც იქმის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

6.10. სააპელაციო პალატამ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილით, 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა საკუთრების უფლების ხელყოფის/ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე დასაბუთებული იყო.

7. კასატიონების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებამ, მოითხოვეს მისი გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

7.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

7.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე არსებითი გარემოებები და არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა სახლის მე-2 სართულიდან საკუთარ ფართში შესასვლელი კარის 4 ღიობი, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად დაადგინა როგორც კრების სადაც იქმის ბათილად ცნობის, ისე სარჩელის დაკმაყოფილების იურიდიული ინტერესის არსებობა.

7.1.2. სააპელაციო სასამართლომ ქ.ბათუმის მერიის წერილზე დართული სახლის მე-2 სართულის გეგმა-ნახაზი არასწორად მიიჩნია „საპროექტო გეგმა-ნახაზად“, როდესაც იგი „სა-

ბოლოო აზომვითი ნახაზია“, რის თაობაზეც თავად მერიის წერილშია საუბარი. საბოლოო ნახაზი წარმოადგენს ექსპუატაციაში მიღების დროისათვის არსებულ ფაქტობრივ მდგომაროებას, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ მოსარჩელეს სახლის სადარბაზოს მე-2 სართულზე ჰქონდა 4 შესასვლელი კარის მოწყობის უფლება სამშენებლო პროექტის მიხედვით. სასამართლოს შეფასების გაზიარების შემთხვევაში, პასუხგაუცემელი რჩება საკითხი იმის შესახებ, სამშენებლო კომისანიამ თუ რატომ არ გაითვალისწინა მოსარჩელის ფართში შესასვლელი კარის 4 ღიობის არსებობა და ამ მოთხოვნით რატომ არ მიმართა მოსარჩელემ ბინის მშენებელს.

7.1.3. რეალურად სასამართლოს მიერ შეფასებული ნახაზი წარმოადგენს არა მოსარჩელის კუთვნილი ან მისი მომიჯნავე ფართის ნახაზს, არამედ ერთი სართულით ზემოთ მდებარე საცხოვრებელი ფართია, რომელიც, სამშენებლო პროექტის მიხედვით, მიჩნეულია სახლის მე-2 სართულად. აზომვით გეგმა-ნახაზზე ასახულია 4 საცხოვრებელი ბინა და, ბუნებრივია, ამ ბინებში შესასვლელად გათვალისწინებულია 4 ღიობის არსებობა. მოსარჩელის მომიჯნავედ არ არსებობს საცხოვრებელი ბინები, რაც ნათლად დასტურდება, როგორც მითითებული ნახაზით, ისე საჯარო რეესტრის ამონაწერით.

7.1.4. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს ეკუთვნის პირველ სართულზე მდებარე 226,15 კვ.მ ფართი და 132,98 კვ.მ ე.წ. „ანტრესოლი“, რომელიც არ წარმოადგენს სახლის მე-2 სართულს. ამ საკითხის სწორად დადგენის მიზნით პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩაატარა ადგილზე დათვალიერება და დადგინდა, რომ სადავო სათავსი არა მოსარჩელის კუთვნილ ან მის მომიჯნავე ფართშია განთავსებული, არამედ, ამხანაგობის საერთო საკუთრების ფართში, რომელიც, სახლის პროექტის მიხედვით, გამოყოფილია მზიდი კედებით.

7.1.5. მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სადავო სათავსი მოწყობილია იმ ადგილას, სადაც, პროექტის მიხედვით, არსებობს კარის ღიობი. ამასთანავე, მოპასუხე დაეთანხმა მოსარჩელის შუამდგომლობას სახლის საპროექტო ნახაზის შემდგენი სპეციალისტისა და ბათუმის არქიტექტორის დაკითხვის თაობაზე, თუმცა, პროექტის შემდგენი სპეციალისტი სასამართლოში არ გამოცხადდა, ხოლო არქიტექტორის დაკითხვაზე თავად მოსარჩელემ განაცხადა უარი. 2013 წლის 5 ივნისის წერილით მოსარჩელემ თავადვე აღიარა, რომ კარის ღიობის მოწყობა დაგეგმა თავად.

7.1.6. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეები წინააღმდეგი არიან, მოსარჩევები მოაწყოს კარის ლიობები სადაც ადგილას, ხოლო სათავსის არსებობა შედის მათ ინტერესებში, ამასთანავე, დგინდება, რომ მოსარჩევის იურიდიული ინტერესი წინამდებარე სარჩევის მიმართ არ არის ნამდვილი. ამასთანავე, უსაფუძვლოა სასამართლოს მტკიცება, რომ მოსარჩევეს შეეზღუდა შესაძლებლობა, მიაღწიოს ლიფტის ღიობამდე, რადგანაც ეს ღიობი მოწყობილია სათავსისაგან თავისუფალ ადგილას, დაახლოებით 5 მეტრის დაშორებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. მოცემული დავის საგანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა და ხელშეშლის აღკვეთა. სადაც აქმით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს დაევალა ამხანაგობის თანასაკუთრებაში არსებულ ფართში სათავსის მოწყობა და მიეცა ამ სათავსით სარგებლობის უფლება. მოსარჩევის მოთხოვნა კი, მიმართულია ამ კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობისაკენ იმ საფუძვლით, რომ კრების გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ამასთან, მას უსაფუძვლოდ ეზღუდება ინდივიდუალური საკუთრების საგანთან თავისუფლად მისვლის შესაძლებლობა, რადგანაც სახლის საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო სათავსით დაფარულ კედელზე კარის ღიობების მოწყობა.

1.2. განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩევის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს როგორც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარიგების ნამდვილობის განმსაზღვრელი ნორმები და აღიარების დამდვილების განმსაზღვრელი ნორმები.

ბითი სარჩელის კანონშესაბამისობის მარეგულირებელი საპროცესო-სამართლებრივი წესები, რომელთაგან პირველი წარმოადგენს სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ კანონს, რამდენადაც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფორმებსა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საკუთრების ფორმებს, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითად სამართლებრივ პირობებს. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ გარიგების ნამდვილობის მარეგულირებელ ნორმებს, ისინი სამოქალაქო სამართლის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მარეგულირებელი ზოგადი ნორმებია, რომელთა მოქმედება ვრცელდება ნებისმიერი გარიგების, მათ შორის ამხანაგობის წევრთა მრავალმხრივი ნების გამოხატვის კანონიერებაზე, თავის მხრივ, ცალმხრივი, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ნების გამოვლენით მიღწეული შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნისას, ბუნებრივია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი იურიდიული ინტერესის ნამდვილობას.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 წანილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშვნული წორმა იმპერატიულად აღეცნს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზის), შემთხვევაში, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

1.4. როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორები გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ძირითადად იმ საფუძვლით მოითხოვენ, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის მასალები და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მრავალბინიანი სახლის მე-2 სართულის გეგმაზე აღნიშვნული კარის 4 ლიობი მოსარჩელის კუთვნილ ფართში შესასვლელი ღიობებია, შესაბამისად,

სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა და არასწორად დაადგინა მოპასუხეების მხრიდან ხელშეშლის არსებობა.

1.5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მხარეები წარმოადგენენ ქ.პათუმში, ფ-ის ქ. №...-ში მდებარე მრავალბინან სახლში ინდიგიდუალური საკუთრების ობიექტის მესაკუთრეებსა და შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს;

1.6. როგორც აღნიშნა, საქმეში წარმოდგენილი სადავო კრების ოქმის თანახმად, ერთ-ერთ მობინადრეს (მოპასუხეს) ეთხოვა პირველ და მეორე სართულებს შორის არსებულ თავისუფალ ფართზე, ამხანაგობის საჭირო ინვენტარისა და სხვა ნივთების შესანახად სათავსის მოწყობა და ნება დაერთო გამოიყენოს ეს სათავსი სამეურნეო მიზნებისათვის. კრებამ დაავალა ვ.კ-ს, შეაგროვოს ამხანაგობის წევრთა 2/3-ის ხელმოწერები აღნიშნულ საკითხზე;

1.7. მრავალბინან სახლში ამხანაგობის წევრი ფიზიკური და იურიდიული პირების რაოდენობა 141-ია, რომელთა უმრავლესობის, მათ შორის მოსარჩელის მხრიდან კრების გადაწყვეტილების შემდგომი მონიტორინგის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი.

1.8. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, რადგანაც განხორციელებული რეკონსტრუქციით (კანონის 5.1 მუხლის თანახმად, საერთო ქონების განვითარებით) მნიშვნელოვნად შეიცვალა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება და გავლენა იქონია წევრთა მიერ ამ ქონების გამოყენებაზე. ამგარი განვითარებისათვის კი, საჭირო იყო ამხანაგობის წევრთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება, რაც მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, ხოლო, კასატორებს ამ გარემოებაზე პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

1.9. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით სარჩელის (როგორც აღიარებითი, ისე ვინდიკაციური მოთხოვნის ნაწილში) დაკმაყოფილებისათვის უტყუარად უნდა დადგინდეს მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი. სააპელაციო პალატამ განსაზღვრა სარჩელის იურიდიული ინტერესის შემოწმებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა წრე და დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის თანახმად, მოსარჩელეს სახლის მე-2 სართულიდან უფლება ჰქონდა მოენყო კარის 4 ღიობი, საერთო ქო-

ნების განხორციელებული განვითარებით კი, მას ხელი ეშლება საქუთრებით სარგებლობაში.

1.10. ამ ოვალსაზრისით, საკასაციო პალატა ყურადღებას გა-ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, კერ-ძოდ: საჯარო რეესტრის ამონაწერზე, რომლის თანახმადაც მო-სარჩელეს ქ.ბათუმში, ფ-ის №... -ში VII სექციაში ეკუთვნის 359,13 კვ.მ კომერციული ფართი (და არა სახლის პირველ და მე-2 სარ-თულებზე, როგორც ეს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია ასა-ხული); სადაც კრების ოქმის თანახმად, სათავსის მოწყობის ადგილად განისაზღვრა სახლის მე-3 სადარბაზოს პირველ და მე-2 სართულებს შორის არსებული თავისუფალი ფართი; ბათუ-მის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 20 დეკემბერს ჩა-ტარებული ადგილზე დათვალიერების ოქმის თანახმად, ადგილ-ზე დათვალიერება დაიწყო მოსარჩელის საქუთრებაში არსებუ-ლი ფართით, რომლის პირველ სართულსაც გააჩნია რამდენიმე შესასვლელი ღიობი, მაგრამ მოქმედი შესასვლელი არის მხო-ლოდ ფ-ის ქუჩიდან. რაც შეეხება მეორე სართულს, რეინა-ბე-ტონის კიბე ადის მეორე სართულზე, რომელსაც არ გააჩნია შე-სასვლელი არც ერთი მხრიდან, ღიობი გადის პირდაპირ ეზოში, მარჯვნივ არის ტორეცი, გვერდი, ბოლო ნიშნული მთლიანად სახლის (და არა სადარბაზო), აქვე არის ლიფტის შატა, რომ-ლის გასწვრივაც არის ყრუ კედელი და ამ კედლის შიგნით, დღე-ის მდგომაროებით, არის სადაც სათავსი; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 30.01.2014წ. განჩინების (რომლითაც გამოთხო-ვილ იქნა მტკიცებულებები) პასუხად ქ.ბათუმის მერიამ გან-მარტა, რომ 31.03.2008წ. №... ბრძანებით დამტკიცებული №... პროექტი არ ინახება მერიის არქივში, თუმცა განმარტა, რომ ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმვა-ბის სამსახურის წერილის თანახმად, ქ.ბათუმში, ფ-ის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციაში მიღებულ იქ-ნა ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმა-რების სამსახურის 08.02.2010წ. №... ბრძანებით და წერილს და-ურთო საცხოვრებელი სახლის პირველი და მე-2 სართულების საბოლოო აზომვითი ნახაზები. მითითებული ნახაზებით ირკვე-ვა, რომ პირველი სართული წარმოადგენს კომერციულ ფართს, გარე კონტურიდან – 737,00 კვ.მ, მათ შორის აივანი 0,00 კვ.მ, შემდგომ ამისა, წარმოდგენილია ანტრესოლის ნახაზი, რომლის გარე კონტური 448,30 კვ. მეტრია, მათ შორის აივანი – 8,20 კვ.მ. სწორედ ანტრესოლის შემდგომა წარმოდგენილი მე-2 სართუ-ლის გეგმა-ნახაზი, რომელზეც კონკრეტულ პირობით აღნიშ-ვნებთან ერთადაცაა მითითებული კარის ღიობები; გარდა აღ-

ნიშნულისა, საქმეში წარმოდგენილია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 03.07.2013ნ. ფაქტების კონსტანტაციის ოქმი, რომელშიც ასახულია სადავო ფართის როგორც გარე, ისე შიდა ვიზუალური მაჩვენებლები.

1.11. საკასაციო პალატის შეფასებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომლის თანახმადაც მრავალბინიანი სახლის მე-2 სართულის გეგმაზე აღნიშნული 4 ღიობი მოსარჩელის ინდივიდუალური საკუთრების საგანძი შესასვლელი კარის ღიობებია, არ არის დასაბუთებული, რადგანაც გადაწყვეტილებით სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით (ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად) არ გამოუკვლევია ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, ხოლო ის, თუ რას ემყარება პალატის დასკვნები მოსარჩელის მიერ როგორც ინდივიდუალური საკუთრებით (კარის ღიობების გამოჭრის შეუძლებლობა), ისე თანასაკუთრებით (ლიფტის შახტასთან მისასვლელი) სარგებლობის ხელშემლის თაობაზე, არ არის ასახული გადაწყვეტილებაში (სსსკ-ის 393.3 მუხლი).

1.12. ამდენად, მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ მართებულად განსაზღვრა მტკიცების საგანძი შემავალი, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე საკითხთა წრე, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების არასრული შეფასების შედეგად გამოტანილ იქნა ურთიერთსანინააღმდეგო დასკვნები, შესაბამისად, გადაწყვეტილებით პასუხი არ გასცემია მთავარ კითხვას: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მიერ სადავო სათავსის მოწყობით შეიღახა მოსარჩელის ინტერესი იმგვარად, რომ მას ხელი ეშლება ინდივიდუალური საკუთრებით თავისუფალ სარგებლობაში?

1.13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილვებად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; б) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არას-

რულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს პინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათოლად ცნობისა და ხელმეშლის აღვევთის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტილისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცემულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბმა „ფ. მ-ის ...-ის“ თავმჯდომარე ი. დ-ისა და ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. იურიდიული ინტერესი

განჩინება

№ას-148-139-2014

26 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კრების ოქმების ბათილად ცნობა, უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ აღიარება, ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

მ. ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ვ-ის, ლ. ჟ-ის, რ. შ-ის, ი. ბ-ის, მ. ბ-ის, ქ. ბ-ის, გ. შ-ს, ე. კ-ს, ბ. ჩ-ას, ი.ბ. ამხანგობა „ო. ი“-ს, თავმჯდომარე თ. შ-ის მიმართ კრების ოქმების ბათილად ცნობის, უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ აღიარების და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით, ქ. ბათუმში, ... №... მდებარე მრავალ-სართულიან საცხოვრებელ სახლში მოსარჩელე მ.ს-ეს საცხოვრებელი ბინა გააჩნია. აღნიშნულ მისამართზე 2006 წელს შეიქმნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამხანგობა „ო.ის“.

საჯარო რეესტრის სააგენტოდან გამოთხოვილი დოკუმენტით აღმოჩნდა, რომ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე არ-სებული სხვენები ამ ბინის მაცხოვრებლებს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადასცემით. 2009 წლის 21 აპრილს სანოტარო წესით დამოწმებულ პარტნიორთა კრების ოქმში მითითებულია, რომ ... №...-ში მდებარე 4-სართულიან საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართული მოწყობილიყო. აღნიშნული ოქმით ამხანაგობის წევრებს ინდივიდუალური საკუთრების უფლებით დაურეგისტრირდათ უძრავი ქონება, კერძოდ: ბ. ვ-ეს 59,04 კვ. მეტრი, ლ. ჟ-ს 47,84 კვ. მეტრი, გ. შ-ს 48,36 კვ. მეტრი, თ. მ-ეს 48,47 კვ. მეტრი, რ. შ-ს 41,36 კვ. მეტრი, ე. გ-ას 39,33 კვ. მეტრი, ბადრი ჩ-ას 69 კვ. მეტრი, ხოლო ი. ქ. და მ. ბ-ებს თანაბარნილად 41,67 კვ. მეტრი სხვენები. ამხანაგობა „ო.ის“ 2009 წლის 14 მაისის №..... კრების ოქმით ე. კ-ას სხვენი განმეორებით გადაეცა, ხოლო ბ. ჩ-ზე განაწილებული 69 კვ. მეტრის სხვენი 2009 წლის 31 ივლისის №..... ამხანაგობის კრების ოქმით ბ. ჩ-ას გადაეცა, რომელიც საჯარო რეესტრშია აღრიცხული.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2009 წლის 21 აპრილს კრების ოქმი კანონის უხეში დარღვევით იქნა მიღებული, ვინაიდან კრება არ ჩატარებულა, ხოლო ასეთი პირობების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება „პინათმესაკუთრეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ბათოლია.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ამხანაგობის წევრთა სარგებლობაში არსებული სხვენების მოპასუხეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებობის ფაქტი არასწორია, ვინაიდან მათით ყველა ბინის მესაკუთრე სარგებლობდა და იგი საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. მ. ს-ის განმარტებით ამხანაგობის კრების ოქმში მითითებული მეორე ფაქტი, სახლის მეოთხე სართულზე მანსარდის მოწყობასთან დაკავშირებით ოქმში მითითებულ პირთა ინტერესებს ემსახურებოდა და არანაირი სარემონტო სამუშაოს აუცილებლობით არ იყო იგი განპირობებული, რისი ნათელი დასტურიცაა ის გარემოება, რომ მანსარდის მოწყობაზე სამშენებლო ნებართვა სწორედ ამ პირთა სახელზეა გაცემული 2011 წელს. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოებით სხვა თანამესაკუთრეთა კანონიერი უფლებაა უგულებელყოფილი, ხოლო ამჟამად არსებული დაშენება მათთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ხორციელდება, რითაც მათი საცხოვრებელი ბინა ზიანდება.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ ამხანაგობის №... კრების ოქმი მითითებულია, რომ თითქოსდა იგი 2007 წლის 6 ივნისს ჩატარდა, რაც არასწორია, ვინაიდან კრების ოქმში აღნიშნულია, რომ მას 31 წევრიდან 29 ესწრებოდა, მაშინ როდესაც მარტოდენ მათ მიერ წარდგენილი განცხადებით 8 წევრი პრეტენზიას გამოთქვამს კრების მოწვევის და ჩატარების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით ამხანაგობა „ო.ის“ 2009 წლის 14 მაისის №... კრების ოქმით ე. კ-ზე განმეორებით გადაცემული სხვენი უკანონოა, ვინაიდან არც ამ კრებაზე იქნა მოწვეული ამხანაგობის სხვა წევრები, ხოლო აღნიშნული ოქმი შედგა იმ მოტივით, რომ 2009 წლის 21 აპრილს უკანონდ შედგენილი პარტნიორთა კრების ოქმი დაფარულიყო, რომლითაც ე. გ-ას 39.33 კვ. მეტრი სხვენი გადაეცა. მ. ს-ეს უკანონდ მიაჩნია ასევე 2009 წლის 31 ივნისის №. ამხანაგობის კრების ოქმი, რომლითაც ბ. ჩ-ას გადაეცა 2009 წლის 21 აპრილს ბ. ჩ-აზე გადაცემული სხვენი. მისი განმარტებით ბ. ჩ-ა არ წარმოადგენდა ამხანაგობა „ო.ი.“-ს წევრს, ვინაიდან ამ უკანასკნელს მითითებულ მისამართზე ინდივიდუალურ საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი არ გააჩნდა.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ დღეის მდგომარეობით დაკა-

ნონებული ფართის ორ მესაკუთრეს – რ. შ-ს და ი., მ. და ქ-ნა ბ-ებს მითითებული ქონება უკვე გასხვისებული აქვთ, შესაბამი-სად მათ ნაწილში თანასაკუთრებად ცნობის აღიარება ვერ მოხ-დება, რის გამოც მიაჩნია, რომ მას უნდა გადაეცეს ბინის ღირე-ბულების პროპორციული თანხა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გა-დაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მო-სარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: а) ბათილად იქნა ცნო-ბილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ (მდებარე: ქ. ბა-თუმში, ...ს ქ. №....) წევრთა კრების 2007 წლის 6 ივლისის №... ოქმი (სანოტარო წესით დამოწმებული 2009 წლის 21 აპრილს, რეესტრის №....., ნოტარიუსი ხ. კ-ი); ბ) ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ (მდებარე: ქ. ბათუმში, ...ქ. №....) წევრთა კრების 2009 წლის 1 აპრილის №... ოქმი, ე. კ-ის 39.33მ სხვენის გადაცემის ნაწილში (სანოტარო წესით დამოწ-მებული 2009 წლის 14 მაისს, რეესტრის №....., ნოტარიუსი ხ. ბ-ე); გ) ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ (მდებარე: ქ. ბათუმში, ქ. №....) წევრთა კრების 2009 წლის 31 ივლისის №.... ოქმი, (სანოტარო წესით დამოწმებული 2009 წლის 31 ივლისს, რეესტრის №....., ნოტარიუსი ხ. ბ-ე); დ) მ. ს-ე ცნობილ იქნა ქ. ბათუმში, ... ქ. №... მდებარე უძრავი ნივთე-ბის (საკადასტრო კოდებით №....., №...., №.... და №....) თანამე-საკუთრედ; ე) რ. შ-ს დაეკისრა 1290 (ათას ორას ოთხმოცდათი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მ. ს-ის სასარგებ-ლოდ; ვ) მ. ბ-ეს, ი. ბ-ეს და ქ. ბ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ 79.55 (სამოცდაცხრამეტი მთელი ორმოცდათხუთმეტი მეასე-დი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მ. ს-ის სასარ-გებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქალაქ ბათუმში, №..., არსებობს ბინათმესაკუთრეთა ამ-ხანაგობა „ო.ი.“ (დებულება დამტკიცებულია 2006 წლის 22 აპ-რილს), რომლის ერთ-ერთ წევრს ნარმოადგენს მ. ს-ე (ნილობ-რივი მონაცემი: მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული მითლიანი ფარ-თიდან – 1066.75 მ²-დან).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ წევრთა კრების №....

ოქმის (დათარიღებულია 2007 წლის 6 ივლისით; დამოწმებულია სანოტარო წესით 2009 წლის 21 აპრილს, რეესტრში რეგისტრაციის №...., ნოტარიუსი ხ. კ-ი) თანახმად კრებას ესწრებოდა 29 მესაკუთრე (სულ არსებული 31 მესაკუთრიდან), რომელთაც ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები: ა) არსებულ 4-სართულიან საცხოვრებელ სახლზე მოეწყოს მანსარდული სართული; ბ) ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცათ ამხანაგობის წევრებს მათსავე სარგებლობაში არსებული სხვენები, კერძოდ: ბ. ვ-ეს – 59.04 მ², ლ. ჟ-ს – 47.84 მ², გ. შ-ს – 48.36 მ², თ.მ-ეს – 48.47 მ², რ. შ-ს – 41.36 მ², ე. გ-ას – 39.33 მ², ბ. ჩ-ას – 69 მ², ი., ქ. და მ. ბ-ებს – 41.67 მ²; საჯარო რეესტრს ეთხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელება ამ მონაცემების საფუძველზე.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ წევრთა კრების №... ოქმის (დათარიღებულია 2009 წლის 1 აპრილით; დამოწმებულია სანოტარო წესით 2009 წლის 14 მაისს, რეესტრში რეგისტრაციის №..., ნოტარიუსი ხ. ბ-ე) თანახმად კრებას ესწრებოდა 29 მესაკუთრე (სულ არსებული 31 მესაკუთრიდან), რომელთაც ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: ამხანაგობის წევრს – ე. კ-ს დაურეგისტრირდეს საკუთრებაში მითითებულ მისამართზე არსებული სხვენი – 39.33 მ².

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ წევრთა კრების №... ოქმის (დათარიღებულია 2009 წლის 31 ივლისით; დამოწმებულია სანოტარო წესით 2009 წლის 31 ივლისს, რეესტრში რეგისტრაციის №..., ნოტარიუსი ხ. ბ-ე) თანახმად კრებას ესწრებოდა 29 მესაკუთრე (სულ არსებული 31 მესაკუთრიდან), რომელთაც ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: ამხანაგობის წევრს – ბ. ჩ-ას დაურეგისტრირდეს საკუთრებაში მითითებულ მისამართზე მისი ბინის ზემოთ არსებული სხვენი – 69 მ².

ზემოთ მითითებული ოქმების საფუძველზე, საჯარო რეესტრში განხორციელდა საკუთრების უფლებების რეგისტრაციები, კერძოდ: ბ. ვ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია 59.04 მ² სხვენზე (საკადასტრო კოდი №.....); ლ. ჟ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია 47.84 მ² სხვენზე (საკადასტრო კოდი №.....); რ. შ-ს საკუთრების უფლების რეგისტრაცია 41.36 მ² სხვენზე (საკადასტრო კოდი №.....); ი. ქ. და მ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია 41.67 მ² სხვენზე (საკადასტრო კოდი №.....); გ. შ-ს საკუთრების უფლების რეგისტრაცია 48.36 მ² სხვენზე (საკადასტრო კოდი №.....); ე. კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია 39.33 მ² სხვენზე (საკადასტრო კოდი №.....); ბ. ჩ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაცია 69 მ² სხვენზე (საკადასტრო კო-

დი №...).

ი. ქ. და მ. ბ-ებმა, 2010 წლის 11 ოქტომბრის ნასყიდობის ხელ-შეკრულების საფუძველზე, ზემოთ მითითებული 41.67 მ² სხვე-ნი (საკადასტრო კოდი №.....) 2000 აშშ დოლარად გაასხვისეს ს. ც-ე.

რ. შ-მ, 2012 წლის 20 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ზემოთ მითითებული 41.36მ² სხვენი (საკადას-ტრო კოდი №.....) 40000 აშშ დოლარად გაასხვისა მ. ა-ე.

აჭარის ა/რ მთავრობის დროებითი კოლეგიური ორგანოს-გა-ნაშენიანების რეგულირების საბჭოს 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ წევ-რებს მიეცათ ნებართვა საცხოვრებელ სახლზე მანსარდის მოწ-ყობაზე; ხოლო ქალაქ ბათუმის მ.ის არქიტექტურისა და ურბა-ნული დაგეგმვების სამსახურის 2011 წლის 17 მარტის №... პრძა-ნებით გაიცა მშენებლობის ნებართვა მანსარდის დასაშენებ-ლად.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ წევრისათვის – მ. ს-ისათვის არ უცნობებიათ ამავე ამხანაგობის 2007 წლის 6 ივლი-სის, 2009 წლის 1 აპრილის და 2009 წლის 31 ივლისის წევრთა კრებების ჩატარების ადგილისა და თარიღის შესახებ; 2007 წლის 6 ივლისს კრების ჩატარების ადგილისა და თარიღის შესახებ ასევე არ უცნობებიათ ამხანაგობის წევრებისათვის: ჯ. რ-ის, ზ. ა-ის, გ. ა-ის, ნ. ბ-ის, მ. ქ-ის, გ. ს-სა და ს. გ-ის.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბინათმესაკუთ-რეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდა 2007 წლის 1 აგვისტოს (ამავე კანონის 31-ე მუხლის საფუძველ-ზე). ამდენად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო.ის“ 2009 წლის 1 აპრილისა და 31 ივლისის კრებების ოქმების კანონიერება უნ-და შემოწმებულიყო ამ კანონის ნორმების საფუძველზე. 2007 წლის 6 ივლისის კრების ოქმის კანონიერება კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლო ყურადღება გაამახვილა საქარ-თველოს სამოქალაქო კოდექსის (2007 წლის 6 ივლისისათვის მოქმედი რედაქცია) შემდეგ ნორმებზე:

სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილე-ბის თანახმად: მრავალბინან სახლებში მინის ნაკვეთი, შენო-ბის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომელიც არ წარ-მოადგენდა ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრება იყო; ინდივიდუალური საკუთრება შეიძლე-ბა არსებულიყო მხოლოდ იზოლირებულ ბინაზე, ან შენობის სხვა იზოლირებულ ნაწილზე.

ამავე კანონის 212-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ბინის მესაკუთრის ნილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრებოდა მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართობთან;

224-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო საკუთრების მართვა ეკისრებოდათ ბინის მესაკუთრებს ერთობლივად, თუ ამ კოდექსით ანდა ბინის მესაკუთრეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იყო განსაზღვრული.

226-ე მუხლის თანახმად, ბინის მესაკუთრენი გადაწყვეტილებებს იღებდნენ ბინის მესაკუთრეთა კრებაზე; გადაწყვეტილების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო, რომ მისი საგანი უკვე ყოფილიყო გამოცხადებული კრების მოწვევის დროისათვის; გადაწყვეტილება შეიძლებოდა კრების გარეშეც მიღებულიყო, თუკი ბინის მესაკუთრენი მასზე თანხმობას წერილობით განაცხადებდნენ.

227-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, ბინის მესაკუთრეთა კრება მოიწვეოდა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მაშინაც, როცა ამას მოითხოვდა ბინის მესაკუთრეთა ერთ მეოთხედზე მეტი. თუ თავმჯდომარე არ იყო, ან იყი თავისი მოვალეობის საწინააღმდეგოდ თავს არიდებდა კრების მოწვევას, კრება შეიძლება მოეწვია ერთ-ერთ ბინის მესაკუთრესაც; კრება მოიწვეოდა ერთი კვირის ვადაში მისი მოწვევის შესახებ წერილობითი განცხადების გაკეთების დღიდან; გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კრება მოიწვეოდა დაუყოვნებლივ. ბინის მესაკუთრეთა კრებას უძღვებოდა ამხანაგობის თავმჯდომარე, თუ კრება სხვა რამეს არ გადაწყვეტდა.

მითითებული ნორმების და დამტკიცებულად ცნობილი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2007 წლის 6 ივლისის კრების მოწვევისა და მასზე გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით დადგენილი წესი დარღვეულია: არ დგინდება, რომ კრების შესახებ წერილობითი განცხადება იყო გაკეთებული, ანუ – კრების საგანი (მანსარდის მოწყობა და სხვენების განკარგვა) რომ გამოცხადებული იყო კრების მოწვევამდე; არ დგინდება კრებაზე ამხანაგობის წევრთათვის შეტყობინებების გაგზავნისა და ჩაბარების გარემოებები. გარდა ამისა, თვითონ კრების ოქმითაც ირკვევა, რომ გადაწყვეტილებები მანსარდის მოწყობისა და სხვენების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მიღებულია არა ყველა მესაკუთრის მიერ ერთობლოვად, არამედ – ნაწილის მიერ (31-დან 29 მესაკუთრის მიერ).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო-ის“ წევრთა 2009 წლის 1 აპრილის და 31 ივლისის კრებების ოქმების კანონიერების შეფასებისას, სააპელაციო სასამართლო ყურადღება გაამახვილა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგ ნორმებზე:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი.

ამავე კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კრების მოწვევის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს უნდა ეცნობოს წერილობით.

მითითებული ნორმების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონი აუცილებლად მიიჩნევს – ამხანაგობის წევრთა კრებამ გადაწყვეტილება სამეურნეო სათავსის ამა თუ იმ წევრზე მიკუთვნების თაობაზე მიღლოს მხოლოდ მაშინ, თუ ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის (2007 წლის 1 აგვისტო) ეს წევრი ფაქტობრივად ფლობს სამეურნეო სათავსს. ამასთან, ამხანაგობის წევრები წერილობით უნდა იყვნენ გაფრთხილებული კრების ადგილისა და თარიღის თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ არ დგინდებოდა არც სადაცო იქმებში მითითებულ პირთა მიერ მათთვის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემული ფართების „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტისათვის (2007 წლის 1 აგვისტო) ფლობის ფაქტი და არც კრებებზე ამხანაგობის წევრთა (მათ შორის – მოსარჩელის) კანონით დადგენილი წესით მოწვევის (შეტყობინების ჩაბარების) გარემოებები. ამდენად, 2009 წლის 1 აპრილის და 31 ივლისის კრებების მოწვევისა და მათზე გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით დადგენილი წესი ასევე დარღვეული იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს. ამდენად, გასაჩივრებული გარიგებები (ოქმები) პალატის მოსაზრებით ბათილს წარმოადგენდა, ვინაიდან არღვევდა ამ კოდექსისა და

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებით დადგენილ წესებს. შესაბამისად, აღდგებოდა ამ გარიგებათა დადებამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობა, ანუ – შესაბამისი წილობრივი მონაცემებით (42.43 მ^2 1066.75 მ^2 -დან) მ. ს-ის თანასაკუთრების უფლება ბათილად ცნობილი ოქმების საფუძველზე განკარგულ ფართებზე, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში.

ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული სარგებლის ანაზღაურების თაობაზე მ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემდეგ ნორმებზე:

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ პი, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

ამავე კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის.

ამავე კანონის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უმუალო შედეგს.

ამდენად, პალატის განმარტებით ანაზღაურებას ექვემდებარება კრედიტორისათვის ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, რომლის დადგომაც წინასწარ იყო სავარაუდო მოვალისათვის. ამასთან, თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, კრედიტორს ეძლევა ფულადი ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ჭ. სა და ო. ქ. და მ. ბ-ების ქმედების – ამხანაგობის მიერ გადაცემული ქონების სხვა პირებზე გასხვისების – შედეგად მ. ს-ისათვის დადგა ქონებრივი დანაკლისი: მან დაკარგა საკუთრების უფლება სხვენის იმ ნაწილზე, რომელიც ერგბოდა არსებული წილობრივი მონაცემის (42.43 მ^2 შეფარდებული 1066.75 მ^2 -თან) შესაბამისად. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლე-

ბელი იყო, რადგან სადავო სხვენის მესაკუთრეები – მ. ა-ე და ს. ც-ე წარმოადგენდნენ კეთილსინდისიერი შემძენ მესამე პირებს.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ რ. შ-მ სადავო ფართი გაასხვისა 40000 აშშ დოლარად. ზემოთ მითითებულ წილობრივი მონაცემს შესაბამება 1591 აშშ დოლარი; თუმცა, კოდექსის 248-ე მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მოსარჩელეს ვერ მიაკუთვნებდა იმაზე მეტს, ვიდრე ის მოთხოვდა; შესაბამისად, მ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნა რ. შის მიმართ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის მიერ მითითებულ ფარგლებში და მოპასუხეს დაკისრებოდა 1290 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდა ლარში მოსარჩელის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ანალოგიური პრინციპით, იმის გათვალისწინებით, რომ ი. ქ. და მ. ბ-ეების მიერ სადავო ფართი გაასხვისდა 2000 აშშ დოლარად, მ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნა ი., ქ. და მ. ბ-ეების მიმართ უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ: მოპასუხებს სოლიდარულად უნდა დაკისროდათ 79.55 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდა ლარში მოსარჩელის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის (აპელანტის) მითითება სადავო ფართის ღირებულებასთან დაკავშირებით, რადგან ეს მითითება დაუსაბუთებელს წარმოადგენდა: საქმეში არსებული, 2010 წლის 11 ოქტომბრის წერილობითი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ნასყიდობის ფასი და შესაბამისად, ნივთის ღირებულებაც იყო 2000 აშშ დოლარი; ამ გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულება აპელანტს (მოსარჩელეს) არ ჰქონდა წარმოდგენილი.

პალატამ განმარტა, რომ მ.ს-ეს ე. კ-ის საკუთრებაში გადაცემული ფართის (39.33 მ² სხვენი, საკადასტრო კოდი №....) თანამესაკუთრედ ცნობა სარჩელით არ მოუთხოვია (იხ: სარჩელი). ასეთი მოთხოვნა მან დააფიქსირა მხოლოდ სააპელაციო საჩივარში, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით ეს მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა, მოთხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორების განმარტებით, მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის საგანი და საფუძ-

ველი. მისი მოსაზრებით მოცემულ საქმეზე სარჩელის საგანია ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობა, უძრავ ქონებაზე – სხვენზე საკუთრების უფლების აღიარება და მოპასუხებზე ფულადი თანხის დაკისრება.

კასატორები მიუთითებენ, რომ მოცემულ საქმეზე მოსარჩელებ მოპასუხებ დასასახელა ამხანაგობა „ო-ი“ და მისი 9 წევრი, მაშინ როდესაც ამხანაგობას სულ 31 წევრი ყავს. კასატორების მოსაზრებით მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით პროცესში მხარის სტატუსით უნდა ჩაებათ ამხანაგობის ყველა წევრი, რომელთაგან ნაწილს მოპასუხის სტატუსი ექნებოდა, ხოლო მეორე ნაწილს მესამე პირის.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო პალატამ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც სასამართლოს უფლებას ანიჭებს მხარებისათვის კითხვების დასმის თაობაზე და საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრისათვის, ამ გარემოებათა დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენისა და სასამართლოში წარდგენისათვის, მათი უტყუარობის გამოკვლებისათვის პალატამ არ გამოიყენა მისთვის მინიჭებული პროცესუალური უფლება, რაც მათი მოსაზრებით გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტურ საფუძველს წარმოადგენს.

კასატორები განმარტავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთოანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება, თუ არა ეს მოთხოვნები. მიაჩნიათ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარში პირდაპირ და უშუალოდ ენინააღმდეგება კანონს და იგი ვერ აღსრულდება.

კასატორები მიუთითებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე და მიაჩნიათ, რომ მოსარჩელებ მოცემულ საქმეზე ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც მისი მოთხოვნის მართებულებას დაამტკიცებდა. ამასთან, აღნიშნავენ, რომ „ბინაომესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდა 2007 წლის 1 აგვისტოდან, ხოლო გასაჩივრებული ოქმი მიღებულია 2006 წლის, რაც საკასაციო საჩივრის დაშვების ერთ-ერთ საფუძვლად მიაჩნიათ.

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ გასაჩივრებული ოქმებით მხოლოდ არსებული მდგომარეობის კონსტანცია განხორციელდა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს შორის სხვენების ახლებულ გადანაწილებას ადგილი არ ჰქონია. მათი განმარტებით, ისინი მითითებულ მისამართზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულზე ცხოვრობენ და სადაო სხვენის ფართები წლების განმავლობაში აქვთ დაკავებული, რითაც სარგებლობენ კიდეც. საკასაციო საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსარჩელე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობს და მას სადაო სხვენების ფართთან შეხება არასდროს ჰქონია, შესაბამისად ეს უკანასკნელი სადაო ქონებას არასოდეს ფლობდა.

კასატორები მიუთითებენ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა წარმოადგენს აღიარებით სარჩელს და მიაჩინათ, რომ მისი მიღების წინაპირობები არ არსებობდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ვერ ასაბუთებს მოცემულ დავასთან მიმართებაში იურიდიული ინტერესის არსებობას.

კასატორები აღნიშნავენ, რომ მოსარჩელემ მოცემულ სარჩელზე ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც გასაჩივრებული კრების ოქმების უკანონობას დაამტკიცებდა. მათი განმარტებით საქმეზე წარმოდგენილია ამხანაგობის წევრების ახსნა-განმარტებები, რომლებიც კრების ოქმის ნამდვილობას ადასტურებს, ხოლო მისი ჩატარების შესახებ ინფორმირებულები იყვნენ ამხანაგობის წევრები.

კასატორები მიუთითებენ, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, არასაცხოვრებელი ფართის ამხანაგობის წევრის აღრიცხვაში საფუძველია ამხანაგობის წევრთა კრების მიერ წევრი-სათვის ფაქტობრივი მფლობელობის დადასტურება, რაც მათი მოსაზრებით აღნიშნულ კრებაზე განხორციელდა. კერძოდ, ამხანაგობის წევრებმა სხვენში არსებული შესაბამისი ფართის ფაქტობრივი მფლობელობა მოპასუხეებს დაუდასტურეს. ამ გარემოების საპირისპირო მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

კასატორები აღნიშნავენ, რომ კრების ოქმების ბათილად ცნობით ძალადაკარგულად იქნება ცნობილი მათ საფუძველზე საჯარო რეესტრმი განხორციელებული ჩინაწერები, შესაბამისად საჯარო რეესტრმი აღდგება თავდაპირველი მდგომარეობა. ანუ, სადაც ქონება ამხანაგობის საკუთრებაში დარჩება და

მოპასუხები მესაკუთრეები ველარ იქნებიან. მსგავს შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორებს გაუგებრად მიაჩნიათ, თუ ვის თანამესაკუთრედ უნდა აღმოჩნდეს მოსარჩელე.

კასატორები მიუთითებენ, რომ სასამართლომ რ. შ-ს უკანონოდ დააკისრა 1290 აშშ დოლარის, ხოლო მ. ი. და ქ. ბ-ებს 79.55 აშშ დოლარის გადახდა. საკასაციო საჩივრის აეტორები აღნიშნავენ, რომ მათ თავიანთ მფლობელობაში არსებული სხვენის ფართებში ჩაატარეს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რის შემდეგაც სხვენის ლირებულება გაიზარდა, ხოლო მოსარჩელეს საერთო ქონების მოვლასა და პატრონობისათვის რაიმე თანხა არ გაუღია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებიული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

უპირველს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მ. ს-ის სარჩელზე უარის თქმის ერთერთი საფუძველი იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა იურიდიული ინტერესი იმისა, რომ სასამართლოს ბათილად ეცნო მითითებული კრების ოქმები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იურდიული ინტერესი არის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც მხარემ შეიძლება მიიღოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც, ბუნებრივია, არ გულისხმობს მხოლოდ ქონების გადაცემას. იურიდიული ინტერესის ცნებაში ყოველთვის იგულისხმება ის მატერიალურსამართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი; ამასთან, კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ მხარე დაადასტურებს, რომ ეს აღიარება სასამართლო წესით უნდა მოხდეს, უფრო ზუსტად კი, სასამართლო წესით უფლების აღიარების აუ-

ცილებლობა უნდა გამოირკვეს და ამ აღიარებას უნდა მოჰყვებოდეს სამართლებრივი შედეგი. იურიდული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება დადგეს ის შედეგი, რასაც მხარე ისახავს მიზნად. აღნიშნული პირობა ობიექტური გარემოებაა და არ აქვს მნიშვნელობა, თავად მხარე რა სამართლებრივი შედეგის დადგომას უკავშირებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

განსახილველ შემთხვევაში, მითითებული ოქმების ბათილად აღიარებაც დაკავშირებული უნდა იყოს მოსარჩელის ინტერესთან მის მიმართ დადგეს კონკრეტული სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მ. ს-ე სადავო კრებებზე მიწვეული არ იყო და აღნიშნავს, რომ საპირისპირის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, ვინაიდან, ობიექტურად შეუძლებელია მხარეს ნეგატიური ფაქტის (გარემოების არ არსებობა, ან, ამ შემთხვევაში, კრებაზე მოუწვევლობა) მტკიცების ვალდებულება დაეკისროს, ამასთან, გაურკვეველია, რა შედეგის მიღწევას ცდილობს მ. ს-ე მითითებული ოქმების გაპათილების შემთხვევაში. შესაძლებელია, მოსარჩელეს სურდეს სადავო ფართის მესაკუთრედ ან თანამესაკუთრედ ცნობა. აღნიშნული შედეგი დამოკიდებულია იმ გარემოებასთან, თუ ვის მფლობელობაშია სადავო ფართი. თუ იგი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაშინ მან უნდა დაადასტუროს, თუ რა ზიანი მიადგა სადვო კრების ოქმებითა და სადავო ქონების მოპასუხეთა საკუთრებაში გადაცემით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტიობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი. მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრმა უნდა წარმოადგინოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმი და ნახაზი, რომლის მეშვეობითაც შე-

საძლებელია სამეურნეო სათავსის ადგილმდებარეობის დადგინდების გადაცემა-არგადაცემის გაბათილების შემთხვევაში სხვენების გადაცემა-არგადაცემის საკითხი უნდა გადაწყდეს დღეისათვის მოქმედი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის შესაბამისად. მითითებული კანონი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მითითებული ფართების მფლობელობას. შესაბამისად, მ. ს-ეს მხოლოდ მაშინ ექნება მითითებული სხვენის საკუთრებაში მიღების საფუძველი, თუ იგი დაადასტურებს, რომ იგი ფლობდა სადავო ფართებს. ასევე, ზემოთ მითითებულ მოპასუხებს მხოლოდ მაშინ არ ექნებათ სადავო ფართების საკუთრებაში მიღების უფლება, თუ ისინი არ სარგებლობდნენ სადავო ფართებით. მითითებული გარემოება არ არის დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია დავის გადაწყვეტა.

ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედი კანონით გათვალისწინებულია სხვენების მფლობელებისათვის გადაცემის საკითხი. აღნიშნული ქმედება მართლზომიერი ქმედებაა და იგი სხვა ამხანაგობის წევრებისათვის ზიანის მიყენებად არ შეიძლება განიხილებოდეს.

გასაზიარებელია კასატორის ის პრეტეზიაც, რომ მსგავს დავაში მხარედ უნდა მონაწილეობდეს ამხანაგობის ყველა წევრი. მითითებული ოქმებით ნება გამოვლენილი აქვს ამხანაგობის წევრთა უმრავლესობას. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ არის გარიგება. მითითებული ოქმების გაბათილებით არარად მიიჩნევა ამხანაგობის წევრთა მიერ გამოვლენილი ნება, რაც შეუძლებელია, განხორციელდეს მათი საქმეში მონაწილეობის გარეშე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს სასამართლოს მიერ საქმეში მხარედ ჩართვის შესაძლებლობას, გარდა კოდექსის 84-ე, 85-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოცემულ საქმეში მონაწილეობს სათანადო მხარეთა მხოლოდ ნაწილი. დანარჩენ პირთა მხარედ ჩართვა საქმეში მოსარჩელის არჩევანზეა დამოკიდებული. მათი ჩაურთველობა კი პირდაპირ აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. შეუძლებელია, გადაწყვეტილების გამოტანა იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ განსახილველ დავაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათ-

ვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა იხელ-მძღვანელოს წინამდებარე განჩინების დასაბუთებით, დაადგი-ნოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, ასევე, სადავო ფარ-თების ფლობის ფაქტი, რაც დაკავშირებულია სარჩელის დაკ-მაყოფილებასთან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ვ-ის, ლ. ჟ-ის, რ. შ-ის, ი. ბ-ის, მ. ბ-ის, ქ. ბ-ის, გ. შ-ს, ე. კ-ას, ბ. ჩ-ას, ი.ბ. ამხანაგობა „ო-ის“ (თავმჯდომარე თ. შ-ის) საკა-საციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტი-ლება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განხილვა

№ას-59-54-2015

13 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ქ-ემ სარჩელი აღმდრა სასამართლოში კ., კ. და გ. ლ-ების
მიმართ უძრავ ქონებაზე დადებული გარიგებების ბათილად
ცნობის მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის
სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რეს კ., კ. და გ. ლ-ებმა და მოითხოვეს აღნიშნული გადაწყვე-
ტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის
თქმა.

2014 წლის 14 ნოემბერს აპელანტების, კ., კ. და გ. ლ-ების
წარმომადგენლმა ი. ა-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის საა-
პელაციო სასამართლოს და მოითხოვა სამოქალაქო საქმის წარ-
მოების შეჩერება მონინაალმდეგე მხარის, ნ. ქ-ის გარდაცვა-
ლების გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინებით შეჩერდა №..-....-
სამოქალაქო საქმის წარმოება მონინაალმდეგე მხარის, ნ. ქ-ის
გარდაცვალების გამო, მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე
ექვსი თვის ვადით – 2015 წლის 30 მაისამდე.

2014 წლის 18 დეკემბერს ნ. ქ-ის მეურვემ, მ. მ-ამ განცხადე-
ბით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს უზრუნველ-
ყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ნ. ქ-ის მეურვის

მ. მ-ას შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით აპელანტებს, კ., კ. და გ. ლ-ებს აეკრძალათ დავის პროცესში გარკვეული მოქმედებების შესრულება. კერძოდ, მათ არ უნდა ხელყოთ ქ. ქუთაისში, ს. პ-ის ქ. №--ში მდებარე ნ. ქ-ის დანაშთი ქონება, მათ შორის, არ მოქმედათ არსებული საცხოვრებელი სახლის ღობები, არ დაერღვიათ ამავე მისამართზე არსებული საცხოვრებელი სახლის მთლიანობა, არ დაეზიანებინათ იგი, არ გაესხვისებინათ სახლში არსებული მოძრავი ნივთები და სადაც ქონება შეენარჩუნებინათ უცვლელ მდგომარეობაში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. განმცხადებელმა მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, კერძოდ, მოპასუხეთავის გარკვეული ქმედების აკრძალვა სადაც ქონების დაცვის მიზნით, ანუ განმცხადებელმა მიუთითა გარემოებაზე, რომლის გამოც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიუღებლობას შესაძლოა გაექნელებინა გადაწყვეტილების აღსრულება და მატერიალური ზიანი მიეყნებინა მისთვის, როგორც ნ. ქ-ის მეურვისა და კანონისმიერი მემკვიდრისათვის. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, იძლეოდა განცხადების დაკმაყოფილების საფუძველს.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა კ., კ. და გ. ლ-ების წარმომადგენელმა ი. ა-ემ და მოითხოვა განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით არის დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს, რადგან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მ. მ-ას მიერ წარმოდგენილი განცხადებით ვერ დგინდება მოპასუხების მხრიდან ქონების დაზიანების ფაქტი, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი. საჩივრის ავტორის მითითებით, შუამდგომლობის წარდგენის დროისთვის მ. მ-ა გარდაცვლილი ნ. ქ-ის მეურვე აღარ იყო, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1302-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მეურვეობა წყდება სამეურვეო პირის გარდაცვალებით. შესაბამისად, მას არ ჰქონდა უფლება მიემართა სასამართლოსთვის.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად არასწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მ. მ-ა არის გარდაცვლილი ნ. ქ-ის პოტენციური კანონისმიერი მემკვიდრე, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია ანდერძი, რომლის შესაბამისად დასტურდება, რომ ნ. ქ-ებს სიცოცხლეშივე მის საკუთრებაში არსებული მოქლი ქონება უანდერძა კ. ღ-ეს, ამ უკანასკნელმა კი კ. ღ-ეს. ამრიგად, ნ. ქ-ის დანაში ქონებაზე მ. მ-ას პოტენციურ კანონის მიერ მემკვიდრედ მიჩნევა სამართლებრივად დაუშვებელია, რადგან იგი არ წარმოადგენს პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 იანვრის განჩინებით კ., კ. და გ. ღ-ების საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ კ., კ. და გ. ღ-ების საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერსების

რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს — მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანების პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელმა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სადაც უძრავ ქონებას ემუქრებოდა მოპასუხეთა მიერ განადგურებისა და დატაცების საფრთხე. კერძოდ, მოპასუხები ახდენდნენ აღნიშვნული ქონების დაშლას და დაზიანებას, ასევე სახლში არსებული ნივთების განადგურებას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც წარდგენილი განცხადებით ვერ დასტურდება მოპასუხების მხრიდან ქონების დაზიანების ფაქტი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმის (ნსამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 191-ე მუხლი – განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) იმგვარი გაგება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, არ გამომდინარეობს არც მითითებული და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალ ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში იმ გარემოების არსებობის ალბათობა, რომ მონინააღმდეგე მხარემ შესაძლოა დააზიანოს სადაც ქონება, გადასწონის ვარაუდს მისი არარსებობის, ანუ იმის შესახებ, რომ იგი არ დაზიანებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მხარის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროება, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუ-

ტისადმი, ფორმალური მიღვომა დაუშვებელია და იგი უმეტეს-ნილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ვარაუდზეა დამოკიდებული. ზემოაღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას იმავდროულად იმსჯელოს მოთხოვნის დასაბუთებულობაზე და გადაწყვიტოს, დააკმაყოფილებს თუ არა მას მომავალში, მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რას ემყარება მისი ვარაუდი, რომ არ არის გამოკვეთილი სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია საფუძვლიანად უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ პირობებში, როდესაც არსებობს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენისას სამეურვეო პირი, ნ. ქ-ე გარდაცვლილი იყო, მეურვეს (ამ შემთხვევაში განმცხადებელს) არ ჰქონდა უფლება მიემართა სასამართლოსთვის, რადგან მეურვეობა სამეურვეო პირის გარდაცვალებით.

პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1302-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მეურვეობა შეწყდება, თუ გარდაიცვალა სამეურვეო პირი. ამავე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მეურვეობა შეწყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით. ამრიგად, აღნიშნული ნორმა სამეურვეო პირის გარდაცვალებისას მეურვეობის შეწყვეტას ითვალისწინებს მხოლოდ შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს. საქმის მასალებით არ დასტურდება ნ. ქ-ის მეურვის მ. მ-ას მიმართ მეურვეობის შეწყვეტის ფაქტი. აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არც საჩივრის ავტორს წარმოუდგენია.

რაც შეეხება მხარის აპელირებას, რომ ნ. ქ-ის მეურვე არ იყო უფლებამოსილი წარედგინა განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელეს ჰყავდა ერთადერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე, მოპასუხე კ. ლ-ე, ვერ იქნება მიჩნეული გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის, ქმედუ-უნაროდ აღიარებული ან გარდაცვლილი ნ. ქ-ის მეურვედ სა-ქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუ-თაისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2013 წლის 17 ივ-ნისის №..-.-./.... გადაწყვეტილების შესაბამისად, დაინიშნა მი-სი დისმენილი, მ. მ-ა, რომელიც სასამართლოში წარმოადგენდა დეიდის ინტერესებს და რომელიც ამავდროულად არის გარდაც-ვლილის სავარაუდო მემკვიდრე. შესაბამისად, საკასაციო სა-სამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მ. მ-ა არის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-მოყენების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი, ვინაიდან სადა-ვო უძრავი ქონების სავარაუდო მემკვიდრეს წარმოადგენს. ხო-ლო იმ პირობებში, როდესაც დაკამაყოფილებულია ნ. ქ-ის სარ-ჩელი, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხეთა მიერ ნ. ქ-ის მიმართ დადებული სადავო უძრავ ქონებასთან დაკავში-რებული გარიგებები, აღნიშნული ზრდის განმცხადებელის (მ. მ-ას) მოთხოვნის საფუძლიანობას და შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო აქვე დამატებით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკით-ხის განხილვის ეტაპზე არ ხდება სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება, რაც გამორიცხავს სასამართლოს მიერ საჩივრის ავ-ტორის იმ მოსაზრებაზე მსჯელობას, რომელიც ქვება მ. მ-ას კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძვლიანობის შესწავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კ., კ. და გ. ღ-ების სა-ჩივრი არ უნდა დაემაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 1971, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

კ., კ. და გ. ღ-ების საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლე-ლი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განხილვა

№ას-1135-1082-2013

6 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: დაუმთავრებელი კორპუსის პროექტის შე-
თანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღების უფლების აღი-
არება

აღნერილობითი ნაწილი:

ამხანაგობა „ვ-ა 99-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ჭ-
ას, თ. მ-ის, დ. ბ-ის, მ. კ-ის, ო. კ-ის, კ. ა-ას, დ. დ-ას, ე. დ-ას, თ. ს-
ის, ნ. ყ-ის, დ. ქ-ას, ნ. ა-ის, ს. ი-ის, ნ. ჩ-ის, თ. მ-ისა და თ. გ-ის
მიმართ და მოითხოვა იმ ფაქტის აღიარება, რომ მოსარჩელეს
აქვს კორპუსის დასამთავრებლად პროექტის შეთანხმებისა და
მშენებლობის ნებართვის აღების უფლება.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ
დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ამხანაგობა
„ვ-ა 99-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატას განცხადებით მიმართა ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ თავ-
მჯდომარე თ. მ-მა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის
მიზნით შემდეგ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება: ა) 140.00
კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისში, ს-ე ქუჩა №6, საკა-
დასტრო კოდი:; მესაკუთრეები: თ. მ-ე (3/6)- 1/2 ნაწილი,
ამხანაგობა „ს-ე 4/6“ - 1/2 ნაწილი; ბ) 217.00 კვ.მ მიწის ნაკვეთ-
ზე, მდებარე ქ.თბილისში, ს-ე ქ. №4, საკადასტრო კოდი:,
მესაკუთრეები: სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეთა და
სახელმწიფოს საერთო საკუთრება, ამხანაგობა „ს-ე 4/6“; გ)
458.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისში, ს-ე ჩიხის
№3, საკადასტრო კოდი:, მესაკუთრე – ამხანაგობა „ს-ე 4/6“;

დ) 197.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №51^ა, საკადასტრო კოდი: , მესაკუთრე – ამხანაგობა „ს-ე 4/6“; ე) 275.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისში, ბ-ის II ჩიხის №1, საკადასტრო კოდი: , მესაკუთრეები: თ. გ-ი (პ/ნ....) და ამხანაგობა „ს-ე 4/6“.

განმცხადებლის განმარტებით, 2010 წლამდე მოპასუხეთა დიდი ნაწილი მითითებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები იყვნენ. მოპასუხეები მთაწმინდა-კრნანისის გამგეობის 2004 წლის №43 დადგენილებით განვივრიანდნენ ამხანაგობა „ვ-ა 99-ში“. ამხანაგობა „ვ-ა 99-ბა“ 2004 წლის ბოლოს მესაკუთრეთა თანხმობითა და სანაცვლო ფართების მიღების პირობით განახორციელა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთებზე განთავსებული ამორტიზებული ძველი სახლების დემონტაჟი და დაიწყო ახალი კორპუსის მშენებლობა. 2006 წლის ბოლოსთვის აშენდა ცხრა სართული, ხოლო 2009 წელს მშენებლობა შეჩერდა თბილისის მერიის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. 2010 წელს მოპასუხეთა დიდმა ნაწილმა დააფუძნა ამხანაგობა „ს-ე 4/6“ და ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების უდიდესი ნაწილი საკუთრების უფლებით გადაეცა ამხანაგობა „ს-ე 4/6-ს“.

განმცხადებლის მითითებით, მესაკუთრეთა ამ ჯგუფის ინტერესია, ყველა ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც ამხანაგობა „ვ-ა 99-მა“ ააშენა ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, მოექცეს ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ საკუთრებაში და ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ საზიანოდ ამხანაგობა „ს-ე 4/6“ უკანონოდ გახდეს ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ მიერ აშენებული მშენებარე კორპუსის მესაკუთრე. მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, მოპასუხეთა ზემოაღნიშნული ჯგუფი აპირებს მიწის ნაკვეთების გასხვისებას. მითითებულ მიწის ნაკვეთების გასხვისებისადმი ინტერესს ადასტურებს 2010 წლის 22 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხე მ. ჭ-ამ მოქალაქე ბ. მ-ს მიჰყიდა 140 კვ.მ-ის 1/10 ნაწილი, ანუ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

განმცხადებლის მითითებით, წინამდებარე საქმეზე დავის საგანს ნარმოადგენდა მოსარჩევე ამხანაგობის უფლების აღიარება, რომელიც გამომდინარეობდა ამხანაგობა „ვ-ა 99-სა“ და მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულებებით მოპასუხეების ნაკისრი ვალდებულებებიდან. იმ შემთხვევაში, თუ მითითებული მიწის ნაკვეთები გასხვისდება და შემძენი გახდება კეთილსინდისიერი მესამე პირი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება – მოსარჩევე „ა-ა 99-ის“ ლეგიტიმური კანონიერი უფლების განხორციელება, ვინაიდან, კეთილსინდი-

სიერი შემძენი მესამე პირი ვერ გახდება მოთხოვნის ადრესატი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნებისმიერ მესამე პირს, რომელიც შეიძლება გახდეს კეთილსინდისიერი შემძენი, ვერ ექნება და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე სახის ვალდებულება ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ მიმართ. გასხვისების გარდა, გადაწყვეტილების აღსარელებას გააძნელებს მითითებული მიწის ნაკვეთების რაიმე სახის ვალდებულებით დატვირთვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ თავმჯდომარე ო. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო: ა) 140.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს მდებარე, ქ.თბილისში, ს-ე ქუჩა №6-ში, საკადასტრო კოდი:; მესაკუთრეების: თ. მ-ის (3/6 ...) – 1/2 ნანილს, ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ – 1/2 ნანილს; ბ) ქ.თბილისში, ს-ე ქუჩა №4-ში მდებარე (საკადასტრო კოდი:) ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას: 30/75 ნანილსა და საცხოვრებელ ფართს: 22 კვ.მ, დამხმარე ფართს: 33.64 კვ.მ; გ) 458.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს მდებარე: ქ.თბილისში, ს-ე I ჩიხის №3-ში, საკადასტრო კოდი:, მესაკუთრე: ამხანაგობა „ს-ე 4/6“; დ) 197.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №51^ა-ში, საკადასტრო კოდი:, მესაკუთრე: ამხანაგობა „ს-ე 4/6“; ე) ქ.თბილისში, ბ-ის II ჩიხის №1-ში მდებარე (საკადასტრო კოდი:) თ. გ-ის (3/6) სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას: I სართული საერთო ფართით 69.70 კვ.მ-დან 1/2 ნანილსა და II სართულზე მდებარე 102.45 კვ.მ საერთო ფართს, ასევე ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებას: I სართული, საერთო ფართით 69.70 კვ.მ-დან 1/2 ნანილს.

ამავე განჩინებით განემარტა განმცხადებელს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული შესაძლო ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ამხანაგობა „ს-ე 4/6-მა“ და მისმა წევრებმა (ნარმომადგენელი თ. შ-ი) და მოითხოვეს ამ განჩინების გაუქმება, ნინააღმდეგ შემთხვევაში, განმცხადებლის დავალდებულება 100 000 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე. საჩივრის ავტორებმა მიუთითეს შემდეგ გარემოებებზე:

ამხანაგობა „ს-ე 4/6“ არასოდეს ყოფილა მოპასუხე, ანუ ის სუბიექტი, რომელიც ფლობს და განკარგავს უძრავ ქონებას. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხებად დასახელებული იყვნენ მხოლოდ ამხანაგობა „ს-ე

4-6-ის „წევრი ფიზიკური პირების ნაწილი. ამხანაგობის წევრი არის 31 ფიზიკური პირი, ხოლო მოპასუხედ მათი ნაწილი – 19 ფიზიკური პირია დასახელებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში მოპასუხის არც შეცვლა და არც მისი დაზუსტება არ ხდება. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხი იყო ამხანაგობა „ს-ე 4/6“.

სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას დაუშვა შეცდომა, კერძოდ, ამხანაგობაში გაწევრიანება არ ხდება გამგეობის გადაწყვეტილებით. სამოქალაქო კოდექსი ადგენს ამხანაგობის შექმნის და მასში გაწევრიანების წესს. ამხანაგობა არის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც იდება მხარეებს შორის და გამოხატავს მათ ნებას. არც ერთი მსგავსი დოკუმენტი შექმნილი არ ყოფილა, შესაბამისად, გაურკვეველია, რა ამხანაგობაზეა საუპარო. მინის ნაკვეთის მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის არა ამხანაგობის ხელშეკრულება, არამედ ნარდობის ხელშეკრულები. ამ ხელშეკრულებით გაურკვეველმა ამხანაგობამ აიღო ვალდებულება, მინის მესაკუთრეების კუთვნილ მინაზე აეშენებინა საცხოვრებელი კორპუსი, სანაცვლოდ კი მინის მესაკუთრეები მას გადასცემდნენ გარკვეულ ფართს ანაზღაურების სახით. 2006 წელს აშენებული იყო 9 სართული და მშენებლობა შეჩერდა 2009 წელს, დღეის მდგომარეობითაც 9 სართულია აშენებული. ამხანაგობისთვის მინის გადაცემა მოხდა სრულიად კანონიერად. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ამხანაგობის შექმნამდე მშენებლობა არ დაწყებულა, ადგილობრივი მცხოვრებლები კი ქუჩაში დარჩნენ. ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ წევრების უდიდეს ნაწილს უძრავი ქონება შეძენილი აქვს სულ სხვა კორპუსებში, მათ აღნიშნულ შენობაში არაფერი არ ეკუთვნით.

საჩივრის ავტორის მითითებით, არასწორია დასკვნა იმის შესახებ, რომ ამხანაგობა აპირებს მინის გაყიდვას. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია ამხანაგობის შექმნამდე და 7 კვ. მ მინის გაყიდვის მიზანს მინის მესაკუთრეობაში შეყვანა წარმოადგენდა და ეს 2010 წელს იყო, მას შემდეგ კი სამი წელია გასული და ამხანაგობას მინა არ გაუყიდია. განმცხადებლების მიზანი არის მშენებლობის იურიდიული დოკუმენტაციის მოწესრიგებაში ხელშეშლა, მათთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ამხანაგობა მიწას არ გაასხვისებს. მშენებლობის დოკუმენტაციის მოწესრიგება და მისი დასრულება შეჩერდება მინიმუმ 2014 წლის მარტის თვემდე, ვინაიდან ზამთრის პირობებში ვერ გაგრძელდება მშენებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასლებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი საფუძვლებით:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ თავმჯდომარემ სარჩელით მიმართა სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისს მოპასუხეების: მ. ჭ-ას, თ. მ-ის, დ. ბ-ის, მ. კ-ის, ო. კ-ის, კ. ა-ას, დ. დ-ას, ე. დ-ას, თ. ს-ის, ნ. ყ-ის, დ. ქ-ას, ნ. ა-ის, ს. ი-ის, ნ. ჩ-ის, თ. მ-ის, თ. გ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სასამართლოს მიერ იმ უფლების აღიარება, რომლის მიხედვითაც იგი შეძლებს მშენებლობის პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის აღებას მოპასუხეების თანხმობის გარეშე.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლზე და განმარტა, რომ ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით დგინდება, რომ სარჩელში მოპასუხეებად დასახელებული ფიზიკური პირები – მ. ჭ-ა, თ. მ-ი, დ. ბ-ე, მ. კ-ი, ო. კ-ე, კ. ა-ა, დ. დ-ა, ე. დ-ა, თ. ს-ი, ნ. ყ-ი, დ. ქ-ა, ნ. ა-ე, ს. ი-ი, ნ. ჩ-ე ნარმოადგენენ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს. სადამფუძნებლო ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობის მიზანია ერთობლივად განახორციელონ თბილისში, ს-ე (გ-ის) ქუჩა №4/6-ში მშენებარე კორპუსის მშენებლობის დასრულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება ყოველი კონკრეტული დავის სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით და მიმართულია საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელის შესანყობად. გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლომ მიუთითა ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება-არგამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ამონმებს, რამდენად დასაბუთებულია ანდა იქნება სარჩე-

ლი, რამდენად გამომდინარეობს მის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, ანუ დასაკმაყოფილებელია თუ არა სარჩელი. სასამართლო ამონტებს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი, მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამართლებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმებისა და ამ-სანაგობა „ს-ე 4/6-ის“ საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ მხარის მიერ მითითებული გარემოებები საფუძვლიანია და არსებობს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობები შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო, 411-ე მუხლით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს მისი სამართლებრივი უსწორობის გამო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სადაცო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მინშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

წინამდებარე საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ უფლების აღიარება, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების თანხმობის პირობებში მოსარჩელეს აქვს კორპუსის დასამთავრებლად პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებათვის აღების უფლება.

მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დასაბუთებულია იმ ვარაუდით, რომ სადაცო ქონებაზე ყა-

დალის დადების გარეშე მშენებლობის ნებართვის აღების უფლების აღიარების (სარჩელის დაქმაყოფილების) შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, რადგანაც, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადებაში მითითებული მიწის ნაკვეთები გასხვისდება, შემძენი გახდება კეთილსინდისიერი მესამე პირი და ამხანაგობა „ვ-ა 99-ს“ მის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ ექნება. გარდა გასხვისებისა, გადაწყვეტილების აღსრულებას ასევე დააბრკოლებს მინის ნაკვეთების ნებისმიერი ვალდებულებით დატვირთვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყფილების ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აუცილებლობა გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობისათვის, ანუ ამ ღონისძიების გამოყენების გარეშე სამართალწარმოების მიზნების განხორციელებას ხელი შეეშლება ან შეუძლებელი აღმოჩნდება, ამასთანავე, უზრუნველყოფა უნდა იყოს მოსარჩელის სადავოდ ქცეული უფლების დაცვის ეფექტური საშუალება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სარჩელის დაკმაყფილების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილების აღსრულება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსარჩელე ითხოვს იმ ფაქტის აღიარებას, რომ მოსარჩელეს აქვს კორპუსის დასამთავრებლად პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღების უფლება. აღნიშნული სარჩელი წარმოადგენს აღიარებით სარ-

ჩელს და განსახილველ შემთხვევაში, მისი აღსრულება არ არის დაკავშირებული რაიმე სირთულეებთან, მით უმეტეს, ქონების დაყადალებასთან. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩელეს შეექმნება ის უპრატესობა, რომ პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის გაგრძელების ნებართვის ასაღებად აღარ დასჭირდება მოპასუხეთა თანხმობების მიღება. ადმინისტრაციული ორგანოები, ასეთი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, არ მოითხოვენ სხვა ამხანაგობის წევრთა თანხმობას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივი ფუნქცია ამონწურება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში მისი წარდგენით. სხვა დანიშნულება სადაც საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეიძლება გააჩნდეს. ამ თვალსაზრისით სრულიდ გაუგებარია სასპელაციო სასამართლოს მიერ განცხადებაში მოყვანილი ქონების დაყადალების მართლზომიერება. მითითებული გადაწყვეტილების აღსრულება არანაირ კავშირში არ არის ჩამოთვლილი პირებისა და სხვა, მით უმეტეს, არამოპასუხის ქონების დაყადალებასთან. აღნიშნული საკითხი შესაძლოა დასმულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღძრული იქნებოდა მიკუთვნებითი სარჩელი, ან აღიარებითი სარჩელი მიმართული იქნებოდა უშუალოდ მოსარჩელის ქონებრივი უფლებების აღიარებისკენ.

გარდა აღნიშნულისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგობა „ვ-ა 99“ განცხადებით მოითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადალის დადებას შემდეგ უძრავ ქონებებზე:

ა) 140.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისი, ს-ის ქუჩა №6, საკადასტრო კოდი:; მესაკუთრები: თ. მ-ე (პ/ნ) – 1/2 ნაწილი, ამხანაგობა „ს-ე 4/6“ – 1/2 ნაწილი;

ბ) 217.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისი, ს-ის ქუჩა №4, საკადასტრო კოდი:, მესაკუთრები: სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეთა და სახელმწიფოს საერთო საკუთრება, ამხანაგობა „ს-ე 4/6“;

გ) 458.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისი, ს-ის I ჩიხის №3, საკადასტრო კოდი:, მესაკუთრე – ამხანაგობა „ს-ე 4/6“;

დ) 197.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისი, ბ-ის ქუჩა №51^ა, საკადასტრო კოდი:, მესაკუთრე – ამხანაგობა „ს-ე 4/6“;

ე) 275.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ.თბილისი, ბ-ის II ჩიხის №1, საკადასტრო კოდი:, მესაკუთრები: თ. გ-ი (პ/ნ

.....) და ამხანაგობა „ს-ე 4/6“;

განსახილველ საქმეზე მოპასუხეებად დასახელებული არიან ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ 20 წევრი, თუმცა, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის საოქმო განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება გ. ა-ის, თ. გ-ისა, თ. ნ-ისა და ნ. ქ-ის მიმართ, შესაბამისად, მოპასუხეთა წრე, ვის მიმართაც საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე შედგება შემდეგი პირებისაგან: მ. ჭ-ა, თ. მ-ი, დ. ბ-ე, მ. კ-ი, ო. კ-ე, კ. ა-ა, დ. დ-ა, ე. დ-ა, თ. ს-ი, ნ. ყ-ი, დ. ქ-ა, ნ. ა-ე, ს. ი-ი, ნ. ჩ-ე, თ. მ-ე, თ. გ-ი;

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე დართული საჯარო რეესტრის ამონანერების თანახმად, №.... უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრეა ამხანაგობა „ს-ე 4/6“, ხოლო 1/2-ის – თ. მ-ე;

№.... უძრავი ქონება თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნით ამავე ამხანაგობას, სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეებსა და სახელმწიფოს;

№...., №.... უძრავი ქონებები – ამხანაგობა „ს-ე 4/6-ს“;

№.... უძრავი ქონებიდან I სართული, საერთო ფართობი 69,70 კვ.მ-დან 1/2 ნაწილი და II სართული საერთო ფართობით 102,45 კვ.მ რეგისტრირებულია ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“, ხოლო I სართული, საერთო ფართობი 69,70 კვ.მ-დან 1/2 ნაწილი – თ. გ-ის საკუთრებად;

№.... ქონების 1/2 ნაწილიდან 9/10 რეგისტრირებულია მ. ჭ-ას, 1/2 – თ. მ-ის, ხოლო 1/2 ნაწილიდან 1/10 – ბ. მ-ის საკუთრებად;

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის განჩინების თაობაზე საჩივარი წარადგინეს ამხანაგობა „ს-ე 4/6“-ის თავმჯდომარე თ. მ-მა და ამავე ამხანაგობის წევრთა წარმომადგენელმა თ შ-მა;

არც თ. მ-ი და არც თ. შ-ი თ. მ-ისა და თ. გ-ის ინტერესების დამცველ პირებს არ წარმოადგენენ;

უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარდგენილი საჩივრით მოთხოვნილია ყადაღის მოხსნა ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ შემდეგ უძრავ ქონებაზე: №....; №....; №...., ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს არ წარმოადგენს სააპელაციო პალატის 2013 წლის 15 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე „ე“ ქვეპუნქტით თ. გ-ის სახელზე რიცხულ ქონებაზე დადებული ყადაღის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმე-ში წარმოდგენილ ამხანაგობა „ვ-ა 99-სა“ და მის წევრებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე:

თ ს-თან, თ. მ-თან, დ. ბ-თან, ნ. ყ-თან, თ. გ-თან, მ. ჭ-ასთან და მ. კ-თან დადებული ხელშეკრულებების 4.5 მუხლის თანახმად, ამხანაგობის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე და მასზე არსებულ ნაგებობაზე არავითარი მატერიალური პრეტენზია „ამხანაგობას“ არ აქვს და იგი რჩება მესაკუთრის საკუთრებაში. ანალოგიურ დათემას შეიცავს ნ. ჩ-სთან დადებული ხელშეკრულების 4.6 პუნქტი, ს. ი-თან და კ. ა-ასთან დადებული ხელშეკრულების 4.5 პუნქტი, ასევე ო. კ-სთან დადებული ხელშეკრულების 4.5 პუნქტი. რიგ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებები მიუთითებენ, რომ წევრების მიერ შეტანილი შენატანი – უძრავი ქონება რჩება წევრების საკუთრებაში (მაგ: იხ. საქმეში თ. გ-სა და ამხანაგობა „ვ-ა 99-ს“ შორის 2004 წლის 17 მაისს დადგებული ხელშეკრულების 2.1; 4.2 და 4.5 პუნქტები; ამხანაგობა „ვ-ა 99-სა“ და თ. მ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 5.3 პუნქტი და სხვა).

მოსარჩელე ამხანაგობასა და მოპასუხებს შორის დადებული არც ერთი ხელშეკრულება არ შეიცავს დათემას წევრის შენატანის „ვ-ა 99-ის“ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე;

საქმეში ასევე წარმოდგენილია ერთობლივი საქმიანობისა და ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ დაფუძნების ხელშეკრულება, რომლის 4.2 პუნქტის თანახმად, ამხანაგობის იმ წევრებს, რომლებსაც ამხანაგობაში შეაქვთ ქონებრივი შენატანი მიწისა და შენობა-ნაგებობების სახით, შენატანი სრული მოცულობით განხორციელებულად ჩაეთვლებათ ამ ქონების ამხანაგობის საერთო საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან;

ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესწავლით დასტურდება, რომ №.... უძრავი ქონება ამხანაგობა „ს-ე 4/6-ს“ საკუთრებაში გადასცა ნ. ყ-მა, №.... მიწის ნაკვეთი – დ. ბ-მ, დ. ქ-ამ, თ. ს-მა, თ. მ-მა და მ. კ-მა, №.... მიწის ნაკვეთი – ე. დ-ამ, დ. დ-ამ და ნ. ჩ-მ, №.... მიწის ნაკვეთი – კ. ა-ამ, ო. კ-მ და ნ. ა-მ, ხოლო №.... მიწის ნაკვეთი – მ. ჭ-ამ;

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ამხანაგობაში შენატანის შეტანის ვალდებულება, ხოლო ნორმის მე-3 ნაწილით დადგენილია წევრთა შენატანების სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესა-

ტანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ წევრებს შენატანზე საკუთრების უფლება ამხანაგობისათვის არ გადაუციათ, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქმეში არ არის წარმოდგენილი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ საკუთრების უფლების წარმომშობი დოკუმენტი – საჯარო რეესტრის ამონანერი, რაც დაადასტურებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნი მხარის უფლებას განცხადებაში მითითებულ ქონებაზე, აღნიშნულის საპირისპიროდ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობას ერთვის საჯარო რეესტრის ამონანერები, რომლებითაც, რიგ შემთხვევაში, დასტურდება ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ საკუთრება, ხოლო ზოგიერთ ქონებაზე ამავე ამხანაგობის თანასაკუთრება ფიზიკურ პირებთან;

განსახილველი საქმის ფარგლებში მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს მოპასუხეების მიერ ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ საკუთრებაში უძრავი ქონების გადაცემა.

მოცემულ საქმეზე მოპასუხეს ამხანაგობა „ს-ე 4/6“ არ წარმოადგენს, ხოლო ამ ამხანაგობის ის წევრები, რომლებიც ამავ-დროულად ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ წევრები არიან, „ს-ე 4/6-ის“ სრულ შემადგენლობას არ ქმნიან.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ობიექტზე საკუთრების უფლების სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალალდება თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ამ სახის გამოყენების საკანონმდებლო დათქმას წარმოადგენს ის, რომ ქონება უნდა ეკუთვნოდეს მოპასუხეს მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფის ობიექტი მესაკუთრის ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფება თუ არა.

როგორც უკვე აღინიშნა, ამხანაგობა „ს-ე 4/6“ გამოყენებული ყადაღის გაუქმებას მოითხოვს მხოლოდ №....; №....; №....; №.... უძრავ ქონებებზე იმ საფუძვლით, რომ წინამდებარე საქმეზე

იგი მოპასუხეს არ წარმოადგენს, შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაეკმაყოფილებინა ამხანაგობა „ვ-ა 99-ის“ შუამდგომლობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საჩივრის ავტორის ამ არგუმენტს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი, შესაბამისად, სახეზეა განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

ამასთანავე, პალატა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმაზე, რომ საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში და, ვინაიდან, ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ მოთხოვნას არ წარმოადგენს გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება საჩივრის ავტორისა და ო. მის თანასაკუთრებაში არსებულ 140,00 კვ.მ უძრავ ქონებაზე (№.....), ასევე „ს-ე 4/6-ის“ დორექტორი და ამხანაგობის წევრთა წარმომადგენელი თ.შ-ი არ წარმოადგენ თ. გ-ის საპროცესო უფლებების დაცვაზე უფლებამოსილ პირებს, მიიჩნევს, რომ არ ის უფლებამოსილი, იმსჯელოს და შეფასება მისცეს გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას ზემოაღნიშნულ ქონებებზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, ასევე 2013 წლის 11 ნოემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო:

ა) ქ.თბილისში, ს-ის ქუჩა №4-ში მდებარე 217.00 კვ.მ №.... უძრავ ქონებას;

ბ) ქ.თბილისში, ს-ის პირველი ჩიხის №3-ში მდებარე 458.00 კვ.მ №.... უძრავ ქონებას;

გ) ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №51^ა-ში მდებარე 197.00 კვ.მ №.... უძრავ ქონებასა და

დ) ქ.თბილისში, ბ-ის მე-2 ჩიხის №1-ში მდებარე 275.00 კვ.მ №.... უძრავი ქონებიდან ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ კუთვნილ წილს – შენობის პირველ სართულზე მდებარე 69,70 კვ. მეტრის საერთო ფართიდან 1/2 ნაწილსა და მე-2 სართულზე მდებარე 102,45 კვ. მეტრს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 1971, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ოქტომბრისა და 2013 წლის 11 ნოემბრის განჩინებები იმ ნაწილში რომლითაც ყადაღა დაედო:

- ა) ქ.თბილისში, ს-ის ქუჩა №4-ში მდენარე 217.00 კვ.მ №.... უძრავ ქონებას;
 - ბ) ქ.თბილისში, ს-ის პირველი ჩიხის №3-ში მდებარე 458.00 კვ.მ №.... უძრავ ქონებას;
 - გ) ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №51^ა-ში მდებარე 197.00 კვ.მ №.... უძრავ ქონებასა და
 - დ) ქ.თბილისში, ბ-ის მე-2 ჩიხის №1-ში მდებარე 275.00 კვ.მ №.... უძრავი ქონებიდან ამხანაგობა „ს-ე 4/6-ის“ კუთვნილ წილს – შენობის პირველ სართულზე მდებარე 69,70 კვ. მეტრის საერთო ფართიდან 1/2 ნაწილსა და მე-2 სართულზე მდებარე 102,45 კვ. მეტრს.
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განხილვა

№ას-429-408-2015

14 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ.ტ.-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „დ.ბ-ს“ მიმართ და მოითხოვა ქ.ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე არსებული იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე მოსარჩელესა და შპს „დ.ბ.“ შორის 2013 წლის 8 თებერვალს დადებული შეთანხმების 1.7. პუნქტის ბათილად ცნობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის ვადის დარღვევის, ასევე შეთანხმებული ქირის გადაუხდელობის გამო მოპასუხისათვის 7 756.34 აშშ დოლარის, ხელშეკრულებით გადაცემული მიწის დაზუსტებულ და თავდაპირველ მონაცემებს შორის არსებული სხვაობის ლირებულების – 37 540.5 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე დაკისრებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკის საგნის იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით მისი ამოღება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკიმუფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა მოსარჩელემ, ამასთან, განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება, კერძოდ, მოპასუხის უძრავ ქონებაზე (მდებარე ქ.ბათუმში,) იძულებითი იპოთეკის გამოყენება; ასევე, კონკრეტული უძრავი ქონების მოპასუხის მიერ განკარვის შემთხვევაში, შესაძლო შემძნის დავალდებულება, ნასყიდობის ფასის ნაწილი, დავის საგნის ლირებულე-

ბისა და საპროცესო ხარჯების გათვალისწინებით, შეიტანოს სა-სამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც სააპელაციო პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა იმ საფუძლით, რომ საჯარო რეესტრში გ.ტ.ს სასარგებლოდ რეგისტრირებული იყო როგორც იპოთეკა (რომლის რეგისტრაციის გაუქმებაც საჯარო რეესტრს აკრძალული ჰქონდა), ასევე ყადაღა (რომელიც მესაკუთრე შპს „d.ბ-ს“ უკრძალავდა ნების-მიერი ფორმით ქონების განკარგვას). საქმეში არ იყო წარმოდგენილი ამ ღონისძიებათა გაუქმების დამადასტურებელი განჩინება, რაც გამორიცხავდა საფრთხის არსებობას, რომ გ.ტ.-ს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება რაიმე ფორმით დაბრკოლდება. გარდა ამისა, გ.ტ.-ს არც სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზი ჰქონია გამოსწორებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა გ.ტ.-მა, მოთხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძლებით:

სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმის მასალები უნდა ერთვოდეს ძირითად სასარჩელო წარმოებას, ის ფაქტი, რომ ეს მასალები მოცემულ საქმეს არ ერთვის, მომჩივნის პრობლემას არ წარმოადგენს. სწორედ იმ მასალებშია განჩინება, რომლითაც გაუქმებულია გასაჩივრებულ განჩინებაში მოხსენიებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ის ფაქტი, რომ გ.ტ.-ს სააპელაციო საჩივარი ჯერ არ არის მიღებული განსახილველად, ვერ გახდება მისი სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფას ჯერ კიდევ სარჩელის აღდგრამდე. თუ სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუსაბლობის გამო დარჩება განუსილველად, ამავე კოდექსის 199¹ მუხლის შესაბამისად, გაუქმდება გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფაც.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით გ.ტ.-ს საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ.ტ.-ს მოთხოვნა იძულებითი იპოთეკის გამოყენების თაობაზე და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: 45 296.84 აშშ დოლარის გადახდევინების თაობაზე გ.ტ.-ს სასარჩელო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა შპს „d.ბ-ს“ კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე ქალაქ ბათუმში, (საკადასტრო კოდით №.....) და იპოთეკა აღირიც-

ხა საჯარო რეესტრში, დანარჩენ ნაწილში საჩივარი მიჩნეული იქნა დაუსაბუთებლად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის სადავოდ გამხდარი უფლება-ინტერესის დროებითი, წინასწარი დაცვის საპროცესო მექანიზმია, რომელიც სასამართლომ მხოლოდ მაშინ შეიძლება აამოქმედოს, თუ: а) აღძრული (აღსაძრავი) სარჩელი იურიდიულად გამართულია, ე.ი - სარჩელი დაფუძნებულია ისეთ ფაქტებზე, რომელთა დამტკიცების შემთხვევაშიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელი დაკმაყოფილება; ეს დასკვნა (ვარაუდი), რა თქმა უნდა, არ არის საბოლოო და საქმის არსებითი განხილვის შედეგად შეიძლება შეიცვალოს; ბ) მოსარჩელე უთითებს გარემოებებზე, რომელთა გამოც გაძნელდება, ან საერთოდ შეუძლებელი გახდება საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, თუ არ იქნება განხორციელებული სარჩელის უზრუნველყოფის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღონისძიება.

გ.ტ-მა, თანხების გადახდევინება სარჩელით მოითხოვა იმის გამო, რომ მასა და მოპასუხეს შორის 2011 წლის 27 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხეს გადასახდელი აქვს 7 756.34 აშშ დოლარი (ყოველთვიური ქირისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმის სახით) და 37 540.5 აშშ დოლარი (მოპასუხისათვის ფაქტობრივად ზედმეტად გადაცემული 29 მ² მინის ნაკვეთის ღირებულება, რითაც მოპასუხემ მიიღო სარგებელი).

სააპელაციო სასამართლომ სარჩელი იურიდიულად გამართულად მიიჩნია, ამასთან, მომჩივანი (განწცხადებელი) მიუთითებდა, რომ მოპასუხის ქონების იპოთეკით დატვირთვით მისი მოთხოვნა იქნებოდა უზრუნველყოფილი სანივთო უფლებით, ხოლო თუ მოპასუხე გაასხვისებდა ამ ქონებას, მაშინ შემძინის დავალდებულებით - ნასყიდობის ფასის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იქნება მოსარჩელის მოთხოვნისა და საპროცესო ხარჯების დასაფარად, განეთავსენინა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, დაცული იქნებოდა არა მხოლოდ მოსარჩელის (აპელანტის) ინტერესი, არამედ შემძინისაც, რომელიც საკუთრებაში მიიღებს უფლებრივად უნაკლო ნივთს. ნასყიდო-

ბის ფასის დეპოზიტზე განთავსებით მოსარჩელის სასარგებლოდ არსებული იპოთეკა გაქარწყლდებოდა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდა მოვალის (მოპასუხის) ქონების დატვირთვას იპოთეკით მოვალის ნების მოუხედავად. მართალია, მითითებული ნორმა ამ უფლებამოსილებას ანიჭებდა აღმასრულებელს, ისეთი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად, რომლის საფუძვლიანობაც დადასტურებულია იმავე კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი აქტით, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ამ უფლებამოსილებით აერვე აღჭურვილი იყო სასამართლოც. მით უფრო, იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხის ქონების დატვირთვა იპოთეკით გაცილებით მსუბუქი ხასიათის ღონისძიება იყო, ვიდრე 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თუნდაც „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყადალის დადება.

რაც შეეხება საჩივრის მეორე მოთხოვნას, იგი პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ, ზოგადად, სასამართლო დავას იხილავს კონკრეტული პირების მოხანილეობით. სასამართლოს აქტით ვალდებულება ეკისრება კონკრეტულ პირს, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია სადაცო საკითხის განხილვა-გადაწყვეტისას. დაუშვებელია, სასამართლო გადაწყვეტილება მიმართული იყოს პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, რის გამოც მომჩივნის მეორე მოთხოვნა დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება, გ.ტ-ს საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ ქმნის განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განჩინილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, ერთ საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული დაუსაბუთებლად დადება.

ლი წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) საპატილაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) საპატილაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატა უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის 2015 წლის 11 მარტისა და 14 აპრილის განჩინებების კანონიერება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა შესაძლო შემძენი მესამე პირის დავალდებულების თაობაზე, სარჩელით მოთხოვნილი, ასევე საპროცესო ხარჯების შესაბამისი თანხის სასამართლოს სადეპიზიტო ანგარიშზე განთავსების თაობაზე. ამ თვალსაზრისით კი, დადგენილია, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს:

ა) მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოვალის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, თანხის დაკისრება;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობით ფაქტობრივად მიღებული მინის ნაკვეთის ღირებულების ანაზღურება;

გ) შეთანხმების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად რეგისტრირებული იპოთეკა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-

მოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სა-სარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუ-დი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწ-ყვეტილების გამოტანაზე.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ემსახურება მო-სარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის ხელშეწყობას, რადგანაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამარ-თლებრივი მართლებრივის აღსრულებამდე სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რა-თა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს.

გასათვალისწინებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა იმის შესახებ, რომ სა-კითხს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. დასახელებული ნორმა არ შეიძლე-ბა განიმარტოს დამოუკიდებლად, არამედ, იგი ავსებს 191-ე მუხლის დათქმას და შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსარჩელეს, რომელიც მოითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-ნებას, ერთი მხრივ, ევალება ამ ინსტიტუტის გამოყენების აუ-ცილებლობის დამტკიცება, ამასთანავე, მანვე სარწმუნოდ უნ-და დაასაბუთოს, რომ მოთხოვნილი ღონისძიების სახე დასახუ-ლი მიზნის მიღწევის თანაზომიერი და ადეკვატური საშუალე-ბაა. საკასაციო პალატის აღნიშვნული განმარტება ეწყარება სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალიზსაც, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეუძლია გა-მოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩე-ლის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შე-იძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდე-ნიმე სახე, თუმცა, მსგავსად ზემოთმითითებული შეფასებისა, ამ ღონისძიებათა გამოყენებაც დამოკიდებულია შუამდგომლო-ბის ავტორის მოტივირებულ მსჯელობაზე.

წარდგენილი განცხადებით, ასევე საჩივრით გ.ტ. უზრუნ-ველყოფის ღონისძიებად მოითხოვს სავარაუდო შემძენის და-ვალდებულებას, თანხა განათესოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

საკასაციო პალატა განმცხადებლის ამ მოთხოვნის უმართე-ბულობის თაობაზე სრულად იზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს დასკვნას, რომ მართლმსაჯულების აქტი არ შეიძლება მიმართლი იყოს პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და დროები-თი ღონისძიების – სარჩელის უზრუნველყოფის სუბიექტად არ შეიძლება იქცეს სავარაუდო მესამე პირი.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ.ტ.ს მიერ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ზომა არ შეესაბამება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტის მიზანს, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად განუცხადა მხარეს უარი სადაცო მოთხოვნის ნაწილში განცხადებისა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ.ტ.ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტისა და 14 აპრილის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. დაუსწრებელი გადაცევის მიღების გამოტანის ნიუაპირობები

განჩინება

№ას-677-644-2014

12 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. რობინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განკორნინება, ალიმენტის დაკისრება, წილი
კომპენსაცია

აღნერილობითი ნაწილი:

ს. მ-მ სარჩელი აღმრა სასამართლოში ი. გ-ის მიმართ ქორწი-
ნების შეწყვეტის, ი. გ-ისათვის არასრულწლოვანი შვილის, მ. გ-
ის, სასარგებლოდ სარჩელის აღძვრიდან ბაგშვის სრულწლოვა-
ნებამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე აღიმენტის – ყო-
ველთვიურად 300 ლარის დაკისრებისა და თანაცხოვრების პე-
რიოდში შეძენილი ქორწიდან კუთვნილი წილის კომპენსაციის
სახით მოპასუხისათვის 2 050 აშშ დოლარის დაკისრების მოთ-
ხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

ს. მ-ე და ი. გ-ე დაქორწინდნენ 2005 წლის 15 ოქტომბერს.
2013 წლიდან მხარეთა შორის ფაქტობრივი საქორწინო ურთი-
ერთობა შეწყვეტილია. ქორწინების პერიოდში შეეძინათ შვილი
მ. გ-ე, რომელიც ცხოვრობს დედასთან. მოპასუხე არ ზრუნავს
შვილზე.

2013 წლის 6 აპრილს ს. მ-მ და ი. გ-მ შეიძინეს ავტომობილი
BMW 520 I, სახელმწიფო ნომრით , რომელიც აღირიცხა ი. გ-
ის სახელზე. 2013 წლის 12 მაისს მოპასუხემ გაყიდა ავტომობი-
ლი.

აუდიტორული დასკვნის თანახმად, ავტომობილი შეფასე-
ბულია 2 300 აშშ დოლარად.

2013 წლის 20 ივლისს ს. მ-მ და ი. გ-მ შეიძინეს ავტომობილი
BMW 525, სახელმწიფო ნომრით ავტომობილი გაფორმდა ი.
გ-ის სახელზე.

აუდიტორული დასკვნის თანახმად, ნივთი შეფასებულია 1
800 აშშ დოლარად.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო, კერძოდ, განკორწი-

ნების ნაწილში დაეთანხმა სასამარჩელო მოთხოვნას, ასევე თანხმობა განაცხადა შვილის სასარგებლოდ ალიმენტის – 40 ლარის დაკისრებაზე იმ საფუძვლით, რომ არის უმუშევარი და გააჩნია ჯანმრთელობის პრობლემები, ხოლო ქონებიდან წილის კომპენსაციის მოთხოვნაზე მოპასუხემ უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ავტომანქანები მეუღლეთა თანასაკუთრებას არ წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეწყდა მხარეთა შორის 2005 წლის 15 ოქტომბერს ქ.თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული ქორწინება, მოპასუხე ი. გ-ს არასრულწლოვანი მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის – ყოველთვიურად 80 ლარის გადახდა სარჩელის ალბრიდან შვილს სრულწლოვანებამდე ან გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე, დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელებმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის სხდომაზე ი. გ-ის გამოუცხადებლობის გამო მის მიმართ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, ი. გ-ს არასრულწლოვანი მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის – 220 ლარის (2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული 80 ლარის გათვალისწინებით მთლიანად 300 ლარის) გადახდა ყოველთვიურად, სარჩელის ალბრიდან მ. გ-ის სრულწლოვანების მიღწევამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე, მოპასუხეს ს. მ-ის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ორი ავტომანქანის საერთო ლირებულების (4100 აშშ დოლარი) ნახევრის – 2 050 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ნარმოების განახლების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა ი. გ-მ, რაც ამავე სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, ხოლო მიღებული და-

უსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ს. მ-ის სარჩელი ი. გ-ის მიმართ დაკავშირდა ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილება ალიგენტის ოდენობის განსაზღვრისა და ქონების გაყოფის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-მ.

2014 წლის 7 მარტს, 11:00 საათზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე – ი. გ-ე, რომელსაც სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამავე სხდომაზე აპელანტის ნარმომადგენელმა – თ. ლ-მა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის შესაბამისად, იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკავშირდა ყოფილების თაობაზე.

2014 წლის 7 მარტს, ი. გ-ის გამოუცხადებლობის გამო, მის მიმართ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკავშირდა;

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობისა და მისი გაუქმების საფუძვლად საჩივარში რაიმე დასაბუთებული არგუმენტი არ მიუთითება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის, 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. გ-ს 2014 წლის 7 მარტის სხდომის შესახებ ჩაბარდა უწყება, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათის თანახმად, 2014 წლის 20 თებერვალს სასამართლო შეტყობინება ჩაიბარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის თვალშისწინების წევრმა – ე. გ-მ, რაც, სასამართლოს შეფასებით, უდავოდ მოწმობდა ი. გ-ის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 230-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა.

პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში წარმომადგენლის დანიშვნის შემ-

თხვევაში ამ უკანასკნელის ადვოკატთა ასოციაციის წევრად ყოფნის სავალდებულობა და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლო 2014 წლის 22 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ი. გ-ის რწმუნებულებით აღჭურვილი პირი ე. გ-ე, რომელმაც ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე, ვერ მიიღო მონაბილება საქმის განხილვაში. ამავე სხდომაზე დადგინდა ხარვეზი და მხარეს მიეცა შესაძლებლობა, რომ შემდგომი სხდომისათვის ი. გ-ე სასამართლოში წარმოდგენილი ყოფილყო პირადად ან სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის (ადვოკატის) მეშვეობით. 2014 წლის 7 მარტის სასამართლო სხდომაზე, ორდერის საფუძველზე, გამოცხადდა ნ. კ-ი, როგორც ი. გ-ის წარმომადგენელი, თუმცა სასამართლომ აღნიშნული ორდერი, ი. გ-ის წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტად არ მიიჩნია, ვინაიდან ორდერი არ შეიცავდა მარწმუნებლის მიერ გამოვლენილი ნების დამადასტურებელ მონაცემებს. 2014 წლის 7 მარტის სხდომაზე წარმოდგენილი ორდერი, სასამართლოს შეფასებით, შესაძლოა, სხვა შემთხვევაში პალატის მხრიდან გამხდარიყო მხარის წარმომადგენლობასთნ დაკავშირებით ხარვეზის დადგენის პროცესუალური საფუძველი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ წინ სასამართლო სხდომაზე სასამართლომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ი. გ-ის რწმუნებულებით აღჭურვილ პირს, ოჯახის წევრს – დას (ე. გ-ს) განუმარტა შემდგომ სასამართლო პროცესზე მხარის ან მისგან სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის (ადვოკატის) გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, ამასთან, რადგანაც მხარეს ჰქონდა საკმარისო დრო, შესაბამისი რწმუნებულებით აღეჭურვა წარმომადგენელი ხოლო მან გამოიჩინა გულგრილი დამოკიდებულება და უგულებელყო სასამართლოს მიერ მიცემული განმარტებები, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური საფუძველი.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ასევე დავის საგანიცდა და მიიჩნია, რომ მოპასუხეს მეტი გულისხმიერების გამოჩენა მოეთხოვოდა.

არ იქნა გაზიარებული საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ სარჩელში (სააპელაციო საჩივრაში) მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასამარჩელო მოთხოვნას და ამდენად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები. ამ თვალსაზრისით პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილზე,

230-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ დადგენილად მიიჩნეოდა შემდეგი გარემოებები:

– ი. გ-ს გააჩნია თავისი საქმიანობა (ვტომობილების იმპორტირება) და შემოსავლის წყარო; ი. გ-ს მ. გ-ის გარდა არ ჰყავს სხვა შეიღილი;

– ს. მ-ე დასაქმებული არ არის და შემოსავალი არ გააჩნია; – არასრუნლოვანი მ. გ-ის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად საჭირო თანხა 300 ლარია;

– მხარეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს ორი ავტომობილი, რომელთა საერთო ღირებულებაც შეადგენდა 4 100 აშშ დოლარს.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე, 1212-ე, 1214-ე, 1158-ე და 1164-ე მუხლების თანახმად, დადგენილად მიჩნეული გარემოები იურიდულად ამართლებდა მოსარჩელის მოთხოვნას.

სასამართლოს განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთგვარ პროცესუალურ სანქციას პირის მიმართ, რომელიც არასათანადოდ ახორციელებს სასამართლოს დავალებას. ასეთ დროს გადაწყვეტილება გამოიტანება დადგენილად მიჩნეული გარემოებების მატერიალურ კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის კვლევის საფუძველზე, ისე, რომ სასამართლო არაუფლებამოსილია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები, უფრო მეტიც, კანონი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას იმპერატიულად ადგენს, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები დადგენილად მიიჩნევა და მართლმსაჯულება შემოიფარგლება მხოლოდ დადგენილი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთების შემოწმებით, რაც განსახილველ შემთხვევაში, სწორადაა დადგენილი.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილება-სა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. გ-შ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების საწინააღმდეგოდ, არასწორად არ შეაფას 6. კ-ის მიერ წარდგენილი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა ამ უკანასკნელის უფლება, ი. გ-ის სახელით გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე.

უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თა-

ნახმად, ადვოკატს უფლება აქვს, სასამართლოში საქმე ანარმოოს ორდერის მეშვეობით, მათ შორის, გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე და დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები.

საკასაციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაეშვა ნ. კ-ი საქმის განხილვაში და არ უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა ი. გ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 სეტემბრის გადაწყვეტილებით ს. მ-ის სარჩელი ი. გ-ის მიმართ ნაწილობრივ, განქორწინებისა და ალიმენტის სახით 80 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 3 დეკემბრის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2014 წლის 22 იანვარს 11:00 საათზე და სხდომის თაობაზე მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ეცნობათ;

2014 წლის 22 იანვრის სხდომის ოქმის თანახმად, სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ი. გ-ის ნარმომადგენელი ე. გ-ე, რომელიც არ იყო ადვოკატი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის საფუძველზე იგი არ იქნა მიჩნეული აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის უფლებამოსილ ნარმომადგენლად, ამავე სხდომაზე არ დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და მხარის ან მისი ადვოკატის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისათვის;

ს. მ-ის სააპელაციო საჩივრის 2014 წლის 19 თებერვალს 17:00 საათზე განხილვის შესახებ მხარეებს ეცნობათ უწყების გაზიარების გზით, საქმეში ნარმოდგენილი საფოსტო შეტყობინებით დასტურდება, რომ ი. გ-ისათვის გაგზავნილი უწყება 2014

წლის 24 იანვარს ჩაბარდა მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს, ე. გ-ს;

საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 7 თებერვლის განცხა-დებას ერთვის ორდერი, რომლის თანახმადაც ი. გ-ის ინტერ-სებს სააპელაციო სასამართლოში იცავს ადვოკატი ნ. კ-ი;

სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი ცნობის თანახმად, 2014 წლის 19 თებერვალს დანიშნული სხდომა, სასამართლოს არასრული შემადგენლობის გამო, გადაიდო სხვა დროისათვის, შესაბამისად, 2014 წლის 7 მარტს 11:00 საათზე დანიშნული სხდომის (ახალი სხდომის დროის) თაობაზე მხარეებს ეცნობათ უწყების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარების გზით;

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის სხდომაზე უშუალოდ ი. გ-ე არ გამოცხადებულა, ამასთან, გამოცხადებული ნ. კ-ი სასამართლომ არ მიიჩნია მხარის წარმომადგენლად. სასამართლოს შეფასებით, რადგანაც ადვოკატის ორდერი არ შეიცავდა ი. გ-ის მიერ გამოვლენილ ნებას, გამოცხადებული წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტად იგი არ მიიჩნეოდა, ამ გარემოების გათვალიწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ორდერის საფუძველზე ნ. კ-ს უფლება არ გააჩნდა, დაეცვა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად ჩათვალა ი. გ-ე გამოუცხადებლად, რის გამოც არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, ამასთანავე, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თახასმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურად-

ლებას გაამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შეუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დამაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის არსებობის დადგენის შემდეგ ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამონეოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილებითა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქმის განხილვაზე გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ნ. კ-ი, რომელმაც საკუთარი უფლებამოსილების დადასტურების მიზნით წარადგინა №12 ორდერი, სააპელაციო პალატამ კი, იმ საფუძვლით, რომ ორდერში გადმოცემული არ იყო ი. გ-ის ნება, ნ. კ-ი არ ჩათვალა უფლებამოსილ წარმომადგენლად და უშუალოდ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოდ შეაფასა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადაც საკითხის სწორად

გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს ადვოკატის უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საქმის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკეითდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში შეარებების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი. მითითებული კანონის 1.1 მუხლის მიხედვით, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით წებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ზემოხსენებული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის უფლებებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატს უფლება აქვს წარმომადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს

საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. მინდობილობის გაცემის წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, ხოლო, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 19.3 მუხლი).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის წევრის ორდერის სავალდებულო მოთხოვნები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შესარულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. მითითებული ნორმის მი-

ხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენებლს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან წაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს. (ცხადია, ადვოკატის მიერ ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული, მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას (იხ, სუსგ წას-1614-1608-2011, 21 მაისი, 2012 წელი, წას-1269-1289-2011, 24 ოქტომბერი 2011 წელი).

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომა, რომელზე გამოუცხადებლობაც გახდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, დანიშნული იყო 2014 წლის 7 მარტს, საქმეში წარმოდგენილი ორდერის თანახმად კი, ი. გ-ის ინტერესებს 6. კ-ი იცავდა 2014 წლის 6 თებერვლამდე, რადგანაც ორდერში, მისი

მოქმედების ვადად სწორედ ეს თარიღია მითითებული. მართალია, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ორდერის მოქმედების ვადის თაობაზე, თუმცა საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არც ეს გარემოება შეიძლება დაედოს საფუძვლად აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლად მიჩნეასა და ამ მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამ თვალსაზრისით პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკაიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა რომ მხარე გამოცხადებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს სხდომაზე იგი წარდგენილი იქნება წარმომადგენლის მეშვეობით, რომელის უფლებამოსილებასაც შეიძლება გააჩნდეს გარკვეული ნაკლა.

ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლის გამოცხადება მიანიშნებს დავის მიმართ მხარის ინტერესის არსებობაზე, რის გამოცხადებორომ მას უნდა მისცეს გონივრული ვადა არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად და შესაბამისი უფლებამოსილების მიმნიჭებელი მინდობილობის წარმოსადგენად (იხ. სუსგ №ას-953-1259-07, 31 მარტი, 2008 წელი).

დასახელებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არასწორად იქნა მიჩნეული მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლად, ხოლო ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალში დატოვების შესახებ 2014 წლის 25 აპრილის განჩინებით ასევე არასწორად არ გაიზიარა საპელაციო სასამართლომ საჩივრის ავტორის განმარტება, რომ საქმეში წარმოდგენილი მინდობილობის თანახმად, ი. გ-ზ ე. გ-ს ნება დართო, მისი ინტერესების დაცვა სხვა პირისათვის გადაედო, ადვოკატ ნ. კ-სა და ე. გ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ი. გ-ის ინტერესების დაცვის თაობაზე, რასაც მოწმობდა ნ.კ-ის მიერ წარდგენილი ორდერი. სასამართლოს კი, ამ ორდერის საფუძველზე ადვოკატი უნდა მიეჩნია გამოუცხადებელი მხარის წარმომადგენლად.

საკასაციო პალატის მიერ ასევე ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ორდერზე მარნმუნებლის ნება ხელმოწერით უნდა დადასტურებულიყო, რადგანაც ამგვარ დათქმას სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება არ შეიცავს, ამასთანავე, ვინაიდან სახეზე არ არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის

პირველი წინაპირობა – მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილად მიჩნეული გარემოებებისა და მოთხოვნის იურიდიული მართებულობის შეფასების წინაპირობა აღარ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2014 წლის 25 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდერიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ადგილი:

1. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაცევატილების გამოტანის ნინეპირობები

განხილვა

№ას-470-449-2015

24 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებული),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თან-
ხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ბ-ემ სარჩელი აღმრა სასამართლოში ქ.თბილისის მუნი-
ციპალიტეტის მერიისა და ააიპ „ქ.თბილისის №... საბავშვო ბა-
გა-ბალის“ მიმართ მოპასუხეებისათვის სოლიდარულად უსა-
ფუძვლო გამდიდრებით მიღებული 1912 ლარის დაკისრების შე-
სახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2008 წლის 24 სექტემბრიდან
თ. ბ-ე ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან
ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულაა 128 180. მოსარჩელის შვი-
ლები – 2008 წლის 23 მაისს დაბადებული ლ. და ლზ. ბ-ები 2011-
2013 წლებში დადიოდნენ №... საბავშვო ბაგა-ბალში. მოსარჩე-
ლეს 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით გა-
დახდილი აქვს საბავშვო ბალის მიერ განებული მომსახურების
საფასური ყოველთვიურად ორივე ბავშვზე 112.5 ლარის ოდე-
ნობით, რაც ჯამში შეადგენს 1 912 ლარს.

მხარის განმარტებით, ქ.თბილისის მთავრობის 2011 წლის 8
აგვისტოს №21.17.889 დადგენილებით სოციალურად დაუცვე-
ლი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რო-
მელთა სარეიტინგო ქულა 200000-ზე ნაკლებია, გათავისუფ-
ლობენ დაწესებული მომსახურების ლირებულების გადასახა-
დისაგან. ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ ამ ოჯახე-
ბის ბავშვების მომსახურების ლირებულებას 80 ლარის ოდენო-
ბით ნებისმიერ ბაგა-ბალში აანაზღაურებდა ქ. თბილისის მერია.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და შიუთითეს, რომ ბაგა-
ბალს სოციალურად დაუცველი ბავშვების შესახებ ინფორმაცია
მოეპოვებოდა შესაბამისი ვებგვერდიდან, რომელზე ინფორმა-

ციის განთავსება ხდებოდა თავად სოციალურად დაუცველი პი-რების ან, მათი მითითებით, ბაგა-ბალის ადმინისტრაციის მიერ. მოპასუხებისათვის უცნობი იყო, იმყოფებოდა თუ არა თ. ბ-ე სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და ჰქონდა თუ არა 200 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 მაისის გა-დაწყვეტილებით თ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და, ქ.თბილისის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1912 ლარის გადახდა, რაც ქ.თბილისის მერიამ გაასაჩივრა საა-პლაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 11 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვე-ტილებით სააპელაციო საჩივარი, აპელანტის გამოუცხადებლო-ბის გამო, არ დაკმაყოფილდა, რაზეც აპელანტმა შეიტანა საჩი-ვარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით საჩივარი არ დაკ-მაყოფილდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უც-ვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილ-ში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი ამომზურავი არ არის. გამო-უცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია და-უსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, მიუთითოს სხვა გარე-მოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებ-ლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანო-მდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამარ-თლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზე-ზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობი-ნება სხდომაზე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცე-ბის ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება სა-ჩივრის ავტორს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზ-რისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სა-სამართლოს უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით და გან-

მარტა, რომ 102-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. აღნიშნულ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა, თუმცა რიგ შემთხვევებში ცალკეული გარემოებების დადასტურებისათვის საჭირო მტკიცებულებათა სახეობას განსაზღვრავს კანონი.

მოცემულ შემთხვევაში სადავონ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის საფუძვლით, საპატიო მიზეზად კი დასახელებულია ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელმა, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო აღნიშნული საქმე, 2014 წლის 31 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე დატოვა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური და მერიას არ ჰქონდა გონივრული ვადა, რათა ეფექტურად მოხედინა მითითებული თანამშრომლისათვის დაკავშირებულ მოგალეობათა გადანაწილება შტატით გათვალისწინებულ სხვა თანამშრომელებზე იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში რამდენიმე თანამშრომელმა ასევე დატოვა სამსახური და, ფაქტობრივად, არსებობდა შიდა სტრუქტურული საქადრო პროცესი.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება, კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე იცავს ქ. თბილისის მერიის ინტერესებს სასამართლო ორგანოებში. თავის მხრივ, სამსახური და თითოეული განყოფილება შედგება გარკვეული რაოდენობის თანამშრომლებისაგან, რომელთა მიერ უშუალოდ ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასამართლოში წარმომადგენლობა.

კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი, რომელიც მოცემულ საქმეზე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებდა, გათავისუფლდა სამსახურიდან, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს იმ საპატიო მიზეზს, რის გამოც უნდა გაუქმდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მერიის თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლდა 2014 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით, სხდომა კი სასამართლოში დანიშნული იყო 2014 წლის 11 ნოემბერს. უნყება თბილისის მერიას ჩაბარდა ამავე

წლის 18 სექტემბერს. კანონმდებელი მხარეს აკისრებს ვალ-დებულებას, დროულად აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებ-ლობის შესახებ. სააპელაციო საჩივრის ავტორს ნარმოადგენს თბილისის მერია. მას საკმაო დრო ჰქონდა, 2014 წლის 31 ოქ-ტომბრიდან 11 ნოემბრამდე მიენოდებინა ინფორმაცია სასა-მართლოსათვის მერიაში მიმდინარე პროცესებისა და გამოუც-ხადებლობის თაობაზე. აპელანტს შეეძლო, 31 ოქტომბერს 6. მ-ის გათავისუფლების შემდეგ მიემართა სასამართლოსთვის და ეცნობებინა კონკრეტული რწმუნებულის მიერ ნაწარმოები საქ-მების განხილვის გადადების მოთხოვნით, თუნდაც იმ მიზე-ზით, რომ რამდენიმე იურისტი გათავისუფლდა სამსახურიდან და სასამართლო იმსჯელებდა შუამდგომლობის საფუძვლიანო-ბაზე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს მხა-რებს გარკვეულ პროცესუალურ ვალდებულებებს, რომელთა დროული შეუსრულებლობა ინვენს პროცესუალურად საზიანო შედეგს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის აეტორის მტკი-ცება, რომ სასამართლოს არ უნდა მიეღო ფორმალურად სასა-მართლო უწყების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ჩაბარება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო უწყება ჩაბარდა აპელანტს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მერვე ნაწილით გათვალისწინებული წესის დაცვით. სასამარ-თლოს მიერ გაგზავნილი უწყება ჩაბარდა ქ.თბილისის მუნიცი-პალიტეტის მერიის ადმინისტრაციის. ჩაბარების დასტური ხელ-მოწერილია ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლის მიერ და დამოწმებულია შესაბამისი ბეჭდით. სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 241-ე მუხლი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიიჩნევს იმ საპატიო მიზეზის არსებო-ბას, რომლის თაობაზეც მხარეს არ შეეძლო, თავის დროზე შე-ეტყობინებინა სასამართლოსთვის. ამგვარ მიზეზად ვერ განი-ხილება უწყების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმი-ნისტრაციიდან უფლებამოსილ თანამდებობის პირამდე არმის-ვლის საკითხი, მით უფრო, რომ დაუსაბუთებელია პოზიცია, თუ რატომ არ შეეძლო მერიას, მიემართა სასამართლოსთვის მისი მონაწილეობით მიმდინარე პროცესების გადადების მოთხოვ-ნით, თუკი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ჰყავდა იმ მოხელეების საკმაო რაოდენობა, ვინც უზრუნველყოფს მერი-ის წარმომადგენლობას სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემ-თხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების შესახებ ქ.თბილისის მერიამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის მითითებით, ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქ.თბილისის მერიის დებულება, რომლის მე-2 მუხლის მიხედვით, ქ.თბილისის მერია წარმოადგენს თვითმმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქ.თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. ამავე დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დედაქალაქის თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემა – ქალაქ თბილისის მერია მოიცავს: ქ. თბილისის მთავრობასა და ქ. თბილისის რაოინების გამგეობებს. დებულების მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქალაქო სამსახური არის ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, შესაბამისი დარგის მართვისათვის შექმნილი ორგანო, რომელიც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულია. საქალაქო სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ქ. თბილისის მერის მიერ დამტკიცებულ სამსახურის დებულებით, რომელსაც წარადგენს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი.

ქ. თბილისის მერის 2010 წლის 24 დეკემბრის №28 ბრძანებით დამტკიცებულია ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულება, რომლის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი განყოფილება, კერძოდ, სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე იცავს ქ. თბილისის მერიის (მთავრობის, ადმინისტრაციის, საქალაქო სამსახურების) ინტერესებს სასამართლო ორგანოებში. თავის მხრივ, სამსახური და თითოეული განყოფილება შედგება გარკვეული რაოდენობის შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისაგან, რომელთა მიერ უშუალოდ ხორციელდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასამართლოში წარმომადგენლობა.

კასატორმა განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური 2014 წლის 31 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე დატოვა თანამშრომელმა, რომლის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა აღნიშნული საქმე და სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე ახორციელებდა მითითებულ საქმეზე ქ. თბილის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების დაცვას.

ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის მომენტიდან, მას თანმდევი შედეგით შეუწყდა სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რის გამოც აღმოჩნდა, რომ სამსახურს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია არ გააჩნდა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ესაჭიროებოდა გონივრული ვადა, რათა ეფექტურად მოეხდინა მითითებულ თანამშრომელზე დაკისრებულ მოვალეობათა გადანაწილება შტატით გათვალისწინებულ სხვა თანამშრომლებზე, რაც ტექნიკური თვალსაზრისით გულისხმობდა, თითოეული საქმის (დაახლოებით 100 საქმის) დეტალურ გაცნობას და კონკრეტულ თანამშრომელზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაფორმებას.

მხარის მითითებით, გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი მოიცავდა მხოლოდ 6 სამუშაო დღეს, რაც გულისხმობდა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა გონივრული ვადა, რათა დაედგინა თითოეული, დაახლოებით 100 საქმის მიმდინარეობის ეტაპი და უზრუნველყო შესაბამისი წარმომადგენლობა. ამასთან, აღნიშნული თანამშრომლის გარდა, მითითებული განყოფილება პირადი განცხადებით დატოვა კიდევ სამმათანამშრომელმა, რომელთა წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაერია ანალოგიური სამუშაოები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა გონივრული ვადა და შესაძლებლობას, რათა ეფექტურად მოეხდინა წარმოებაში არსებული ყველა და მათ შორის აღნიშნულ საქმეზე რეაგირება.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოებები წარმოადგენდა საპატიო მიზეზს და სააპელაციო პალატამ სასამართლო უწყება მხარეს მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით არასწორად ჩააპარა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილებას ახორციელებდა არა პირადად, არამედ სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულ თანამშრომელთა მეშვეობით. სასამართლოს არ უნდა მიეღო ფორმალურად სასამართლო უწყების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ჩაბარე-

ბა, არამედ სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო აღნიშნული უწყების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ ორგანომდე და უფლებამოსილ თანამდებობის პირამდე მისვლა-არმისვლის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ვითარება, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა თანამშრომელთა დაქვემდებარებაში არსებული საქმეების შესწავლა და გადანაწილება.

ამასთან, კასატორმა მიიჩნია, რომ საქმის მასალებით, სააპელაციო საჩივრის წარდგენიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, არ დასტურდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქმის განხილვის ინტერესის დაკარგვის ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინებით ქ.თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 10 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ ქ.თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 16 სექტემბერს ქ.თბილისის მერიის საპატიო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაზე მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმის განხილვა დაინიშნა 2015 წლის 11 ნოემბერს, 12:00 საათზე.

საპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორს სადავოდ არ გაუხდია, რომ ქ.თბილისის მერიას საქმის განხილვის დანიშვნის შესახებ გაეგზავნა სასამართლო უწყება და 2014 წლის 18 სექტემბერს ჩაბარდა, რაც დადასტურებულია მოხელის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით. ამავე უწყებით მხარეს განემარტა აპელანტის სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნულის მიუხედავად, საპელაციო სასამართლო სხდომაზე ქ.თბილისის მერიის წარმომადგენელი არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ საპელაციო

სასამართლოს არ აცნობა. მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, რის საფუძველზეც საქმიზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი არეგულირებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს. აღნიშნული ნორმით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში კი, გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, 372-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგი მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე სააპელაციო პალატას არ აცნობა. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს.

ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობის ყველა ელემენტი: ა) აპელანტის გამოუცხადებლობა; ბ) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი; გ) მოწინააღმდეგი მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლად ქ.თბილის მერია მიუთითებს იმ გარემოებას, რომ საქმის განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის წინასწარ შეუტყობინებლობა გამოწვეული იყო

საპატიო მიზეზით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო წათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას.

კანონის მითითებული დანაწესის თანახმად, საპატიოდ ჩაითვლება ისეთი გარემოების არსებობის სარწმუნოდ დადასტურება, რომელიც ობიექტურად შეუძლებელ ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში კი – სასამართლო პროცესზე გამოცხადებას და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეტყობინებას.

საკავაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მიერ სადაცო დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების წინაპირობად მითითებულ გარემოებას, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური 2014 წლის 31 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე დატოვა თანამშრომელმა, რომლის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა აღნიშნული საქმე და სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე ახორციელებდა მითითებულ საქმეზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების დაცვას. მითითებულ პირთან ერთად დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა კიდევ რამდენიმე მუშაკი. კასატორის განმარტებით, სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა ქ.თბილისის მერიის ასამდე საქმე, შესაბამისად, 2014 წლის 31 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე დარჩენილ 6 სამუშაო დღე ადმინისტრაციულ ორგანოსათვის არ აღმოჩნდა გონივრული ვადა, რათა დაედგინა თითოეული საქმის მიმდინარეობის ეტაპი და უზრუნველეყო შესაბამისი წარმომადგენლობა. საკავაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანტს საქმაო დრო ჰქონდა, 2014 წლის 31 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე მიეწოდებინა ინფორმაცია სასამართლოსათვის მერიაში მიმდინარე პროცესებისა და გამოუცხადებლობის თაობაზე. აპელანტს შეეძლო, 31 ოქტომბერს შესაბამისი მოხელე ნუცა მუავანაძის გათავისუფლების შემდეგ მიემართა სასამართლოსათვის და ეცნობებინა კონკრეტული რწმუნებულის მიერ წანარმოები საქმეების განხილვის გადადების მოთხოვნით, ასევე იმ მიზეზით, რომ რამდენიმე იურისტი გათავისუფლდა სამსახურიდან და სასამართლო იმსჯელებდა შუ-

ამდგომლობის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ქ.თბილისის მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფების სიმრავლის, თავად აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს მნიშვნელობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, რამდენიმე მოხელის სამუშაოდან გათავისუფლება ვერ გახდება იმის საპატიო მიზეზი, რომ აპელანტმა ვერ შეატყობინა სააპელაციო პალატას თავისი გამოუცხადებლობის შესახებ.

საფუძველს მოკლებულია კასატორის ის არგუმენტიც, რომ 6 სამუშაო დღე არაგონივრული ვადა იყო ქ.თბილისის მერიის მონაწილეობით მიმდინარე საქმეებში გასარკვევად. აღნიშნული ვადა სავსებით საკმარისი იქნებოდა საქმეების განხილვის ეტაპის დადგენის მიზნით სააპელაციო სასამართლოსათვის მისამართად, რაც ქ.თბილისის მერიას არ განუხორციელება.

ამდენად, კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილი საპატიო მიზეზის არსებობა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, რის გამოც არ არსებობს სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების ამავე კოდექსის 241-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ქ.თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2015 წლის 6 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაცევატილების გამოტანის ნინაპირობები

განხილვა

№ას-982-943-2014

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საზოგადოების საბუღალტრო და სხვა დო-
კუმენტების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. თ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჰ-ის“ მიმართ
საზოგადოების საბუღალტრო და სხვა დოკუმენტების გადაცე-
მის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

მოსარჩელე იყო შპს „ჰ-ის“ კაპიტალის 40% წილის მესაკუთ-
რე. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მას არ ეძლეოდა საშუა-
ლება გაცნობოდა ინფორმაციას საზოგადოების საქმიანობის შე-
სახებ, რაც გახდა სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძვე-
ლი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ლ. თ-ის მოქ-
მედება ეწინააღმდეგება სამენარტე და კომერციული საქმია-
ნობის პატიოსან ჩვევებს და მიმართულია საზოგადოების ინ-
ტერესების საზიანოდ, პარტნიორი ბოროტად იყენებს თავის
მდგომარეობას საზოგადოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომ-
ბრის გადაწყვეტილებით, ლ. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „ჰ-ს“ დაევალა გადაეცა ლ. თ-ისთვის შემდეგი დოკუმენტები:
2010 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის სა-
წარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია, წლიური ბალანსი, მო-
გება-ზარალის უწყისი, პარტნიორთა კრების ყველა ოქმი, სა-
წარმოს მიერ დადებული ხელშეკრულებები, საბუღალტრო
პროგრამა და საწყობის დათვლის პროგრამა, პირველადი საბუ-
ღალტრო დოკუმენტაცია (შესყიდვები, გაყიდვები შესაბამისი
ანგარიშფაქტურების ჩათვლით), ამონაწერი საბანკო ანგარიშე-
ბიდან, 2011-2012 წლების ინვენტარიზაციის შედეგები და დი-
რექტორის 2011-2012 წლების ანგარიში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ჰ-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის მიერ 2014 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ დაკმაყოფილდა: შპს „ჰ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

2014 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა შპს „ჰ-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 11 ივნისის განჩინებით შპს „ჰ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „ჰ-მა“ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება

კასატორი არსებითად სადაცოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

ლ. თ-ის მიერ დაარსდა შპს „ჰ-ის“ კონკურენტი საწარმო შპს „ჰ. ი-ი“, რომელიც ეწევა იდენტურ საქმიანობას და მისი დაფუძნების მიზანია შპს „ჰ-ის“ გაკოტრება და ბაზრიდან გაძევება. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად ესაჭიროება ლ. თ-ს ორგანიზაციის სრული საბუღალტრო დოკუმენტები, რათა შემდგომ მოახდინოს ფასებით მანიპულირება და გაანადგუროს შპს „ჰ-ი“. ამგვარი ქმედებებით იგი ზიანს აყენებს ორგანიზაციას.

კასატორის განმარტებით, ლ. თ-ს წარდგენილი აქვს ასევე სამოქალაქო სარჩელი შპს „ჰ-ის“, მ. ზ-ისა და ნ. ზ-ის მიმართ შპს „ჰ-ის“ დირექტორის, მ. ზ-ისათვის უფლებამოსილების შეწყვე-

ტის, დირექტორის მიერ კომპანიისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების, საიჯარო ქირის გადახდისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. აღნიშნულ საქმეში ლ. თ-მა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე და მოითხოვა იგივე დოკუმენტები, რომელიც მის მიერ სარჩელით მოთხოვნილია მოცემულ საქმეში. შუამდგომლობა დაკავშირდა და შპს „ჰ-ს“ დაევალა 2007-2013 წლების აუდიტის დასკვნის წარმოდგენა. აღნიშნული დასკვნა გადაეცა ლ. თ-ის წარმომადგენელს.

საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, იმ პირობებში, თუ ძალაში დარჩება და კანინიერ ძალაში შევა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აღსრულების შემთხვევაში შპს „ჰ-ი“ იძულებული იქნება გადასცეს მოპასუხეს კომპანიის 6 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია, რაზეც უკვე გაცემულია კომპეტენტური სახელმწიფო აუდიტის დასკვნა და იგი გადაცემულია ლ. თ-ისათვის სასამართლოს განჩინების საფუძვლზე სხვა სამოქალაქო საქმეში. ამრიგად, ეს გადაწყვეტილება შექმნის აღსრულების ნაწილში სამართლებრივად აბსურდულ კაზუსს, რაც არ უნდა იქნას დაშვებული, რადგან ლ. თ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ამრიგად, კასატორის აზრით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და მისი აღსრულება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით შპს „ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ივნისის განჩინებით შპს „ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი შპს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამავე სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განჩინებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა შპს „ჰ-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა

დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდებს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება და საკასაციო საჩივრით სადაცოდ არ არის გამხდარი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვალს დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე მხარეებს ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. კერძოდ, აპელანტი ორგანიზაციის წარმომადგენელს, მ. რ-ეს უწყება გაეზარენა ფოსტით და ჩაბარდა 2014 წლის 22 იანვარს. უწყება იმავე დღეს ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს, ლ. თ-ს.

დადგენილია ასევე, რომ 2014 წლის 19 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, ხოლო გამოცხადებულმა მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგს. კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის გამოცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა 387-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ

განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს სააპელაციო საჩივრის აღმქრელი პირი; ბ) გამოცხადებული მოწინააღმდეგე მხარე უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკისყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ამ გარემოებათა ერთობლივად არსებობა წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა ზემოაღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ყოველთვის არის ვალდებული, შეამოწმოს, ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის შემდეგი: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლო-სათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღმერის წინაპირობები (სსკ 233.1 მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, დავას არ იწვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი წარმომადგენილი გათვალისწინებული გარემოებების არარსებობა.

როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე წარდგენილი საჩივრის შესწავლით დასტურდება, მხარე მის გაუქმებას მოითხოვს საპატიო მიზეზის არსებობით, საპატიო მიზეზად კი, იგი მიიჩნევს შემდეგს:

2014 წლის 19 თებერვალს სასამართლო პროცესის დაწყებამდე აპელანტის წარმომადგენელი ტელეფონით ესაუბრა მოსამართლის თანაშემწეს, აცნობა, რომ ქალაქში არყოფნის გამოვერ მოახერხებდა სხდომაზე დასწრებას და მოითხოვა სასამართლო პროცესის სხვა დროისთვის გადადება.

საკასაციო ვალატა აღნიშნავს, რომ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ ნორმას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

თავის მხრივ, იმას, თუ რა განიხილება სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, განსაზღვრავს ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლომ პროცესზე მხარის გამოუცხადებლობა ან სასამართლოსათვის შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობა საპატიოდ მიიჩნიოს, უნდა არსებობდეს ორი წინაპირობა: 1. გამოუცხადებლობა გამოწვეული უნდა იყოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით; და 2. აღნიშნული განსაკუთრებული ობიექტური გარემოება მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს უნდა ხდიდეს მხარის პროცესზე გამოცხადებას ან/და გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ სასამართლოსათვის შეტყობინებას. ეს უკანასკნელი შეფასების ობიექტს განეკუთვნება და იმისათვის, რათა სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მიზეზი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნიოს, უნდა შეექმნას მხარის გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობის მყარი შინაგანი რწმენა.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მხედველობაში ვერ მიიღებს საჩივარში მითითებულ მხარის მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ შპს „ჰ-ის“ წარმომადგენლის, მ. რ-ის მიერ მოსამართლის თანაშემწისათვის სატელეფონო საუბრით მიწოდებული ინფორმაცია სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე ვერ მიიჩნევა ორგანიზაციის სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის საკმარის საფუძვლად. აღნიშნული არგუმენტი სრულიად დაუსაბუთებელია და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის. საქმეში არ მოიპოვება არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შპს „ჰ-ის“ წარმომადგენელს არ ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა დასწრებოდა ორგანიზაციის სააპელაციო საჩივრის განხილვას.

თუმცა იმ პირობებშიც კი, თუ აღნიშნული პირის სასამარ-

თლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ობიექტური (საპატიო) მიზეზებით, ეს თავისთავად არ გამორიცხავდა შეს „ჰ-ის“ მიერ საკუთარი უფლებების სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით დაცვის შესაძლებლობას. ვინაიდან დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის ავტორი არის იურიდიული პირი, რომელსაც თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველეყო მისი წარმომადგენლის საპატიო მიზეზით სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის პირობებში აღნიშნული პირის ჩანაცვლება სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლით.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას განსახილველ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც არეგულირებს აპელანტის სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგებს.

ზემოაღნიშნული ნორმის შენარსიდან გამომდინარეობს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე (სააპელაციო მოპარუხე), მაგრამ არ გამოცხადდა აპელანტი (სააპელაციო მოსარჩევე), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ მხოლოდ ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: პირველი – აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ (სააპელაციო მოპარუხე) უნდა იშუამდგომლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; მეორე – არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ასევე არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები.

ზემოაღნიშნული გარემოება, შესაძლებელია ყოფილიყო სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდებოდა აპელანტი და არ გამოცხადდებოდა მისი მოწინააღმდეგე მხარე. ასეთ დროს და-

უსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს აპელანტის მოთხოვნას (სსკ-ის 387.2-ე და 230-ე მუხლები). იმ შემთხვევაში კი, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ ცხადდება თავად აპელანტი, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო არ აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც მთლიანად საქმეს სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ აპელანტის გამოუცხადებლობის გამო და არა საქმის მასალების მიხედვით.

ამდენად, კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზია დაუსაბუთებელია და იგი გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ კანონიერად მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მართებულად დატოვა იგი ძალაში. შესაბამისად, შპს „ჰ-ის“ საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული, მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ლ. თ-ის შუამ-დგომლობა სარჩელის აღძრვამდე სარჩელის უზრუნველყოფის

ლონისძიების გამოყენების შესახებ; თბილისის საქალაქო სასა-მართლოს 2014 წლის 19 მაისის განჩინება სარჩელის აღძრვამ-დე მისი უზრუნველყოფის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შე-სახებ; ლ. თ-ის სარჩელი; შპს „ჰ-ის“ შესაგებელი; ინდ. მეწარმე დამოუკიდებელი ექსპერტი „დ. რ-ის“ 2013 წლის 24 დეკემბრის №... ექსპერტიზის დასკვნა თანდართული საილუსტრაციო მა-სალებით; სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ლონისძიებების გან-ხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნუ-ლი ცენტრი საქართვენტის 2013 წლის 30 აპრილის №... ბრძანება; საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქ-მიანობის საბჭო ინდივიდუალური აუდიტორი დ. რ-ის 2014 წლის 24 იანვრის №... დ.რ. აუდიტის დასკვნა; შპს „ჰ-ის“ შეგებებული სარჩელი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა კოლეგიის განჩინება შპს „ჰ-ის“ შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადა-ვადების შესახებ; 2014 წლის 23 ივნისის სატელეფონო შეტყო-ბინების აქტი; შპს „ჰ-ის“ შესაგებელი; შპს „ჰ-ის“ წარმომადგენ-ლის თ. ლ-ას განცხადება; საგადასახადო შემოწმების აქტისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დამადასტურებე-ლი ხელწერილი; ლ. თ-ის წარმომადგენლის ჯ. გ-ის განცხადება 2014 წლის 30 მაისის სარჩელის დაზუსტების თაობაზე; შპს „ჰ-ის“ წარმომადგენლის თ. მ-ის განცხადება შეგებებული სარჩე-ლის გახმობის შესახებ; ლ. თ-ის 2015 წლის 3 თებერვლის გან-ცხადება; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 აპ-რილის №2/9041 გადაწყვეტილება; ლ. თ-ის სააპელაციო საჩი-ვარი) მთლიანობაში „129“ ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ლ ა:

1. შპს „ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2014 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესა-ხებ 2014 წლის 11 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. კასატორ შპს „ჰ-ის“ დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლო-ში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ლ. თ-ის შუამ-

დგომლობა სარჩელის აღძრვამდე სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების შესახებ; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მაისის განჩინება სარჩელის აღძრვამდე მისი უზრუნველყოფის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ; ლ. თ-ის სარჩელი; შპს „ჰ-ის“ შესაგებელი; ინდ. მეწარმე დამოუკიდებელი ექსპერტი „დ. რ-ის“ 2013 წლის 24 დეკემბრის №..... ექსპერტიზის დასკვნა თანდართული საილუსტრაციო მასალებით; სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტის 2013 წლის 30 აპრილის №... ბრძანება; საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო ინდივიდუალური აუდიტორი დ. რ-ის 2014 წლის 24 იანვრის №.. დ.რ. აუდიტის დასკვნა; შპს „ჰ-ის“ შეგებებული სარჩელი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება შპს „ჰ-ის“ შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ; 2014 წლის 23 ივლისის სატელეფონო შეტყობინების აქტი; შპს „ჰ-ის“ შესაგებელი; შპს „ჰ-ის“ წარმომადგენლის თ. ლ-ას განცხადება; საგადასახადო შემოწმების აქტისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დამადასტურებელი ხელნერილი; ლ. თ-ის წარმომადგენლის ჯ. გ-ის განცხადება 2014 წლის 30 მაისის სარჩელის დაზუსტების თაობაზე; შპს „ჰ-ის“ წარმომადგენლის თ. მ-ის განცხადება შეგებებული სარჩელის გახმობის შესახებ; ლ. თ-ის 2015 წლის 3 თებერვლის განცხადება; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის №2/9041 გადაწყვეტილება; ლ. თ-ის სააპელაციო საჩივარი) მთლიანობაში „129“ ფურცლად;

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაცევატილების გამოტანის ნინაპირობები

განხილვა

№ას-351-334-2015

10 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ.ძლიერიშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებული),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, იპო-
თეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ბ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ი-ის მიმართ სეს-
ხის – 6000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 2550 აშშ დოლარის,
სულ – 8550 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩე-
ლებ მოითხოვა, თანხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემ-
თხვევაში ფულადი ვალდებულების შესასრულებლად სარეალი-
ზაციოდ მიეცეს ლ. ი-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება.

მხარის განმარტებით, 2012 წლის 21 აგვისტოს მხარეთა შო-
რის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლი-
თაც მოპასუხებ მოსარჩელისაგან ისესხა 6000 აშშ დოლარი ყო-
ველთვიურად 5%-ის დარიცხვით 6 თვის ვადით. სესხის უზრუნ-
ველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ლ. ი-ის კუთვნილი უძრავი
ნივთი.

2013 წლის 21 თებერვალს სანოტარო წესით ხელშეკრულე-
ბაში შეტანილ იქნა ცვლილება და თანხის გადახდის ვადა გაგ-
რძელდა 2014 წლის 21 თებერვლამდე, თუმცა მოპასუხებ ნა-
კისრი ვალდებულება არ შესარულა.

მოპასუხებ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ
ვალდებულების ნაწილი შეასრულა. შესაბამისად, მოსარჩელი-
სათვის გადასახდელი დარჩა 4350 აშშ დოლარი და 100 ევრო.
ამასთან, ლ. ი-მა მიიჩნია, რომ თანხის ამოღება მისი კუთვნილი
უძრავი ქონებიდან არ უნდა განხორციელდეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 აგვისტოს
გადაწყვეტილებით დ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მო-
პასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, რაზეც ლ.ი.-მა შეიტანა საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 თებერვლის განჩინებით ლ. ი-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარი 2014 წლის 26 ნოემბერს მიღებულ იქნა განსახილველად. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 დეკემბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა მთავარი სხდომა 2015 წლის 20 იანვარს, 14:30 საათზე, რის თაობაზე კანონით დადგენილი წესით ეცნობა ორივე მხარეს, მათ შორის 2014 წლის 29 დეკემბერს ტელეფონოგრამით – ლ. ი-ის რძალ ბ. კ-ეს.

სააპელაციო სასამართლო სხდომაზე აპელანტი არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზი სააპელაციო სასამართლოსთვის არ უცნობებია. მონინაალმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა, საქმეზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ლ. ი-მა საჩივარი დააფუძნა შემდეგ გარემოებებს:

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის სხდომის თაობაზე 2014 წლის 29 დეკემბერს ტელეფონოგრამის გზით ეცნობა მის რძალ – ბ. კ-ეს, თუმცა 2014 წლის 27 დეკემბერს საჩივარის ავტორი დაეცა და მიიღო სხეულის ძლიერი დაჭეულობა, რის გამოც გარკვეული პერიოდის მანძილზე მოუწია სახლის პირობებში მეურნალობა წოლითი რეჟიმით. ამას დაერთო არტერიული ჰიპერტენზია და ნერვოზული მდგომარეობა, რამაც უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. რადგან სხდომის შესახებ ეცნობა მის რძალს, თავად მოკლებული იყო შესაძლებლობას, წაეკითხა უწყება და გასცნობოდა სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებს. გასათვალისწინებელია ლ. ი-ის ასაკიც.

მხარის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი იმპერატიულად არ მოითხოვს მოსარჩელის (აპელანტის) გამოუცხადებლობისას სასამართლოს მიერ აუცილებლად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, ეს მისი შესაძლებლობაა და არა ვალდებულება. დაუსწრებელი გადაწყვეტი-

ლება ართმევს შესაძლებლობას, ისარგებლოს სამართლიანი სა-სამართლოს უფლებით, რადგან არსებობდა საქმის სხვა დროი-სათვის გადადების საფუძველი.

სააპელაციო პალატის მითითებით, საჩივარს დაერთო ექი-მი-ქირურგის – თ. ტ-ის მიერ 2014 წლის 27 დეკემბერს დანიშ-ნული მკურნალობის ამსახველი დოკუმენტი, კარდიოგრამა და რეცეპტი, თუმცა არ არის წარმოდგენილი სამედიცინო დაწესე-ბულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი მტკიცებულე-ბა, რომელიც დადასტურებდა ლ. ი-ის იმგვარ ავადმყოფობას, რაც გამორიცხავდა 2015 წლის 20 იანვრის სასამართლო სხდო-მაზე მის გამოცხადებას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საჩივრის სამართლებ-რივი საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, რადგან მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისი გამოუცხადებ-ლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, მისი ავად-მყოფობით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულება. გარდა ამისა, მას არც ის დაუსაბუთებია, თუ რატომ არ შეეძლო გამოუცხადებლობის თაობაზე ეცნობებინა სააპელაციო სასა-მართლოსათვის. მისი ოჯახის ქმედუნარიანი წევრი სხდომის თა-ობაზე გაფრთხილებულ იქნა სხდომამდე 22 დღით ადრე, რაც სავსებით საკმარისი დროა, რათა თავად მხარის გამოუცხადებ-ლობის პირობებში მას უზრუნველეყყო წარმომადგენლის გამოც-ხადება, როგორც ეს განახორციელა საჩივრის განხილვისას, 2015 წლის 12 თებერვლის სხდომაზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ აპელანტის გამოუცხადებლობისას, თუ არსე-ბობს მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების გამოტანაზე, სააპელაციო სასამართლოს უფ-ლებამოსილებაა და არა ვალდებულება, დააქმაყოფილოს შუ-ამდგომლობა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უა-რის თქმის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ი-ის საჩი-ვარი დაუსაბუთებელია და გასაჩივრებული დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს, რის გა-მოც იგი უნდა დარჩეს ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ ლ. ი-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს მხარის რძალ ხ. კ-ეს ტელეფონოგრამით ეცნობა 2015 წლის 20 იანვარს, 14.30 საათზე დანიშნული მთავარი პროცესის შესახებ.

შეტყობინების შესახებ 2014 წლის 29 დეკემბრის აქტის შინაარსი კასატორისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გახდა ცნობილი. აქტით ირკვევა, რომ ტელეფონის ნომერზე (0431) ხ. კ-ეს დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწე და შეატყობინა, მთავარი სხდომის შესახებ და გააფრთხილა, რომ მხარის ან მისი წარმომადგენლის არყოფნის შემთხვევაში ოჯახის სრულწლოვანი წევრი ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია გაღიღებულია, სხდომის დღის შესახებ პირადად აცნობოს ადრესატს და გააცნოს ტელეფონოგრამის გადაცემის შესახებ. ხ.კ.-ემ აცნობა ლ. ი-ს, რომ სასამართლოდან თუ რომელიდაც ორგანოდან დაურეკეს, მაგრამ მისი განმარტება ბუნდოვანი იყო. კასატორმა ვერ გააცნობიერა, რომ ეს სასამართლო პროცესთან იყო დაკავშირებული.

კასატორმა მიუთითა, რომ 2014 წლის 27 დეკემბერს ლ. ი-მა მიიღო სხეულის ძლიერი დაუქეულობა, ამიტომ გარკვეული პერიოდი სახლის პირობებში მკურნალობდა, იყო მწოლიარე. აღნიშნულს დაერთო არტერიული ჰიპერტენზია, ნევროზი, შაქრიანი დიაბეტი. მხარე პენსიონერია და აქვს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. შესაბამისად, სახლის პირობებში მკურნალობდა ექიმ-ქირურგთან – თ. ტ-თან. ამიტომ ვერ წარმოადგინა ცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, რომელიც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ იქნებოდა ხელმოწერილი.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომამდე ლ. ი-მა ვერ მოახერხა წარმომადგენელთან მისვლა, რათა მისი მეშვეობით მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში. ავადმყოფობის გამო კი, ვერ შეძლო პირადად გამოცხადებულიყო სასამართლოში. მისთვის უცნობი იყო გამოუცხადებლობის შედეგები, რომ-ლებიც წერილობითი ფორმით არ გადასცემია.

მხარის განმარტებით, ხ. კ-ე კასატორთან მუდმივად არ ცხოვრობს, ის ლ. ი-ს შეილთან ერთად ცხოვრობს ქ. ქ-ში, და-მა უორდრობების ქ. №..-ში, ხოლო კასატორი სისტემატიურად

იმყოფება ქ.ქ.-ში, წმ.ს.-ის ქ. №...-ში, თუმცა აღნიშნული გარე-მოებები სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეა-ფასა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლთან მიმარ-თებით. სააპელაციო სასამართლოს მცდელობაც არ ჰქონია, პი-რადად მოეძებნა მხარე და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაებარებინა უწყება მასთან მცხოვრები ოჯახის ქმედუნარიანი წევრისათ-ვის. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაარღვია ზემოაღნიშნუ-ლი მუხლის მოთხოვნები.

მხარის მოსაზრებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შე-საძლებლობას ართმევს კასატორს, ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით. სასამართლოს უნდა მიეცა შესაძლებ-ლობა, საქმის განხილვა გადაედო სხვა დროისათვის, რადგან ხ. კ-ე აპელანტთან მუდმივად მცხოვრები პირი არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 15 მაისის განჩინებით ლ. ი-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შე-საბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 3 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშ-ვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკა-საციო საჩივარის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გან-ჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ლ. ი-ის საკა-საციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოება-თა გამო:

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 26 ნოემბერს ლ. ი-ის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე მი-ღებულ იქნა წარმოებაში.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 დეკემბრის განჩი-ნებით საქმეზე 2015 წლის 20 იანვარს, 14:30 საათზე დაინიშნა მთავარი სხდომა, რის თაობაზეც კანონით დადგენილი წესით ეცნობა ორივე მხარეს, მათ შორის 2014 წლის 29 დეკემბერს ტელეფონოგრამა ჩაბარდა ლ. ი-ის რძალს – ხ. კ-ეს. მასვე ეცნო-ბა აპელანტის სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებ-ლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო სხდო-მაზე აპელანტი არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებ-ლობის მიზეზის შესახებ სააპელაციო სასამართლოს არ აცნო-

ბა. მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, რის საფუძველზეც საქმეზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ლ. ი-ის საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი არეგულირებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს. აღნიშვული ხორმით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში კი, გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, 372-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დასახელებული ხორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიღლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე სააპელაციო პალატას არ აცნობდა. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს.

ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობის ყველა ელემენტი: ა) აპელანტის გამოუცხადებლობა; ბ) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი; გ) მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და კასატორიც ადასტურებს, რომ სასამართლოს მთავარი სხდომის 2015 წლის 20 იანვარს დანიშვნის თაობაზე ლ. ი-ისათვის შეტყობინების

მიზნით, მოსამართლის თანაშემწემ 2014 წლის 29 დეკემბერს სატელეფონო შეტყუპინება ჩააბარა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ ტელეფონის ნომერზე (0431) 27-46-57 ლ. ი-ის რძალს – ხ. კ-ეს.

საკასაციო სასამართლო აკვე აღნიშნავს, რომ აპელანტს სრულიად საკმარისი დრო ჰქონდა პროცესში მონაწილეობისათვის მოსამზადებლად და გონივრულ ვადაში ეცნობა საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნის თაობაზე.

ტელეფონოგრამის ჩაბარებასთან დაკავშირებით ლ. ი-ს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარში რაიმე პრეტენზია არ განუცხადებია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლითა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში.

კანონის აღნიშნული დანაწესი ადგენს იმ სამართლებრივ ფარგლებს, რომელთა დაცვითაც საკასაციო სასამართლომ უნდა შეამონმოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების კანონიერება. მოცემული ნორმის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ვერ შეაფასებს ისეთ გარემოებებს, რომლებზეც მხარეს სააპელაციო პალატის არ მიუთითებია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივარში მითითებულ ქვემოთ მოყვანილ აღგუმენტებზე, რომლებიც ლ. ი-ის საჩივარს საფუძვლად არ დადებია, კერძოდ, რომ ხ. კ-ემ აცნობა ლ. ი-ს „სასამართლოდან, თუ რომელიდაც ორგანოდან“ მისთვის დარეკვის შესახებ, მაგრამ მისი განმარტება ბუნდოვანი იყო. კასატორმა ვერ გააცნობიერა, რომ ეს სასამართლო პროცესთან იყო დაკავშირებული. ამასთან, ხ. კ-ე კასატორთან მუდმივად არ ცხოვრობს, ის ლ. ი-ის შვილთან ერთად ცხოვრობს ქ.ქ.-ში, უ-ს ქ. ქე...-ში, ხოლო კასატორი სისტემატიურად იმყოფება ქ.ქ.-ში, წმ.ს.-ის ქ. ქე..-ში. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის შესახებ სასამართლო უწყების ტელეფონოგრამით მიმღები ხ. კ-ე ლ. ი-თან მცხოვრები ოჯახის ქმედუნარიანი ნევრი არ არის.

ასეც რომ არ იყოს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კასატორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით, სარწმუნო მტკიცებულების წარდგენის გზით არ დაუდასტურებია, რომ ხ. კ-ე ნამდვილად არ ცხოვრობს

აპელანტის ოჯახში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტთა წრეს არ განეკუთვნება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ ლ. ი-ს სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა, თუმცა იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას აპელანტის გამოუცხადებლობის მიზეზის შეფასებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამდღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო წათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

ლ. ი-მა განმარტა, რომ 2014 წლის 27 დეკემბერს მიიღო ტრაგია, მკურნალობდა ბინაზე წოლითი რეჟიმის პირობებში, შეექმნა რთული ფინანსური მდგომარეობა, რის გამოც ვერ შეძლო სასამართლო გამოცხადება და წარმომადგენელთან დაკავშირება, რათა მისი მეშვეობით დაეცვა საკუთარი ინტერესები სასამართლო სხდომაზე. მხარემ საჩივარს დაურთო 2014 წლის 27 დეკემბერს ექიმ-ქრისტინა თ. ტ-ისა და ექიმ-კარდიოლოგ ზ. ტ-ის დანიშნულება, კარდიოგრამა და წამლის რეცეპტი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აღნიშნული დოკუმენტები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილ სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ მტკიცებულებას არ წარმოადგენს და აპელანტის იმ სახის ავადმყოფობის დამადასტურებლად ვერ გამოიდგება, რომელიც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდებოდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ლ. ი-მა ვერ დაადასტურა, რატომ ვერ შეძლო თავისი ავადმყოფობის შესახებ ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის არგუმენტი, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვე-

ბით მას ეზოუდება სამართლიანი სასამართლოს უფლება.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლი ეხება რა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, პირველი პუნქტით ადგენს, რომ სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვროსას ყველას აქვს გონიერულ ვადში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძობებელი სასამართლოს მიერ.

მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს დავის გადაწყვეტას როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონმდებლობის ზედმინევნით დაცვით.

მოცემული განჩინების კვლევითი ნაწილიდან ირკვევა, რომ სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით დადგენილი მისი გაუქმების წინაპირობების არსებობა კასატორმა ვერ დამტკიცა, შესაბამისად, ლ. ი-ის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ დარღვეულა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ კანონიერად მიიღო სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მართებულად დატოვა იგი ძალაში, შესაბამისად, ლ. ი-ის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2015 წლის 15 მაისის განჩინებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ლ. ი-ს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 653 ლარის გადახდა. შესაბამისად, მოცემული საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს კასატორს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ე ბ ა:

1. ლ. ი.-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 20 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2015 წლის 12 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. კასატორ ლ. ი-ს (პირადი №...) დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასაარგებლოდ (შემდეგ რეკვიზიტებზე: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სახელმწიფო ბაჟის – 653 ლარის გადახდა.

4. საკუსაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნინაბირობები

განხილვა

№ას-433-412-2015

27 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. გ-ემ სარჩელი აღდრა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე შემდეგი დასბუთებით:

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის იანვრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით ქ. ქუთაისის ვიცე მერის ი. ჯ-ას დავალებით შესარულა ქ. ქუთაისში ... საჯარო სკოლის საცურაო აუზის გა-სახდელების შენობის სარემონტო სამუშაოები, ლირებული 25629.75 ლარად. აღნიშნული შენობა-ნაგებობა საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით ირიცხება სახელმწიფო საკუთრებად, თუმცა გაწეული ხარჯი მოპასუხეს დღემდე არ აუნაზღაურებია მისთვის.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე არ დგინდება სარემონტო სამუშაოების განვის ფაქტი, არ იკვეთება რამდენად გაიზარდა უძრავი ქონების ლირებულება 2012 წლის იანვრიდან ამავე წლის ივლისის თვის ჩათვლით და სახელმწიფო იღებს თუ არა ამ

გზით რაიმე შემოსავალს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ თ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 17656.30 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. გ-ის წარმომადგნელის გ. ჭ-ის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინებით სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა: უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრის განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 დეკემბრის განჩინებით დაინიშნა 2015 წლის 21 იანვარს 12 საათზე, რის თაობაზეც მხარეებს ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით – პელანტი ორგანიზაციის წარმომადგენელს, მ. ტ-ს ტელეფონის მეშვეობით, ხოლო მონინააღმდეგე მხარეს – სასამართლო უწყების მეშვეობით.

დადგენილია ასევე, რომ 2015 წლის 21 იანვრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის წარმომადგენელი მ. ტ-ი, რომელსაც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებზე სასამართლოსათვის არ უცნობია. მას არც რაიმე შუამდგომლობა წარმოუდგენია სხდომის გადადების თაობაზე.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებულმა მოწინააღმდეგე მხარის, თ. გ-ის წარმომადგენელმა გ. ჭ-ემ მოითხოვთ.

ვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაქმაყოფილდა: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მოსაზრება, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

პალატამ უდაცოდ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტი ორგანიზაციის წარმომადგენელს, მ. ტ-ს 2014 წლის 29 დეკემბერს, 15 საათზე ტელეფონის მეშვეობით ეცნობა 2015 წლის 21 იანვარს 12 საათზე დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ, ასევე განემარტრა გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები. დადგენილია ასევე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ მიღებული იქნა აპელანტის წარმომადგენლის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო. საპატიო მიზეზად საჩივრის ავტორმა მიუთითა წარმომადგენლის გათავისუფლება თანამდებობიდან, რაც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

პალატამ აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმით დადგენილია ის სავალდებულო წინაპირობები, როდესაც სასამართლო ვალდებულია, მხარის გამოუცხადებლობა ჩათვალის საპატიოდ.

ის გარემოება, რომ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2015 წლის 8 იანვრის №..... ბრძანებით სააგენტოს წარმომადგენელი, მ. ტ-ი გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, სააპელაციო სასამართლოს აზრით, ვერ მიიჩნევა მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. პალატამ აღნიშნა, რომ 2014 წლის 29 დეკემ-

ბრიდან 2015 წლის 8 იანვრამდე მ. ტ-ს ჰქონდა შესაძლებლობა და დრო ეცნობებინა მისი მარწმუნებელი სააგენტოსათვის პროცესის დღის დანიშვნის შესახებ, რათა სააგენტოს ჰქონოდა მის შესაძლებლობა სხვა თანამშრომელი გამოეშვა პროცესზე. შესაბამისად, თუკი მან მარწმუნებელ ორგანიზაციას არ აცნობა პროცესის შესახებ, ეს გარემოება ვერ მიიჩნეოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად.

ამასთან, პალატამ დამატებით მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო არაა ვალდებული სააგენტოში მიმდინარე საშტატო ცვლილებს ადევნოს თვალყური.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია სააგენტოს წარმომადგენლის მოსაზრება, რომ რადგან სააგენტომ გაასაჩივრა გადაწყვეტილება ეს მიუთითებდა დავის მიმართ მისი იურიდიული ინტერესის არსებობაზე. პალატამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ გასაჩივრება არ მიუთითებს დავის მიმართ ინტერესის არსებობაზე. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ პროცედურებს პროცესის ჩანიშვნასთან და მიმდინარებასთან დაკავშირებით, რისი დაცვაც მხარებს ევალებათ. შესაბამისად, მხარე საპროცესო კანონმდებლობით ვალდებულია პროცესზე გამოცხადდეს, მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტება და ა.შ. ხოლო თუკი ვერ ცხადდება, აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს, რაც მოცემულ შემთხვევაში 2015 წლის 21 იანვარს გამართულ მთავარ სხდომაზე არ მომზდარა. ამდენად, მხოლოდ მითითება, რომ გასაჩივრდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სახეზეა დავის მიმართ იურიდიული ინტერესი, სააპელაციო სასამართლოს აზრით, არ არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები კი (მ. ტ-ის სამსახურიდან გათავისუფლება და დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობა), არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ საპატიო გარემოებას. შესაბამისად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ შეიტანა საკასაციო საჩივრი

და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

კასატორის განმარტებით, როგორც პირველმა, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 976-ე და 979-ე მუხლები, არ გაითვალისწინა რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რის გამოც წინამდებარე დავა უნდა მოწესრიგებულიყო ვალდებულებითი სამართლისა და ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური სამართლებრივი ნორმებით.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აპელანტის სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებულობის გამო არსებობდა სააპელაციო საჩივარზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. რადგან აპელანტ მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, სასამართლო ვალდებული იყო გადაემოწმებინა ხომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან სხვა ისეთი საპატიო მიზეზი, რომლის შესახებაც მხარეს არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ასეთი ობიექტური მიზეზი კი ნამდვილად გააჩნდა სააგენტოს – თანამშრომელი, რომელიც სატელეფონო შეტყობინებით იქნა ინფორმირებული სასამართლოს მიერ, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ისე, რომ სააგენტოს-თვის არ უცნობებია სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე სასამართლო სხდომის თარიღი.

საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და შესაბამისი ეტაპიდან საქმის განხილვის შესაძლებლობას ითვალისწინებს შემთხვევა, როდესაც საჩივრის განხილვის დროს დადგინდება, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება იურიდიული თვალსაზრისით არ იყო გამართლებული.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხე სააგენტოს მიერ არა-საპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი არ არსებობდა თ. გ-ის სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სასამართლო სარჩელში მითითებულ ფაქ-

ტობრივ გარემოებებს დამტკიცებულად ჩათვლიდა, აპელანტ მხარეს გააჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა, რადგან როგორც პირველი, ასევე საპე-ლაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოე-ბად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ ქუთაისის მერიასა და თ. გ-ეს შორის დაიდო ზეპირი ხელშეკრულება, რის საფუძველზეც გან-ხორციელდა ქუთაისის მე-... საჯარო სკოლის საცურაო აუზის გასახდელების შენობის სარემონტო სამუშაოები, ქონების მე-საკუთრის თანხმობისა და ამ უკანასკნელის მხრიდან დავალე-ბის, ან სხვა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი საფუძვლის არსებობის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარ-დე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინე-ბული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მე-ნარდეს შეთანხმებული საზღაური. ამასთანავე, ვინაიდან კა-ნონი არ მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებისათვის წერილო-ბითი ფორმას, ეს ხელშეკრულება შეიძლება, დაიდოს ზეპირა-დაც.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მონაბეჭისა და სხვა წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე სასამართლომ ცალსახად დაადგინა თ. გ-ის მიერ ზეპირი ნარდობის ხელშეკ-რულების საფუძველზე დამკვეთის მიერ განსაზღვრული სამუ-შაოს შესრულების ფაქტი (თ. გ-ეს მიმოწერა ჰქონდა ქ. ქუთაი-სის მერთან, სარემონტო სამუშაოებს ზედამხედველობდა მე-რის სამსახურის არქიტექტურის სამსახური, სამუშაოების დას-რულების შემდეგ თ. გ-ემ მოხსენებითი ბარათით მიმართა ქ. ქუ-თაისის მერს და წარუდგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელო-ბის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2012 წლი 13 ივნისის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, შემდგომი რეა-გირებისათვის) ვალდებულება მენარდისათვის განეული სარე-მონტო ხარჯის ანაზღაურებისა, ორივე ინსტანციის სასამარ-თლომ რატომდაც შემკვეთის ნაცვლად, უსაფუძვლოდ გამდიდ-რების ნორმებზე აპელირებით სწორედ სააგენტოს დააკისრა, რაც კასატორის აზრით, პირდაპირ ეწინააღმდეგება როგორც სა-ხელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელ კონკრეტულ ნორმათა მოთხოვნებს, ასევე სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხ-ლით გათვალისწინებული ნორმის დანაწესს, რომლის თანახმა-დაც, მესამე პირის სასარგებლოდ დადგებულად ჩათვლება ხელ-შეკრულება, რომლითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი დგება იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის ხელშეკრუ-

ლების მონაწილე. ამ ჯგუფის ხელშეკრულებათა დამახასიათებელი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პირს უფლებები წარმოეშობა მისი აქტიური მონაწილეობისა და დაინტერესების გარეშე და დაუშვებელა ხელშეკრულება დაიდოს მესამე პირის საზიანოდ. ამასთანავე, ხელშეკრულების მხარებს არა აქვთ უფლება დადონ ისეთი შეთანხმება, რომელიც რაიმე ვალდებულებას დააკისრებს მესამე პირს ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ისევე როგორც 2015 წლის 11 მარტის განჩინება უკანონოა, დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის განჩინებით სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკასაციო საჩივრი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამონმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრი არ უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივრს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება და საკასაციო საჩივრით სადაცოდ არ არის გამხდარი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სააპელაციო საჩივრის განხილ-

ვა დაინიშნა 2015 წლის 21 იანვარს, 12:00 საათზე.

სასამართლო სხდომის თაობაზე მხარეებს ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. კერძოდ, აპელანტი ორგანიზაციის წარმომადგენელს, მ. ტ-ს უწყება ჩაბარდა ტელეფონის მეშვეობით 2014 წლის 29 დეკემბერს, ხოლო მონინაალმდეგე მხარეს, თ. გ-ეს გაეგზავნა ფოსტით და ჩაბარდა 2014 წლის 30 დეკემბერს.

2015 წლის 21 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, ხოლო გამოცხადებულმა მონინაალმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო განპირობებული.

საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს. კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დაგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ენინაალმდეგება.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა 387-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი; ბ) გამოუცხადებული მონინაალმდეგე მხარე უნდა შეამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკავშირების მიზნით გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკავშირების მიზნით გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა ზემოაღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ყოველთვის

არის ვალდებული, შეამოწმოს, ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის შემდეგი: а) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლო-სათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღმრის წინაპირობები (სსკ 233.1 მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, დავას არ იწვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობა.

როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე წარდგენილი საჩივრის, ისე საკასაციო საჩივრის შესწავლით უდავოდ დასტურდება, რომ მხარე მის გაუქმებას მოითხოვს საპატიო მიზეზის არსებობით, საპატიო მიზეზად კი, მხარე მიიჩნევს შემდეგს:

„სახელმიწოდების ეროვნული სააგენტოს“ 2015 წლის 8 იანვრის №..... ბრძანებით სააგენტოს წარმომადგენელი, მ. ტ-ი გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან ისე, რომ სააგენტოსთვის არ უცნობებია სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე სასამართლო სხდომის თარიღი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ ნორმას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

თავის მხრივ, იმას, თუ რა განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, განსაზღვრავს ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სა-

სამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლომ პროცესზე მხარის გამოუცხადებლობა ან სასამართლოსთვის შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობა საპატიოდ მიიჩნიოს, უნდა არსებობდეს ორი წინაპირობა: 1. გამოუცხადებლობა გამოწვეული უნდა იყოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით; და 2. აღნიშნული განსაკუთრებული ობიექტური გარემოება მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს უნდა ხდიდეს მხარის პროცესზე გამოცხადებას ან/და გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინებას. ეს უკანასკნელი შეფასების ობიექტს განეკუთვნება და იმისათვის, რათა სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მიზეზი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნიოს, უნდა შეექმნას მხარის გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობის მყარი შინაგანი რწმენა.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა დადასტურებულად ვერ მიიჩნევს საჩივარსა და საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებს სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წარმომადგენლის მ. ტ-ის თანამდებობიდან განთავისუფლება და ის გარემოება, რომ მას სააგენტოსთვის არ უცნობებია სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე, ვერ მიიჩნევა ორგანიზაციის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის საკმარის საფუძვლად.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი არის იურიდიული პირი – სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“, რომლის ინტერესებს სასამართლოში იცავს ორგანიზაციის თანამშრომელი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებშიც კი, თუ აღნიშნული თანამშრომლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ობიექტური (საპატიო) მიზეზებით, აღნიშნული თავისთავად არ გამორიცხავდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ საკუთარი უფლებების სხვა თანამშრომლის/უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით დაცვის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, მოცემულ შემთხვევაში სააგენტოს, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა განეხორციელებინა კონტროლი გათავისუფლებული თანამშრომლის გამგებლობაში არსებულ საქმეებზე და აღნიშნული პირი ჩაენაცვლებინა სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლით.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ აპელანტის არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი არ არსებობდა თ. გ-ის სასამართლო განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება იურიდიული თვალსაზრისით არ იყო გამართლებული.

პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც არეგულირებს აპელანტის სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგებს.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა აპელანტის მონინააღმდეგე მხარე (სააპელაციო მოპასუხე), მაგრამ არ გამოცხადდა აპელანტი (სააპელაციო მოსარჩელე), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ მხოლოდ ორი პირის ერთდროულად არსებობისას: პირველი – აპელანტის მონინააღმდეგე მხარემ (სააპელაციო მოპასუხე) უნდა იშუამდგომლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; მეორე – არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტის მონინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ასევე არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები.

ზემოაღნიშნული გარემოება, შესაძლებელია ყოფილყო სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებოდა აპელანტი და არ გამოცხადდებოდა მისი მონინააღმდეგე მხარე. ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის, რომ სააპელაციო საჩივრაში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს აპელანტის მოთხოვნას (სასკ-ის 387.2-ე და 230-ე მუხლები). იმ შემთხვევაში კი, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ ცხადდება თავად აპელანტი, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტა-

ნის დროს სასამართლო არ აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც მთლიანად საქმეს სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ აპელანტის გამოუცხადებლობის გამო და არა საქმის მასალების მიხედვით.

ამდენად, კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზიაც დაუსაბუთებელია და იგი გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ კანონიერად მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მართებულად დატოვა იგი ძალაში. შესაბამისად, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2015 წლის 11 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განრიცხვა

№ას-463-442-2015

3 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ.ბაქაქური,
ბ.ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ა. ც-მა“ სარჩელი აღდრა სასამართლოში ააიპ სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი „უ-ის“ მიმართ 8815 ლარის ანაზღურების შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, ორივე ორგანიზაციის ფუნქციონირებდა ერთსა და იმავე შენობაში თ-ში, ყ-ის №...-ში, სადაც კომუნალური გადასახადების გადამხდელ აბონენტად რეგისტრირებული იყო მხოლოდ მოსარჩელე. იგი წლების მანძილზე იხდიდა მოპასუხის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადს.

2012 წლის 25 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა დავალიანების დაფარვის შესახებ შეთანხმება, რომლითაც მოპასუხეს უნდა დაეფარა მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და წყლის ღირებულება მრიცხველის ჩვენების შესაბამისად, ასევე გასული პერიოდის დავალიანება 12 500 ლარის ოდენობით. აღნიშნულის შემდეგ მოპასუხე იხდიდა მიმდინარე გადასახადებს და დაფარა ძველი დავალიანების ნაწილი – 3685 ლარი, თუმცა გადასახდელი დარჩა 8815 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ა. ც-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7968 ლარის გადახდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივრი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 374-ე, 372-ე მუხლებით, 259¹ მუხლით და მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გასაჩივრების წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ეს-წრებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი; ბ) ან ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტებს, ანუ იმ პირებს, რომლებმაც შეიძლება გასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები სააპელაციო წესით. ამასთან, მხარეებს შეუძლიათ, საქმე ანარმონო სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით და მას მიანიჭონ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე, 96-ე და 98-ე მუხლები).

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების წესი, უპირველესად, გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მხარე ან გასაჩივრების უფლებით აღჭურვილი მისი წარმომადგენელი. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, გასაჩივრების ზემოთ მითითებული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, მართალია, არ ესწრება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, მაგრამ მისთვის ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გადაწყვეტილების გამოტანის წესს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მისი გამოცხადების თარიღი და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი დაადასტურებენ ხელის მოწერით.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2015 წლის 20 იანვრის სხდომას ესწრებოდნენ მოპასუხე სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი „უ-ის“ წარმომადგენლები – ზ. ს-ე, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდზე

(www.napr.gov.ge) განთავსებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, არის სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი „უ-ის გამგეობის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და მ. ტ-ე, მაგრამ ამ სხდომაზე გადაწყვეტილება არ გამოცხადებულა, სასამართლომ ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლებით და სხდომა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მიზნით, გადადო 2015 წლის 10 თებერვალს.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დაადგინა, რომ 2015 წლის 10 თებერვალს გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. აღნიშნულ სხდომას ასევე ესწრებოდნენ სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი „უ-ის“ წარმომადგენლები – ზ. ს-ე და მ. ტ-ე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 259¹ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო დღიდან იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოთ მითითებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, გარკვეულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სასამართლო სხდომას, რომელზეც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა, ესწრებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე წარმომადგენელი აპელანტი, ამდენად, იგი, არა უადრეს 2015 წლის 2 მარტისა და არა უგვიანეს 12 მარტისა, უნდა გამოცხადებულიყო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაპარებლად. მხარე ამ ვადაში არ გამოცხადდა, შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 13 მარტიდან და ამოინურა 2015 წლის 26 მარტს, სააპელაციო საჩივარი სასამართლოში 2015 წლის 30 მარტსაა შეტანილი, თავის მხრივ სააპელაციო საჩივარი სწორედ აღნიშნული თარიღითაა აპელანტის მიერ ხელმოწერილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი „უ-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 10 ობერვლის გადაწყვეტილებაზე შეტანილია კანონით დადგენილი საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, იგი განუხილველად უნდა დარჩეს დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ააიპ სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრმა „უ-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2015 წლის 10 ობერვალს. არ დაეთანხმა რა დავის გადაწყვეტის შედეგს, მოპასუხემ მაშინვე გამოთქვა სააპელაციო საჩივრის შეტანის სურვილი, რის გამოც ცენტრი „უ-ის“ წარმომადგენელმა მ. ტ-ემ 2015 წლის 2-12 მარტს და შემდეგაც არაერთხელ მიმართა მოსამართლის თანაშემნეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა სასამართლო აქტი ვერ ჩაიძარა იმ მიზეზით, რომ იგი ჯერ მზად არ იყო. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს სატელეფონო ზარები მოსამართლე ტაბატაძის თანაშემწესთან.

მხარის განმარტებით, მოპასუხეს სადაცო დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2015 წლის 17 მარტს. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა აპელანტს არ დაურღვევია, რადგან მხარეს არ უნდა წაერთვას გასაჩივრების უფლება იმის გამო, რომ სასამართლოს მიზეზით გვიან ჩაბარდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გასაჩივრების მსურველი მხარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა, არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის საფუძველი, ვინაიდან მხარისათვის გადაწყვეტილების შინაარსი ცნობილი არ იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ააიპ სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრ „უ-

ის” კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სა-სამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სადავოა ააიპ სამედიცინო, სო-ციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრ „უ-ის“ მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დაცვის საკით-ხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგ-რძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათ-ვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი-დან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათ-ვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენი-ლი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტი-ლების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწ-ყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გა-დაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხა-რისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარი-სათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგ-ზავნის დრო. ამავე კოდექსის 259¹ მუხლის პირველი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვე-ტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პი-რისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწ-ყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომად-გენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწი-ლის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღი-სა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილე-ბის ასლი; ნინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათ-ვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასა-ციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ეს-წრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირი-სათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონ-მდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადაწყვეტი-ლების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს

20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი.

აღნიშნული ვალდებულება ფაკულტატურია და, შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად „გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი“. ამდენად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედებს დანაწესი, რომლის თანახმად „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“.

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების მსურველი მხარის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღემდე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოუცხადებლობა წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღის (მიუხედავად იმისა, უქმე დღეა თუ არა აღნიშნული) მომდევნო დღიდან, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სუს 2015 წლის 12 იანვრის №ას-843-807-2014 განჩინება).

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადაციდ არ გაუხდით ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრ „უ-ის“ წარმომადგენლები – ზ. ს-ე და მ. ტ-ე, რომლის შესაბამისი უფლებამოსილება დადასტურებულია საქმის მასალებში წარმოდგენილი მინდობილობით.

საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ცენტრი „უ-ის“ წარმომადგენელი 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწი-

ლის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში გამოცხადდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება. აღნიშნული ფაქტის დადასტურება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, აპელანტი მხარის მოვალეობას წარმოადგენდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მხარის არგუმენტს, რომ აპელანტმა კანონით დადგენილ დროს სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება შეასრულა. მხოლოდ მხარის განმარტება და მითითება სატელეფონო საუბრის ჩანაწერზე საკმარის მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მოპასუხეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოსათვის წერილობით არ მიუმართავს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელ-მძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 259¹ მუხ-ლებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გა-დაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო მისი სა-რეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევნო დღეს, 2015 წლის 13 მარტს და ამოინურა 2015 წლის 26 მარტს, მოპასუხებ კი სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2015 წლის 30 მარტს, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგე-ნილი სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განჩი-ნებით მართებულად დარჩა განუხილველად და კერძო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ააიპ სამედიცინო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრ „უ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლე-ლად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

სააკელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განხილვა

№ას-248-235-2015

24 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, დაგირავებული ქონების
რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. მ-სა და მ. ვ-ს
მიმართ თანხის დაკისრებისა და დაგირავებული ქონების რეა-
ლიზაციის თაობაზე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის და-
უსწრებელი გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ს“ სარჩელი დაკმაყო-
ფილდა.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე
საჩივარი შეიტანა ნ. მ-მ.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 ნოემბრის გან-
ჩინებით ნ. მ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა
ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის დაუს-
წრებელი გადაწყვეტილება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინება სააპელაციო წე-
სით გაასაჩივრა ნ. მ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით ნ. მ-ს სააპელაციო
საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლი-
სის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და 2014 წლის 3 ნოემბრის
განჩინებაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატო-
ვების თაობაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფო-
თის საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 3 ნოემბერს დანიშ-
ნულ სხდომას ესწრებოდნენ ნ. მ-ი და მისი წარმომადგენელი ლ.
ხ-ა, თუმცა მათ აღნიშნული განჩინება არ ჩაუბარებიათ (არ მო-
უთხოვათ) კანონით დადგენილ ვადაში (არა უადრეს 20 და არა
უგვიანეს 30 დღისა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის

გამოცხადებიდან), 2014 წლის 3 დეკემბრამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე და 369-ე მუხლების შესაბამისად, საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2014 წლის 4 ნოემბრიდან (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან, 30-ე დღის მომდევნო დღიდან) და ამოინურა 2014 წლის 17 დეკემბერს. სააპელაციო საჩივარი კი ნ. მ-ს მიერ წარდგენილია 2014 წლის 23 დეკემბერს, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

ქუთაისს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. მ-მ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა მხარის მიერ არ ყოფილა დარღვეული, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი ელექტრონულად იქნა გადაგზავნილი ფოთის საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 17 დეკემბერს, რაც დასტურდება სასამართლო საქმის რეგისტრაციის ეროვნული სერვისის ვებ-გვერდიდან ამონანერით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-ს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოები საპროცესო წორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მას გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი, ნ. მ-ა და მისი წარმომადგენელი ესწრებოდნენ ფოთის საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 3 ნოემბერს დანიშნულ სხდომას, თუმცა მათ კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოსთვის არ მიუმართავთ, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ განჩინების გასაჩივრების ვადის დენა დაინყო 2014 წლის 4 დეკემბრიდან (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს) და ამოიწურა 2014 წლის 17 დეკემბერს. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იქნა 2014 წლის 23 დეკემბერს. აღნიშნულის სამართლებრივ დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის პირველი ნაწილის, 369-ე და 259¹-ე მუხლების საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით მართლაც დასტურდება, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდნენ ნ. მ-ა და მისი წარმომადგენელი ლ. ხ-ა, თუმცა მათ აღნიშნული განჩინების ჩაპარების მოთხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავთ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე და 369-ე მუხლებით და სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაინყო 2014 წლის 4 დეკემბერს.

საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ელექტრონული სახით გაგზავნილი ნ. მ-ს სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამავე სასამართლოს 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინებაზე ფოთის საქალაქო სასამართლოში დარეგისტრირდა 2014 წლის 23 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2013 წლის 6 დეკემბრის №1/209 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის“ მე-3 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია, რომ საქმისწარმოება სასამართლოში შესაძლებელია დაინყოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის მეშვეობით განცხადების ან სარჩელის შეტანის გზით. ხოლო სასამართლოში შემოსული დოკუმენტის (საქმის) მიღება-რეგისტრაციას და მათ პირველად დამუშავებას ახორციელებს

შესაბამისი სასამართლოს კანცელარია და მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი. ამავე წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ელექტრონული წესით შემოსული განცხადების/სარჩელის პირველადი დამუშავება, თუ განცხადება/სარჩელი შემოსულია სამუშაო დღის საათებში, ხდება დოკუმენტის (საქმის) შემოსვლის დღესვე 3 საათის განმავლობაში.

ამრიგად, ელექტრონული საქმისწარმოების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, სასამართლოში ელექტრონული სახით წარდგენილი სარჩელის პირველადი რეგისტრაცია უნდა მოხდეს სარჩელის წარდგენის დღესვე, 3 საათის განმავლობაში.

განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი თავისი პოზიციის გასამყარებლად, რომ მას არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრისთვის კანონმდებლობით დადგენილი 14-დღიანი ვადა, უთითებს სასამართლოში საქმის რეგისტრაციის ეროვნული სერვისის ვებ-გვერდიდან ამონაწერზე და განმარტავს, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოში 6. მ-ს წარმომადგენლის, კ. ბ-ას მიერ სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იქნა არა 2014 წლის 23 დეკემბერს, არამედ ამავე წლის 17 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა აღნიშნული მტიცებულება, დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია ფოთის საქალაქო სასამართლოდან და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნული პრეტენზია საფუძვლიანია შემდეგ გარემოებათა გამ:

ფოთის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის 2015 წლის 24 აპრილის №... წერილის შესაბამისად ირკვევა, რომ 6. მ-ს სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ივნისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამავე სასამართლოს 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინებაზე ფოთის საქალაქო სასამართლოში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გადაიგზავნა 2014 წლის 17 დეკემბერს, ხოლო შემოსული საქმეების ფოსტის უურნალში დარეგისტრირდა მოგვიანებით, 2014 წლის 23 დეკემბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხა-დების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილე-ბის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიპაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოც-ხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა და-უშვებელია.

ზემოაღნიშნული წორმებისა და წარმოდგენილი მტკიცებუ-ლებების ურთიერთშეჯდების საფუძველზე, საკასაციო სასა-მართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მისთვის ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლი-სის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამავე სასამართლოს 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინებაზე სააპელაციო საჩივრის შე-ტანის 14 დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2014 წლის 4 დეკემბერს და ამონურა 2014 წლის 17 დეკემბერს, როცა წარდგენილი იქ-ნა კიდეც სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, აპელანტის მი-ერ არ დარღვეულა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივა-რი საფუძვლიანია და არსებობს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით გასაჩივრებუ-ლი განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. მ-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინება და საქმე 6. მ-ს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სა-სამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-131-123-2015

6 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2014 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

1. აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სარჩელი დაკმაყოფილ-
და;

2. გ. ხ-ს აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სასარგებლოდ და-
ეკისრა ზიანის ანაზღაურება 6385 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-
ცელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2014 წლის 26 დეკემბრის განჩინებით გ. ხ-ის სააპელა-
ციონ საჩივრი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 259¹ მუხლის პირველი ნაწილის, ამავე კოდექსის მე-60
და 61-ე მუხლების დანაწესებიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ
გ. ხ-ი ვალდებული იყო გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად
ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებულიყო და გა-
დაწყვეტილება მიეღო არაუგვიანეს 2014 წლის 17 ნოემბრისა.
ვინაიდან ეს ასე არ მოხდა, გადაწყვეტილების სააპელაციო წე-
სით გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა
მოცემულ შემთხვევაში დაწყო სწორედ 2014 წლის 17 ნოემ-
ბრიდან და იგი ამოინურა 2014 წლის 1 დეკემბრის 24.00 საათზე
(ვადის უკანასკნელი დღე – 30 ნოემბერი დაემთხვა დასვენე-
ბის დღეს – კვირას).

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გ. ხ-ის
სააპელაციო საჩივრი განუხილველად დატოვებას ექვემდება-
რებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრი შე-

იტანა გ. ხ-მა.

კერძო საჩივრის საფუძვლები:

მართალია, გ. ხ-ი სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხა-დებას ესწრებოდა, სადაც განიმარტა, რომ იგი გადაწყვეტილე-ბის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღი-სა სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო და გადაწყვეტი-ლება ჩაეტარებინა, თუმცა 20 დღის გასვლამდე და შემდეგაც იგი სასამართლოში ცხადდებოდა, რამდენჯერმე შიდა ტელე-ფონის საშუალებით მოსამართლის თანაშემწესაც დაუკავშირ-და და გადაწყვეტილების ჩაბარება მოითხოვა, მაგრამ უარი მი-იღო იმ მიზეზით, რომ გადაწყვეტილება მომზადებული არ ჰქონ-დათ. გარდა ამისა, 2014 წლის 10, 17 და 24 ნოემბერს გ. ხ-ი გა-დაწყვეტილების ჩაბარების მიზნთ მისი მობილური ტელეფო-ნით (ტელ. ნომ: –) დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს ამ უკანასკნელის მობილურ ტელეფონზე (ტელ. ნომ: –). საპოლო-ოდ, კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლო გადაწყვეტილება 2014 წლის 24 ნოემბერს ჩაიბარა. ამ გადაწყვეტილების თანახ-მად, მას გასაჩივრებისათვის 14-დღიანი ვადა ჰქონდა დადგე-ნილი, რაც კანონშესაბამისად გამოიყენა, კერძოდ, ბათუმის სა-ქალაქო სასამართლოში თავისი საპელაციო საჩივარი 2014 წლის 8 დეკემბერს ჩაბარა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერ-ძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ხ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გა-რემოვებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნა-წილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მო-მენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მო-მენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწი-ლით დადგენილია, რომ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პი-რი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის

თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

ამდენად, მითითებული ნორმა ავალდებულებს მხარეს (მის წარმომადგენელს) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესზრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონი ადგენს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება და კერძმ საჩივრის ავტორიც სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მოპასუხე გ. ხ-ი. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხე ვალდებული იყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებული იყო სასამართლოში და ჩაებარებინა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, კერძოდ, მას გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოსათვის უნდა მიემართა არა უგვიანეს 2014 წლის 17 ნოემბრისა (15 ნოემბერი იყო არასამუშაო დღე, შაბათი). საქმის მასალებით ირკვევა, რომ მითითებულ ვადაში მოპასუხეს გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოსათვის არ მიუმართავს, გადაწყვეტილების ასლი გ. ხ-მა ჩაიბარა მხოლოდ 2014 წლის 24 ნოემბერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა, მოცემულ შემთხვევაში, დაიწყო 2014 წლის 18 ნოემბერს და ამოინურა ამავე წლის 1 დეკემბერს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ორშაბათი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საა-

პელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილია 2014 წლის 8 დეკემბერს, ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით მართებულად იქნა დატოვებული განუხილველად გ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესათუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მან დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მიღება ვერ შეძლო 2014 წლის 24 ნოემბრამდე, კერძოდ, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20 დღის ვადის გასვლამდე და შემდგომაც იგი სასამართლოში ცხადდებოდა, რამდენჯერმე შიდა ტელეფონის საშუალებით მოსამართლის თანაშემწესაც დაუკავშირდა და გადაწყვეტილების ჩაბარება მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ გადაწყვეტილება მომზადებული არ ჰქონდათ. გარდა ამისა, 2014 წლის 10, 17 და 24 ნოემბერს გ. ხ-ი გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით მისი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს ამ უკანასკნელის მობილურ ტელეფონზე, მაგრამ გადაწყვეტილების ჩაბარება მხოლოდ 2014 წლის 24 ნოემბერს შეძლო.

კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ არგუმენტან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, ხოლო, ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებების დასადასტურებლად ვერ გამოდგება მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება – ჯეოსელის მიერ გაცემული ამონანერი განხორციელებული სატელეფონო ზარების თაობაზე, რადგან ეს მტკიცებულება არ ადასტურებს სადაც გარემოებას. ამასთან, მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება საკმარისი არაა მის მიერ მითითებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარ-

მოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, ამიტომ გ. ხ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ადგინდა:

1. გ. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქითხელი

1.	სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი	3
2.	პროცესის ხარჯები სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება..... სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის	39 44
3.	სასამართლო მტკიცებულებები მტკიცების ტვირთი, მტკიცებულებათა დასაშვებობა მტკიცებულებათა შეფასება	54; 71 92; 103
4.	იურიდიული ინტერესი	114
5.	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება	129; 136; 149
6.	დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები	156; 169; 179; 189; 198
7.	სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	210; 217; 222

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge